# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 15 სექტემბერი 1998 №164 (699) ფასი 50 თეთრი


საქართველოს ჩემპიონატი

## 6 ტური

12 სექტემბერი, შაბათი

| | |
|---|---|
| დილა | 0 |
| ბათუმი | 1 |
| სამგურალი | 1 |
| ოდიში | 0 |
| გორდა | 3 |
| სიონი | 1 |
| დინამო<br>კოლხეთი | გადაიდო |

13 სექტემბერი, კვირა

| | |
|---|---|
| ტორპედო | 4 |
| იბერია | 0 |
| გურია | 2 |
| ვიტ ჯორჯია | 0 |
| მერანი | 1 |
| თსუ | 0 |

14 სექტემბერი, ორშაბათი

| | |
|---|---|
| არსენალი | 0 |
| ლოკომოტივი | 0 |



გუშინ „ისანზე": „არსენალი" — „ლოკომოტივი". რკინიგზელმა გიორგი ღუდუშაურმა არმიელ ლაშა ყოლბაიას საჰაერო დუელი მოუგო

ბაჩო ქოთოლაშვილის ფოტო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 5 | 4 | 1 | 0 | 17:6 | 13 |
| დინამო | 4 | 4 | 0 | 0 | 21:4 | 12 |
| ლოკომოტივი | 6 | 3 | 3 | 0 | 8:3 | 12 |
| დილა | 6 | 3 | 1 | 2 | 7:5 | 10 |
| იბერია | 6 | 3 | 0 | 3 | 12:14 | 9 |
| მერანი | 6 | 2 | 3 | 1 | 7:7 | 9 |
| ბათუმი | 6 | 2 | 2 | 2 | 10:8 | 8 |
| კოლხეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 9:9 | 7 |
| ვიტ ჯორჯია | 6 | 2 | 1 | 3 | 6:6 | 7 |
| გურია | 6 | 2 | 1 | 3 | 7:11 | 7 |
| სამგურალი | 6 | 2 | 1 | 3 | 4:9 | 7 |
| ოდიში | 5 | 2 | 0 | 3 | 4:7 | 6 |
| არსენალი | 6 | 1 | 3 | 2 | 4:10 | 6 |
| გორდა | 5 | 1 | 2 | 2 | 5:5 | 5 |
| სიონი | 6 | 1 | 1 | 4 | 9:19 | 4 |
| თსუ | 6 | 1 | 0 | 5 | 3:10 | 3 |

# ტილბურგში გადაუღებლად წვიმს
# როცა სომხები გაიღვიძებენ

ლაშა გოდუაძე

ტილბურგიდან



სექტემბერია, აცივდა, შემოდგომაც მოვიდა. აბა, რა გითხრათ, რით გაგახაროთ, მგონი, დღესაც მოწვიმს.

ყინავსო, ვერ ვიტყვი, მაგრამ რაც აქ ჩამოვედით, მზე პირს იბანს და იბანს, აგერ უკვე მეოთხე დღეა, წვიმს. დილაობით ასე თუ ისე არა უშავს, მაგრამ 6-7 საათიდან მოიქუფრება და... სწორედ ავდრის ბრალი გახლდათ, შაბათს ტილბურგში ჩამოსულმა თბილისის დინამოელებმა რომ ვერ ივარჯიშეს. ეგ კი არა, ქართველებმა გუშინაც მხოლოდ 15 წუთს სცადეს ტალახში ბურთაობა, მაგრამ დატბორილ მოედანზე რას შეძლებდნენ...

საქართველოს ჩემპიონი თბილისიდან ფრანკფურტს ჩაფრინდა, იქიდან კი ავტობუსით დაახლოებით ოთხსაათნახევრიანი მგზავრობის შემდეგ ტილბურგში, კერძოდ, სასტუმრო „აბერჟ დუ ბონოში" დაბინავდა. სხვათა შორის, დინამოელები ზემოხსენებულ სასტუმროს პირველი სტუმრები არიან — „აბერჟ დუ ბონო" რამდენიმე დღეა, გაიხსნა. გუნდს თან ახლავან პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და ვიცე-პრეზიდენტი რომან შოთაძე. რაც შეეხებათ ფეხბურთელებს, ყველანი ჯანმრთელად არიან, ერთი ეგაა, რატი ალექსიძეს კვლავაც აწუხებს ბარძაყის მცირე ტრავმა, თუმცა, დინამოელთა ექიმის თქმით, საშიში არაფერია და რატის თამაშიც სავსებით შესაძლოა.

ტრავმირებულნი „ტილბურგსაც" ჰყავდა, თუმცა ფინელი სამი ჰიიპა უკვე გამოჯანმრთელდა და გუშინ კიდეც ივარჯიშა.

ცხადია დღეს ისიც ითამაშებს.

იხილეთ მეოთხე გვერდი

# საბერძნეთი ალბანეთში ჩასვლას უარობს

ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ჯგუფში ჩვენი მეტოქე საბერძნეთის ნაკრები 10 ოქტომბერს ტირანაში ჩასვლასა და ალბანეთთან თამაშს უარობს.

საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციამ გუშინ უეფას სთხოვა, ნება დართოს ტირანაში გასამართი მატჩი გადაუდოს. მიზეზი ალბანეთის დედაქალაქში გამეფებული საყოველთაო არეულობაა. ტირანაში გამუდმებული სროლაა და ბოლო დღეებში განუკითხაობას ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერიც შეეწირა.

# დიმიტროვი ბულგარელთა მწვრთნელია

ბულგარეთის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს ქვეყნის ჩემპიონის, „ლიტექსის" თავკაცი დიმიტარ დიმიტროვი — დიმიტროვმა თანამდებობაზე ხრისტო ბონევი შეცვალა.

უმწვრთნელოდ ბულგარელთა ეროვნული გუნდი ერთი კვირის განმავლობაში იყო. ბონევმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში პოლონეთთან 0:3 წაგების შემდეგ გამძაფრებულ კრიტიკას ველარ გაუძლო და თანამდებობიდან წინა ორშაბათს გადადგა. იმ შეხვედრაში დიმიტროვი ნაკრების ხელმძღვანელთა შორის ასისტენტის რანგში იჯდა, მაგრამ მისი, როგორც ასისტენტის კარიერა, სულ ერთმატჩიანი გამოდგა.

დიმიტროვმა სახელი ბოლო ორ სეზონში გაითქვა. სანამ „ლიტექსს" ჩემპიონის ტიტულთან მიიყვანდა, მან ბურგასის „ნეფტოხიმიკი" მეორე ადგილზე გაიყვანა.

# გასეირნება თავგანწირვის წინ
# გვანახეთ ბარსელონა!

ბაჩო ქოთოლაშვილის ფოტო



„სტუ-შევარდენმა" ერთიც გაიტანა: გოლი ანდრო ანდრიაშვილმა მიითვალა

სიტყვის კაცი ყოფილა „სტუ-შევარდენის" ხელბურთელ ვაჟთა გუნდის მთავარი მწვრთნელი ზაზა დოლიძე, სიტყვის ხალხი ყოფილან თვით მოთამაშენიც — ევროპის ჩემპიონთა თასის საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩში ტრავნიკის „ბორაცთან" გამარჯვებას გვპირდებოდნენ და, აჰა, ბატონო მოიგეს კიდეც. სტუმრად კარგად ჩატარებული პირველი შეხვედრის მერე შევარდნები თბილისში ლამის იყო, გასეირნებას გეგმავდნენ და ამიტომაც ვფრთხილობდით, ზედმეტმა თავდაჯერებამ ბიჭები არ მოადუნოს და ხათაბალა არ შეგვემთხვესო, მაგრამ ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც ზაზა დოლიძეს ჩაეფიქრებინა: „სტუ-შევარდენმა" „ბორაცი" ყველა კომპონენტში დაჯაბნა, გამართული, აზრიანი ხელბურთი ითამაშა, თვითონაც გაიხარა და სპორტის სასახლეში მოსული გულშემატკივარიც გაახარა. საბოლოო ჯამში ჩვენებურებმა ბოსნიელებს 12-ბურთიანი უპირატესობით 34:22 მოუგეს და ჩემპიონთა თასის მეთექვსმეტედფინალში გავიდნენ, იქ კი, ადრეც გაუწყეთ, ქართველთა მეტოქე ევროპული ხელბურთის ერთ-ერთი გრანდი, ჩემპიონთა თასის ბოლო ოთხი წლის მფლობელი, ესპანეთის „ბარსელონა" იქნება.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი

US OPEN

წლის ბოლო ორკვირიანი საჩოგბურთო მარათონი, ამერიკის ღია პირველობა მსოფლიოს მესამე ჩოგნების — პატრიკ რაფტერისა და ლინდსი დევენპორტის მართლაც დამსახურებული გამარჯვებებით დასრულდა. მექალთანე პრეზიდენტის სკანდალებით, კეტბურთის რეკორდებით დაჩრდილული და სტიქიის შეტევებით შეჭირვებული სეზონის ბოლო დიდი სლემის ამერიკული ტურნირი დევენპორტის კარიერაში პირველი, ავსტრალიელისთვის კი მეორე ტრიუმფია

იხილეთ მეთორმეტე გვერდი

# მე ვარ მესამე?!

REUTERS ნიუ-იორკიდან



პატრიკ რაფტერი



ლინდსი დევენპორტი

# ასეთ მშვიდობას რა ვუთხარ!

თბილისი
14 სექტემბერი
17 საათი
ისანი
2500 (ტევადობა 5000)

**არსენალი 0:0 ლოკომოტივი**

**არსენალი:** ჩლაიძე, ლაცაბიძე, ცერცვაძე, ვ. გველესიანი, გემეზაშვილი (მ. თევზაძე 65), მ. მაისურაძე, ყოლბაია, ლომიძე, დ. კაპანაძე (ხოსროშვილი 46), კაკაშვილი (გ. სულაძე 77), ტარიელაშვილი
*სათადარიგონი:* აბაშიძე, ყუფარაძე, ამირიძე, ფირცხალავა
**ლოკომოტივი:** დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, არსოშვილი, კაციაშვილი, თარხნიშვილი, კვიტატიანი (მ. მინდიაშვილი 75), მარლიშვილი, კ. მელქაძე, დაუშვილი (გიორგი ქორიძე 63), გოდერძიშვილი, გ. ლუდუშაური (ნ. მინდიაშვილი 39)
*სათადარიგონი:* დოლაბერიძე, ხორგუაშვილი, ბაქრაძე, ქვარცხავა
**გაფრთხილება:** კაპანაძე (2), თარხნიშვილი (23), გველესიანი (48), დაუშვილი (48), ბალაშვილი (65)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე, ა. ქარქაშაძე, ს. შალამბერიძე; ზ. დარჩია (ყველა თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** ნ. ამირეჯიბი

**ხვიჩა სანიკიძე**

გუშინდელი შეხვედრა მეექვსე ტურის ჩამამთავრებელი გახლდათ. მისმა მონაწილეებმა კარგად უწყოდნენ თავიანთი კონკურენტების შედეგები. „ლოკომოტივი“ მხოლოდ გამარჯვების შემთხვევაში გადაუსწრებდა „ტორპედოს“, ხოლო ორი საფეხურით ჩამოქვეითებულ „არსენალს“ ძველი პოზიციის დაბრუნება და კიდევ უფრო გამაგრება ეწადა.

თავიდანვე გეტყვით, რომ თამაში ერთობ დაძაბულად და არაკორექტულად წარიმართა. მეტოქეები აშკარად მხოლოდ შედეგზე ფიქრობდნენ, მიზნის მისაღწევად უხეშობასაც არ ერიდებოდნენ და შილაკაძეს უფრო მეტი სიმკაცრე რომ გამოეჩინა, წითელი ბარათების აფრიალებაც არ დააზანებდა. მატჩმა უგოლო ფრე დააფიქსირა, ფრე, რომელიც სტუმართათვის წაგების ტოლფასი იყო...

შეხვედრის წინა ვარჯიშზე „არსენალის“ გამთამაშებელმა ლევან კორლალიძემ მცირე ტრავმა მიიღო და არმიელები უმისოდ თამაშობდნენ. სწორედ ამის გამო იყო, მასპინძელთა ბომბარდირ კაკაშვილს შედარებით უკან რომ უწევდა მოქმედება და თავდასხმაში მხოლოდ ტარიელაშვილი ირჯებოდა. ასევე ერთი ფორვარდი გამოიყვანა თემურ მახარაძემ და აშკარად კონტრშეტევითი ტაქტიკა აირჩია. თუმცა ოთარ კორლალიძესაც იგივე ჩანაფიქრი ჰქონია ამ შეხვედრისთვის. ამიტომაც პირველ ნახევარში ბრძოლა მოედნის ცენტრში უფრო მიმდინარეობდა. მეტოქეები აშკარად მოწინააღმდეგის შეცდომას ელოდნენ და შეტევაზე სულაც არ ზრუნავდნენ. ოდნავ უპირატესობას მაინც სტუმრები ფლობდნენ. ისინი გაცილებით სახიფათოდ ჩხვლეტდნენ მასპინძლებს. მათი გააქტიურება ძირითადად მარლიშვილის მოქმედებაზე იყო განპირობებული და როცა როინი პასიურობდა, „ლოკომოტივიც“ ქაოსურად მოქმედებდა. რკინიგზელების შემადგენლობაში პირველად ვიხილეთ მოსკოვის „ტორპედოდან“ მობრუნებული გიორგი ლუდუშაური, რომელსაც აშკარად ეტყობა სათამაშო პრაქტიკის უქონლობა და ვერ არის ჩვეულ ფორმაში. მახარაძემ სრუბეშა დროულად გამოცვალა და მინდორზე ნუკრი მინდიაშვილი შეუშვა. პირველ ნახევარში აშკარა საგოლე მომენტი არც ერთ კართან არ შექმნილა. გუნდები სტანდარტული მდგომარეობებიდან ცდილობდნენ, ხეირი ენახათ, მაგრამ...

აი, მეორე ტაიმში კი მართლაც უშეღავათო ბრძოლა გაიმართა. არმიელებმა იგრძნეს, რკინიგზელებს არ გამოსდით თამაში და მოწინააღმდეგის მოედანზე ხშირი სტუმრობა დაიწყეს. განსაკუთრებით მათი მარცხენა ფრთა გააქტიურდა გემეზაშვილის მონდომებით. მის წინააღმდეგ ხშირად სცოდავდნენ „ლოკომოტივის“ მცველები.

თანდათან დაიწყო ფეხბურთელთა ხისტი მოქმედებაც და მონასტერიც აირია. ამის გამო მატჩი ოთხჯერ გაჩერდა. წაკინკლავებულ მოთამაშეთა გასაშველებლად მსაჯმა მხოლოდ ერთხელ მიმართა მკაცრ ზომას. გველესიანი და დაუშვილი ყვითელმა ბარათებმა დააშოშმინეს. მახარაძემ იგრძნო ქულების დაკარგვის საშიშროება და შეტევაში გოდერძიშვილს შეცვლაზე შესული მახარე მინდიაშვილი შეუწყვილა, მანამდე კი მარჯვენა გარემარბი ქორიძე გამოიყვანა. ტრავმირებულ გემეზაშვილს ხუთი წუთი ელოდა „არსენალის“ მწვრთნელი იმ იმედით, რომ იგი თამაშის გაგრძელებას შეძლებდა. ამ ხნის განმავლობაში მასპინძლები კაცნაკლულნი დარჩნენ. გემე იძულებული იყო, დაეტოვებინა მინდორი და ადგილი ვეტერან მერაბ თევზაძისთვის დაეთმო. სწორედ იმ მომენტში ოთარ კორლალიძემ მეტად გაბედული ნაბიჯი გადადგა. მანაც თავდამსხმელ სულაძეს მისცა თავის გამოჩენის შანსი და თამაშიც გაიხსნა. აქედან მოყოლებული თითქმის ყოველ წუთს იქმნებოდა სახიფათო მომენტი ორივე გუნდის კართან, მაგრამ ფორვარდები აშკარად სცოდავდნენ. რკინიგზელთაგან გოდერძიშვილს და ქორიძეს შეეძლოთ თავის გამოჩენა, შემდეგ ცერცვაძე გადაურჩა ავტოგოლს. არსენალელ სულაძეს და ტარიელაშვილსაც უნდა ეხეირათ, მაგრამ ჯანელიძემ იმარჯვა.

88-ე წუთზე კი „ისანზე“ მსაჯობის ქართული ვარიანტი გათამაშდა — მეტოქის ნახევარზე ტარიელაშვილი დაუსხლტა თარხნიშვილს, რომელმაც მეკარესთან პირისპირ მიმავალს ხელი გამოსდო. ასეთ შემთხვევაში იცით, რასაც აკეთებენ არბიტრები, ჩვენგან არ გესწავლებათ, მაგრამ რად გინდა... შილაკაძემ შეხვედრის მშვიდობიანი დასასრული იგრძნო და საქმეს რატომ გაირთულებდა? ისე, ასეთ მშვიდობას რა ვუთხარ.



ბადრი ადამიშვილის ფოტო

მახარე მინდიაშვილმა თემურ ცერცვაძის მაისურის სიმტკიცეც შეამოწმა

# ყველაფერში დამნაშავე შენა ხარ!

თბილისი
13 სექტემბერი
17 საათი
სინათლე
1000 (ტევადობა 2000)

**მერანი 1:0 თსუ**

1:0 დავითაშვილი (86)
**მერანი:** ლომაია, დევიძე, ასპინძელაშვილი, დავითიძე, დანელია, გ. კვეტენაძე (ბაჟელიძე 90), გელა ქორიძე (ჟიშკარიანი 90), ე. ალადაშვილი, დავითაშვილი, ხუციშვილი, მესხი
*სათადარიგონი:* ნაჭყეპია, ხარებავა, ივანიშვილი, ჩანადირი, ადეიშვილი
**თსუ:** ბათიაშვილი, გ. ილურიძე, კ. სვანიძე, თ. კობიაშვილი, ნინუა, ცომაია, კაკუბავა, მაღრაძე, წიტაიშვილი, ჭუმბურიძე, როსტიაშვილი (ვ. ღუდუშაური 80)
*სათადარიგონი:* გაბელია, ქიაბრიშვილი, ინწკირველი, ო. სულაძე
**გაფრთხილება:** როსტიაშვილი (80), დავითიძე (90)
**მსაჯები:** მ. მალალურაძე; ა. მეშკოვი (ორივე თბილისი), ა. ორდენიძე (ონი); ე. სილაგავა (თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** ბ. ქარქაშაძე

**ვანო ოქროპირიძე**

თბილისის „მერანი“ მეათე ეროვნულ ჩემპიონატში მეოთხე მატჩს ატარებდა საკუთარ მინდორზე. საგულისხმოა, რომ წინა სამი საშინაო შეხვედრიდან ტრანსპორტელებს ერთიც ვერ მოეგოთ და ის ერთი გამარჯვებაც სტუმრად, თანაც ბოლნისში მოეპოვებინათ. თუმც „მერანს“ წაგებითაც მხოლოდ ერთი მატჩი წაეგო, ისიც ქვეყნის უცვლელმა ჩემპიონმა თბილისის „დინამომ“ აგემა. რაც შეეხება თსუ-ს იგი ხუთ შეხვედრაში ოთხი მარცხით ცხრილში ბოლოსწინა ადგილზე დამკვიდრებულიყო და, ბუნებრივია, „მერანს“ უბრძოლველად არაფერს დაუთმობდა.

თამაშის პირველი ნახევარი ულიმღამოდ და დუნედ წარიმართა. ერთი სახიფათო მომენტიც არ შექმნილა. ფეხბურთელები ძირითადად შორი მანძილიდან ცდილობდნენ კარის დალაშქვრას, მაგრამ ძალიან უხეიროდ. და საერთოდ იმას, რაც „სინათლეზე“ შეკრებილმა მაყურებელმა პირველ ტაიმში იხილა, ძნელად თუ უწოდებდა კაცი ფეხბურთს.

რაც შეეხება მეორე ნახევარს, იგი შედარებით უკეთესი სანახავი გამოდგა. პირველისგან განსხვავებით, სახიფათო მომენტები საკმაო იყო. მაგრამ იგი ძირითადად ერთმა გუნდმა შექმნა და ეს გუნდი, ყველასათვის გასაკვირად, თსუ იყო. სტუდენტები ოთხჯერ დარჩნენ მასპინძელთა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ოთხჯერვე ლომაიამ იმარჯვა და კარი აშკარა გოლებს გადაარჩინა. ჭუმბურიძეს, სვანიძეს და ორჯერ როსტიაშვილს ერთი მომენტი მაინც რომ გამოეყენებინათ, ძნელი სათქმელია, ვინ გაიმარჯვებდა. ამის გარდა თსუელებს კიდევ შეეძლოთ გატანა, მაგრამ ამაოდ, ლომაია შეუდარებელი გახლდათ. 77-ე წუთზე კაკუბავამ როსტიაშვილთან კედელი გაითამაშა და საჯარიმოს წინა ხაზიდან უძლიერესად დაარტყა. ლომაიამ ჩინებულ ნახტომში ბურთს ხელი კი წაარტყა, მაგრამ ძელი რომ არა, გოლი მაინც გავიდოდა. 86-ე წუთზე მასპინძლებმა კარგი შეტევა განახორციელეს — დანელია-დავითიძე-დავითაშვილის კომბინაცია ახლო მანძილიდან ამ უკანასკნელის გოლით დასრულდა. ამ გოლმა სტუმართა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. გაბელიამ და მისმა შეგირდებმა ჩათვალეს, რომ ბურთი წესების დარღვევით გავიდა და მის გაუქმებას მოითხოვდნენ, მაგრამ ცხადია, მსაჯს გადაწყვეტილება არ შეუცვლია. ბოლო წუთებში თსუ უფრო გააქტიურდა და ისევ ლომაიას ჩინებული თამაში რომ არა, ანგარიშს უეჭველად გაათანაბრებდა. მატჩის შემდგომ სტუდენტთა ხელმძღვანელობა მსაჯების მიმართ უკმაყოფილებას ვერ მალავდა და მარცხშიც მათ ადანაშაულებდა. ისე, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თსუ ამ მატჩში წაგებას ნამდვილად არ იმსახურებდა.

# სამი წაქცევა — ერთი პენალტი

წყალტუბო
12 სექტემბერი
17 საათი
26 მაისი
500 (ტევადობა 12 000)

**სამგურალი 1:0 ოდიში**

1:0 ფაიქიძე (89პ)
**სამგურალი:** სტურუა, ფრანგიშვილი, გ. თევზაძე, ლ. ქობულაძე, დარსაძე, დ. ჭელიძე, ი. ხაჭაპურიძე, მ. ჯინჭარაძე (ჯავახაძე 70), ფილიპაშვილი (ფაიქიძე 46), თევდორაძე, (კ. ჯანაშია 46), უგულავა
*სათადარიგონი:* ხაჩირაშვილი ზ. ქუთათელაძე, ლონლაძე
**ოდიში:** ნაყოფია, ლურწკაია, პ. ლურსმანაშვილი, კიპაროიძე, ტყემალაძე, კ. კვეკვესკირი, ბარქაია, კუტალია (იოსავა 39), მარკოზია, ტაბალუა (თოლორაია 59), ენდელაძე
*სათადარიგონი:* გოგია, ჯოჯუა, ჭურღულია, აკობია, კაკულია
**გაფრთხილება:** თევზაძე (11), ჭელიძე (45), კიპაროიძე (51), ლურწკაია (77), ფაიქიძე (83)
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი); გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე (ორივე სამტრედია); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** ვ. მელაშვილი

**იუზა კაციტაძე წყალტუბოდან**

30-ე წუთზე ოდიშართ გოლკიპერმა ბურთი თამაშში ისეთი ძლიერი დარტყმით შეიყვანა, ჩვეულებრივ სიტუაციაში, ალბათ 60-70 მეტრს მაინც იფრენდა და, თავისთავად, „სამგურალის“ ნახევარზე დაეშვებოდა. აქ კი რა მოხდა?! ბურთი ჰაერში აიჭრა თუ არა, ქარმა გაიტაცა და საპირისპირო მიმართულებით გააქანა. ნაყოფიას წინ დარტყმული ზუგდიდელებს კუთხურად დაუბრუნდათ. ქარიღა აკლდათ საცოდავებს, „26 მაისზე“ მობურთავეები ისედაც ვერ ვარგოდნენ. განსაკუთრებით პირველ ტაიმში. 45 წუთი ისე გაილია, მეტოქეები ერთმანეთის საჯარიმოს არ გაჰკარებიან. წყალტუბოელებმა სამჯერ შორიდან დაარტყეს კარის მიმართულებით. დარსაძეს და ჭელიძეს მეკარემ აუღო იოლად, თევზაძის მიერ გასროლილმა კი ხარიხას გადაუქროლა. მასპინძლები ენდელაძის გარდა, ფაქტობრივად, არავის შეუწუხებია. მაგრამ ზვიადმაც მხოლოდ ის მოახერხა, რომ მსაჯს ორი წყალტუბოელი გააფრთხილებინა.

შესვენების შემდეგ ქარი ოდნავ ჩაცხრა და ბურთაობასაც შედარებით შნო მიეცა. ფაიქიძე და ჯანაშია აქტიურად ჩაებნენ თამაშში და მასპინძლებმა დიდი ძალებით შეუტიეს. თუმცა „ოდიშის“ საჯარიმოში“ შესვლა კვლავინდებურად უჭირდათ. ზუგდიდელები მედგრად იდგნენ დაცვაში, მოიერიშეებს ბურთის მიღებას არ აცლიდნენ. ყველა მიმართულებით იგერიებდნენ. მართალია, სტუმრები იშვიათად თუ გამოჩნდებოდნენ წყალტუბოელთა ნახევარზე, მაგრამ ამ მატჩში პირველი სახიფათო მომენტი სწორედ მათ შექმნეს. 75-ე წუთზე ენდელაძემ საჯარიმოდან დაუგორა კვეკვესკირს, ამანაც დაახლოებით 20-მეტრიდან უძლიერესად დაარტყა. სტურუას თავგანწირვა რომ არა, „ოდიში“ დაწინაურდებოდა კიდევაც. მეკარე ნახტომში ზედ ძელთან მიწვდა ბურთს.

უშინაარსო, მოსაწყენი თამაში ცოტა კიდევ გაგრძელდა. ნათლად ჩანდა, სტუმრები გასვლით მატჩში აღებულ ქულაზე ყაბულს იყვნენ. მაგრამ მასპინძლებს ხომ ფრე არანაირად არ აწყობდათ. და მათაც ბოლო ათ წუთში ძირეულად გარდაქმნეს თამაში. უფრო მწვავედ შეუტიეს. 81-წუთზე ფაიქიძე აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, მაგრამ მეკარესთან ორთაბრძოლისას წაიქცა. მსაჯმა ნაყოფია გაამართლა. სულ მალე იგივე ფაიქიძე შეიჭრა საჯარიმოში, მას მცველი შეებრძოლა და... წყალტუბოელი ისევ დაეცა. მსაჯმა ამჯერადაც ვერ შენიშნა დარღვევა, აღშფოთებულ ფაიქიძეს კი უმალ ყვითელი ბარათი უსახსოვრა. 85-წუთზე გატანის ასპროცენტიანი შანსი დაჰკარგა ჭელიძემ, რომელმაც შვიდიოდე მეტრიდან კარს ზემოთ გაგზავნა ბურთი. ფორტუნამ წყალტუბოელებს მაინც გაუღიმა. სტუმართა კარზე მიტანილი მათი უკანასკნელი იერიში 11-მეტრიანით დასრულდა. მცველთა დასახმარებლად საკუთარ საჯარიმოში ჩასულმა მარკოზიამ აშკარად წააქცია ხაჭაპურიძე და ლაცაბიძესაც, თუმც შეფიქრიანდა, სხვა გზა არ ჰქონდა. ფაიქიძეს დარტყმისას ცნობილ პენალტისამღებ მეკარის გარდა ქარიც ეწინააღმდეგებოდა. სამგურალელმაც ორივე გააცურა. ჯერ ქარის ჩადგომას დაელოდა, ხოლო ნაყოფია სხვა კუთხეში გადაახტუნა.

წყალტუბოელებმა მეტად საჭირო სამი ქულა მოიპოვეს. წინასწარ ძნელი სათქმელია, რა ბედი ეწევა „სამგურალს“ მომდევნო თამაშებში. ერთი ცხადია, გაიოზ დარსაძე ბოლოს და ბოლოს თავის გუნდს ან თამაშს ასწავლის, ანაც, ღმერთმა დაიფაროს, ინფარქტს „აიკიდებს“.

# როდემდე?

რუსთავი
12 სექტემბერი
17 საათი
ფოლადი
1500 (ტევადობა 10 700)

**გორდა 3:1 სიონი**

1:0 კილასონია (23), 2:0, 3:0 ჩუხუა (51, 55), 3:1 გოგოლაძე (68)
**გორდა:** ბედიაშვილი, ჩოხელი (ი. ხუჯაძე 46), ბურნაძე, ბექაური, მ. სახვაძე, კილასონია, ტარტარაშვილი (ზ. ლაბაძე 60), ზირაქაძე, მჭედლიძე, ჩუხუა (ლ. ალადაშვილი 88), კ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* მ. ქორიძე, დ. მენთეშაშვილი, ბიჭიაშვილი, შ. კაპანაძე
**სიონი:** დალაქიშვილი, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, დ. ბერიძე, მ. სამხარაძე, ე. ჯაფარიძე (დ. ჯაფარიძე 62), გოგოლაძე, გაგუა (ჯაგიდისი 46), თ. სამხარაძე, მოსეშვილი (ქობელაშვილი 57)
*გაფრთხილება:* მჭედლიძე (36), კ. ალადაშვილი (68), დ. ჯაფარიძე (70)
**მსაჯები:** თ. ლორთქიფანიძე (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი)
**სფფ-ს დელეგატი:** ნ. კობერიძე

**პაატა კვანტალიანი რუსთავიდან**

საკვირველია რუსთაველთა საქმე. კაცი რომ ჭუჭყიან საცვლებზე ლამაზ ტანსაცმელს ჩაიცმევს, იუბილარი ქალაქის მესვეურთ სწორედ ისე მოსდით. 50-ე წლისთავთან დაკავშირებით ქალაქში გამალებული სამზადისია — სახლების შეღებვა, იქით მონუმენტების აღმართვა, ქუჩების გალამაზება და ათასი რამ... რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი კარგი და მისასალმებელია, მაგრამ სპორტმა რა დააშავა. აგერ დღეს ყურადღებამოკლებული (რბილად რომ ვთქვათ) რუსთაველი კალათბურთელები კორაჩის თასის გათამაშებაში ჩაებმებიან, საფეხბურთო „გორდა“ კი სულაც სულს ღაფავს. სრულფასოვან ხელფასზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, ბიჭებს პურის ფული ენატრებათ. ეს დალოცვილი ფეხბურთი ვაჟკაცური სპორტია, ხან ბურთს მოხვდება, ხანაც ფეხბურთელს. დაშავებულ მოთამაშეს კი ექიმი და წამალი უნდა. ვითომ არ სჭირდება „გორდას“ ექიმი? თუ მისი ფუნქცია გუნდის ადმინისტრატორმა უნდა შეითვისოს? იქნებ ტრავმირებულ მოთამაშეს მარტო წყალი შველის, ან მეტოქე გუნდის ექიმის იმედად უნდა იყოს? გუნდს შველა უნდა, თორემ ძნელი სათქმელია, მწვრთნელების და ფეხბურთელების ენთუზიაზმი როდემდე გასტანს. აი, ასეთი სიტუაცია იყო რუსთავში ბოლნისის „სიონთან“ მატჩის წინ. თავად შეხვედრა მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო და მათივე გამარჯვებით დასრულდა. რუსთაველთა რიგებში კილასონია და ჩუხუა გამოირჩეოდნენ. მათი მეცადინეობით „გორდამ“ თავიდანვე დიდი უპირატესობა მოიპოვა და ტაიმის შუაწელში დაწინაურებაც შეძლო — მარცხენა ფრთიდან საჯარიმოში შეჭრილმა კილასონიამ ძლიერი დარტყმით დალაქიშვილს შანსი არ დაუტოვა. ტაიმი კვლავ რუსთაველთა უპირატესობით გაგრძელდა და ასეც ჩამთავრდა. მეორე ნახევარში ბოლნისელთა რიგებში შეცვლები გაკეთდა. ჯაგიდისი და ქობელაშვილი აქტიურად ჩაებნენ თამაშში, მაგრამ იმ დღეს რუსთაველები შეუჩერებელნი იყვნენ. მეორე ნახევრის საწყის ათ წუთში გორდამ ანგარიში 3:0 გახადა. ორჯერ ჩუხუამ მშვენივრად ისარგებლა მცველების და მეკარის შეუთანხმებელი თამაშით და სტუმრები დაამწუხრა. ერთადერთი, რაც ბოლნისელებმა შეძლეს, პრესტიჟის გოლის გატანა იყო — გოგოლაძემ კარგად გამოიყენა სამხარაძის ჯარიმიდან ჩაწოდებული და ანგარიშიც დაასველა.

ცოტა რამ ბოლნისელთა პრობლემებზეც ვთქვათ — გუნდში არაჯანსაღი სიტუაციაა შექმნილი. გემახსოვრებათ, ერთობ სკანდალურ სიტუაციაში გუნდიდან ფეხბურთელი და მწვრთნელი გაუშვეს. რუსთაველთაგან განსხვავებით „სიონს“ ექიმი კი ჰყავს, მაგრამ მეორე მეკარის საკითხი ვერა და ვერ გადაჭრა. არადა, დალაქიშვილი ტრავმირებულია და კვლავ ტკივილგამაყუჩებლების საშუალებით ითამაშა.

ასეა, გეგმა შესრულებულია. ნუთუ ყველაფერი მოვალეობის მოხდის მიზნით უნდა ვაკეთოთ. ჩვენთვის მთავარი მარტო მატჩის ოქმის შევსებაა?! არ ყოფილა, ბატონო, საჭირო არც ექიმი, არც მეკარე. მალე მწვრთნელიც არ დაგვჭირდება. ფეხბურთი თუ გვინდა ასეთი, აი, ეს ვიკითხოთ.

გორი
12 სექტემბერი
17 საათი
ცენტრალური
1500 (ტევადობა 8 230)

**დილა 0:1 ბათუმი**

0:1 კანტიძე (80)
**დილა:** მდივანი, ფეზუაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, თ. სამხარაძე, გაგნიძე, მოსულიშვილი, მარეხაშვილი, ახალკაცი (ბ. ჩიტაია 73), კაიდარაშვილი, თაყაძე, შატაკიშვილი
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე, დ. მაისურაძე, ლ. გოჩაშვილი, გუდურაშვილი
**ბათუმი:** ტოგონიძე, პაპიძე, მინდაძე, სიჭინავა, კანტიძე, ღლონტი, მ. მახარაძე, ჭიჭველიშვილი, გადელია (აფხაზავა 70), თორლაშვილი, რუსია
*სათადარიგონი:* ფუტკარაძე, მაქაცარია, ვერემჩუკი, რომანაძე, ნადირაძე
**გაფრთხილება:** გაგნიძე (44), რუსია (84)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია, კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), გ. ცირდავა (გულრიფში); ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი)
**სფფ-ს დელეგატი:** მ. იაშვილი

**კონსტანტინე გოგიშვილი** გორიდან

გორული მატჩის მიმოხილვა უცილოდ ტრიბუნებიდან რეპორტაჟით უნდა დავიწყოთ, რომლებიც მატჩამდე დაახლოებით ორმოცი წუთით ადრე დაიკავა გულშემატკივარმა და ამ დროიდან მოყოლებული შეხვედრის ბოლომდე ყიჟინა და შეძახილიც არ შეწყვეტილა. ვის-ვის და გორელებს გუნდის მხარდაჭერა არ ესწავლებათ. მათ საამისოდ ტრადიცია-გამოცდილებაც უწყობთ ხელს და სხვა აქტიური (მეტიც, აგრესიული) მაყურებლისგან საოცარი ორგანიზებულობითაც გამოირჩევიან. ამადაა, ტაშსაც ერთდროულად დასცხებენ ხოლმე გორელები და ლანძღვა-გინებასაც ერთად, ხმაშეწყობით მიახლიან მეტოქეს ან მსაჯს.

# ქართულ ფეხბურთს რა?...

„დილა“ — „ბათუმის“ შეხვედრასაც ჩვეულად შეხვდა გორელი მაყურებელი. მოთელვაზე გამოსული „დილას“ მთელმა წინა სამატჩო სამზადისმა გამამხნევებელი შეძახილების ქვეშ ჩაიარა, არც მეტოქეთა დამთრგუნველი გამონათქვამები დავიწყებიათ ქართლელებს და ერთი-ორჯერ შეხვედრის მთავარ არბიტრსაც ჩვეულად შეუძახეს — კვარაცხელიას რაა...

მატჩი კი ახალგაზრდა გორელების შეტევებით დაიწყო. 12 სექტემბერს მთელ ამერიმერში ციოდა და რა გასაკვირია, გორშიც ჯდომას-დგომა, დგომას კი სირბილი რომ სჯობდა. ფეხბურთელებიც თავს არ ზოგავდნენ და მთელმა თამაშმა ბრძოლაში და საშუალოზე მაღალ ტემპში ჩაიარა. განსაკუთრებით „დილას“ „უწვერული ფრთები“ — თაყაძე-ახალკაცის დუეტი ირჩეოდა, რომელთა მრავალჯერ ჩაკიდებულმაც არაერთი საფრთხე შექმნა ტოგონიძის კართან. სწორედ თაყაძის ჩაწოდებულის შემდეგ მოახერხა ახალკაცმა თავურით ბურთის კარისკენ გადაგზავნა, მაგრამ ააცილა. „დილას“ წლევანდელი დებიუტანტები არც ამას დასჯერდნენ და 25-ე წუთისთვის ახლა მარცხნივ გაჭრილმა ახალკაცმა ჩააწოდა. ბურთი კაიდარაშვილმა დაისაკუთრა, ერთი მცველი ჩამოიცილა და დაახლოებით მეკარის სჯარიმოდან დაარტყა. ბურთი ტოგონიძეს კი გასცდა, მაგრამ არეულობაში მცველებმა შეძლეს მოგერიება. ტაიმის ბოლოსთვის ხელი ბათუმელებმაც გამოიღეს და პირველი ნახევრის ბოლო ათმა წუთმა მათ გამუდმებულ იერიშებში ჩაიარა. აქ განსაკუთრებით რუსია გამოირჩა. აჭარელი ფეხბურთელები მშვენივრად იყენებდნენ მის სისწრაფეს მეტწილ მეთერთმეტე ნომრისკენ აგზავნიდნენ ბურთს. 39-ე წუთზე რუსია ერთხელაც გაექცა მეტოქე მცველებს, მაგრამ ხაჭაპურიძემ მაისურზე მოქაჩა და ისე შეაჩერა. კვარაცხელიამ ჯარიმა კი დანიშნა, მაგრამ გაფრთხილებით არ გაუფრთხილებია „დილას“ კაპიტანი. ტაიმის ბოლოს გადელიამ მოიპარა ბურთი, პირისპირაც გაიყვანა რუსია, მაგრამ მამუკამ მეკარის მოტყუება მოინდომა, ზედ გადაემხო მდივანს და კარისკენ გაგორებული ბურთი ხელზე მოხვდა. არბიტრმაც უყოყმანოდ დანიშნა ჯარიმა.

მეორე ნახევარში სტუმრების უპირატესობა გამოიკვეთა. თავი იჩინა ახალგაზრდა გორელების სუსტმა ფიზიკურმა მომზადებამ. მათმა ნახევარდაცვამ მთლიანად დათმო მოედნის ცენტრი და ერთადერთი შატაკიშვილი ცდილობდა რაიმესთვის თავის მობმას.

ბათუმელებმა უპირატესობა სამი გოლით გამოხატეს. ამათგან პირველი აშკარა თამაშგარე იყო, მეორე „გამოგონილი“ მესამე კი... ბრწყინვალე. აბა, ჩაუთვლელი გოლების აღწერა ვისთვის რა საინტერესოა, ჩათვლილზე კი მართლაც ღირს ორიოდ სიტყვის თქმა. ხაჭაპურიძემ საჯარიმოს მარცხენა წვეროსთან რუსია მოცელა, ჯარიმა კანტიძემ „მოჭრა“ და ისე დიდებულადაც, რომ მდივანი ბურთიანად კარებში აღმოჩნდა. ეს ლამაზი „ცხრიანი“ საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ „ბათუმს“ ბოლო წლებში ტრადიციად ქცეული სამი ქულა წაეღო გორიდან.

მატჩის აღწერას კი ბათუმელთა პრეზიდენტის სინანულის სიტყვებით ნათქვამით დავამთავრებთ:

— კიდევ კარგი, სამართალმა პური ჭამა და გავიტანეთ, თორემ იმ აშკარა გოლის მიუხედავად შეხვედრას 0:0 დაგვამთავრებინებდნენ, აქაოდა, სტუმრებიც კმაყოფილნი დაგვრჩებიან და მასპინძლებიცო. დავუშვათ, მსაჯის გამო ქულა გაგვეყო გორელებთან, ამით ქართულ ფეხბურთს რა...



ალეკო კაიდარაშვილს რომ ნიკა ტოგონიძისთვის ეს ბურთი გაეტანა...

ქუთაისი
13 სექტემბერი
17 საათი
გივი კილაძე
3000 (ტევადობა 23 800)

**ტორპედო 4:0 იბერია**

1:0, 2:0 იონანიძე (40, 51), 3:0 ჯანაშია (54), 4:0 მეგრელაძე (90)
**ტორპედო:** ასლანაძე, პ. ჯინჭარაძე, თურმანიძე, ი. ვაშაკიძე, ჩხაიძე, შეყრილაძე, კ. კვეტენაძე, ჩხეტიანი (კ. მეტრეველი 81), დ. ჯანაშია, იონანიძე (მეგრელაძე 68), ვაჩიბერაძე (მაღლაკელიძე 46)
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი, ყიფიანი, ქებაძე
**იბერია:** ა. ლაბაძე, ნიკოლეიშვილი, ქობესაშვილი, გეგეშიძე, ი. გიგიაძე, ამაშუკელი (ვარდიაშვილი 72), შ. ჩომახიძე, ხუჭუა (თოდუა 74), ვ. გიგიაძე, დარასელია (ივეჩიანი 59), გ. ჭელიძე
*სათადარიგონი:* ჩაჩუა, გ. ლურსმანაშვილი, მიქელთაძე, ბრეგვაძე
**გაფრთხილება:** ნიკოლეიშვილი (4), დარასელია (45)
**მსაჯები:** გ. ახკაროლლი (ქარელი), მ. ელიკაშვილი, ი. შალამბერიძე (ორივე თბილისი); ს. ლორთქიფანიძე (ტყიბული)
**სფფ-ს დელეგატი:** ჯ. ანთიძე

**იუზა კაციტაძე** ქუთაისიდან

# ორი გახმერხდა! მესამე?

ჯემალ ხერხაძეს მწვრთნელობა ეშლებაო, ვერავინ იტყვის. მაგრამ „ტორპედოს“ ახალ თავკაცს იღბალიც რომ ჰქონია... მისი ხელმძღვანელობით გუნდმა აგერ მეორედაც იმარჯვა. ამჯერად დიდი ოფლისღვრის გარეშე, საკმაოდ იოლად გაუსწორდა მეზობელ მეტოქეს.

ქუთაისელთა უპირატესობა თავიდანვე იგრძნობოდა. უკვე მეორე წუთზე ჯანაშიას ფლანგურ რეიდს სამტრედიელთა საჯარიმოში სახიფათო ჩაწოდება მოჰყვა. ქობესაშვილმა თაურით კინაღამ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. მართალია, ამის შემდეგ სტუმრები მთელი ნახევარი საათი ფხიზლად იცავდნენ თავს და, სამართლიანები უნდა ვიყოთ, როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდათ კონტრშეტევაზეც გადადიოდნენ, მაგრამ ნათლად ჩანდა, „იბერია“ ასეთი თამაშით ფონს ვერ გავიდოდა. საკმარისი იყო, მასპინძლებს ტემპისათვის ემატათ, რომ სტუმართა დაცვაში ბზარები გაჩნდა.

33-ე წუთზე ლაბაძემ იხსნა თავისიანები, როდესაც ჯანაშიას მიერ დარტყმულს კარის კუთხეში დააფარა. სამ წუთში ჩხეტიანმა ითამაშა მაღალოსტატურად. საჯარიმო მოედნის მისადგომებთან მიყოლებით სამი სამტრედიელი მოატყუა, კარს დაუმიზნა, თუმცა ბოლო მომენტში წაიფორხილა და დარტყმა გაუცუდდა. რამდენიმე წუთში კვეტენაძემ მარცხნიდან ჩააწოდა ბურთი სტუმართა საჯარიმოში, იონანიძემ მაღალ ნახტომში მხოლოდ თავი წაჰკრა. მიმართულება ოდნავ შეუცვალა და ანგარიში გაიხსნა. შესვენებამდე ორი წუთით ადრე სამტრედიული გუნდიდან საბრძოლველად სხვებზე მეტად შემართულმა ჩომახიძემ სახიფათოდ შეასრულა საჯარიმო, თუმცა „ტორპედოს“ კარის ჯვარედინს ოდნავ ააცილა.

თუკი პირველ ტაიმში სამტრედიელები ასე თუ ისე მაინც უმკლავდებოდნენ ქუთაისელთა იერიშებს, მეორეში „ტორპედო“ უკვე ორი თავით მაღლა იდგა მეტოქეზე და გადარჩენის არავითარი შანსი არ დაუტოვა. იონანიძის წაქცევისათვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი დაზარალებულმა თავადვე გამოიყენა. არადა, ტორპედოელთა ბომბარდირმა არცთუ კარგად დაარტყა. ლაბაძემ თითქოს აუღო კიდეც, მაგრამ ბურთი ხელებქვეშ გაუძვრა, განმეორებითი ნახტომით კი ველარ მიწვდა. ტორპედოელთა მესამე გოლი კვეტენაძის ჩინებულ პასს მოჰყვა. ახლა ჯანაშიამ გამოიდო თავი, დიდი სისწრაფით შეიჭრა საჯარიმოში, მეკარე მოატყუა და ისე გაიტანა ცარიელ კარში. სამ წუთში „იბერიას“ ერთის გაქვითვა შეეძლო. ვასო გიგიაძე ასლანაძესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მეკარემ აჯობა.

მსაჯების საქმეში ჩარევის უფლება არავის აქვსო კი ამბობენ, მაგრამ ზოგჯერ უთქმელობაც არ იქნება. გვერდითმა ელიკაშვილმა მე-60 წუთზე ქუთაისლებს აშკარა, ორკაციანი ოფსაიდი გაუტარა, ჯანაშიამ კი მომენტით ვერ ისარგებლა. იონანიძისთვის ზუსტად რომ მიეწოდებინა, პარტნიორს ჰეთ-თრიკს შეასრულებინებდა. ამიტომ იონანიძე მხოლოდ დუბლს დასჯერდა და ისე დაუთმო ადგილი მეგრელაძეს. გიამაც თავისი გაიტანა. უკვე დამატებულ დროში ლაბაძესთან პირისპირ დარჩენილმა მეოთხედ შეარხია სამტრედიელთა კარის ბადე. ერთი წუთით ადრე ასევე შეცვლაზე გამოსულ მეტრეველსაც ჰქონდა თავის გამოჩენის შანსი, მაგრამ მისი უძლიერესი დარტყმა ძელმა აისხლიტა.

როგორც ვთქვით, „ტორპედომ“ ეს მატჩი იოლად მოიგო. მორიგ ტურში ქუთაისელებს თავს ასე, ალბათ, აღარ დააჩაგვრინებენ. ხერხაძეს და კომპანიას ხომ ურთულესი თამაში ელის მცხეთაში „ლოკომოტივთან“.



ზურაბ იონანიძე ყოფილ თანაგუნდელებს დუბლით გაუმასპინძლდა

ლანჩხუთი
13 სექტემბერი
17 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
500 (ტევადობა 22 000)

**გურია 2:0 ვიტ ჯორჯია**

1:0 გიორგაძე (27), 2:0 მელაძე (86)
**გურია:** ვარდანიძე, ფაცურია, კაკაჩია, იობიძე, ი. ბუხრიკიძე, ზ. კვეკვესკირი, ინიაშვილი, დ. მახარაძე (პატარაია 82), კავთელაძე (ლორია 56), მელაძე (ჩიკვილაძე 88), გიორგაძე
*სათადარიგონი:* გოგუა, თიბილაშვილი
**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, ზ. მენთეშაშვილი, ჭანკოტაძე, ჯ. მუჯირი, თ. ბოკერია (დოლიძე 62), აბაზაძე (ვ. გოჩაშვილი 46), ქოხონელიძე, ვ. მაისურაძე, ლ. ნოზაძე (პეტრიაშვილი 20), გ. გვაზავა
*სათადარიგონი:* გუგუნავა, ა. ბოკერია, ზ. გვაზავა, ვ. ქუთათელაძე
**გაფრთხილება:** მელაძე (52), პეტრიაშვილი (63), ინიაშვილი (82), დოლიძე (89)
**მსაჯები:** ს. კახიანი (თბილისი); ა. შალამბერიძე, კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი); მ. ჯულაყიძე (სამტრედია)
**სფფ-ს დელეგატი:** ჯ. თანანაშვილი

# მთავარია გქონდეს ფული

**გოჩა ჯანაშია** ლანჩხუთიდან

აგერ ბოლო ორ ტურში ფინანსურად შეჭირვებულ გურულებს, თამაშის ნირიც წახდენილი ჰქონდათ და დაშლის პირას მყოფთ არც ეფეხბურთებოდათ. მაგრამ „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩისთვის მდგომარეობა სასიკეთოდ შეიცვალა. ფეხბურთელებს ნანატრი ხელფას-პრემიაც ნაწილობრივ დაურიგეს და ისინი შესაფერისი განწყობითაც გამოვიდნენ მოედანზე. ბოლო სამი თამაშია, „გურიას“ ქულა რაა ისიც ვერ აეღო და უცილობლად გამარჯვება სწყუროდა. აკი, თავიდანვე მედგრად დაუხვდა ძლიერი მეტოქის შეტევებს და პირველი ხიფათიც თავად შექმნა, როცა მე-13 წუთზე ფაცურიას მიერ საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი, დავით მახარაძემ თავით კავთელაძეს დაუგდო, მაგრამ ამან მეკარის ბაქნიდან დარტყმული ხარიხას გადააცდინა. ხუთიოდე წუთში ისევ მახარაძემ ივარგა. მოხდენილად გაექცა მუჯირს და რომ არა მაისურაძე, უთუოდ გაიტანდა, მაგრამ მხოლოდ კუთხურს დასჯერდა.

მასპინძელთა ასეთ თამაშს, ვიტელები ნამდვილად არ ელოდნენ. სპარტაკ არჩვაძემ იგრძნო მოსალოდნელი ხიფათი და სუსტად გარჯილი ენუქიძე პეტრიაშვილით შეცვალა. თუმცა 23-ე წუთზე გვაზავას ოცი მეტრიდან სახიფათო დარტყმის გარდა, პირველ ტაიმში სტუმრებს არაფერი შეუქმნიათ. მასპინძლებმა კი პირიქით, გაილაღეს და მალე იხეირეს კიდევაც — საჯარიმოს წინ ინიაშვილმა იჯამბაზა. თითქოს შეტევაც დაუყოვნდა, მაგრამ გიორგაძეს მახვილ-გონივრულად უპასა და სანამ ვიტელები თამაშგარეს ითხოვდნენ (მაისურაძე აშკარად ჩარჩა), ჭურაძესთან დაპირისპირებულმა ექს-კოლხმა, გატანის შანსი ხელიდან არ გაუშვა. შესვენებამდე კვლავ გურულები დომინირებდნენ. განსაკუთრებით ფლანგები აქტიურობდნენ — მარცხნივ ფაცურიამ, მარჯვნივ ინიაშვილმა და გიორგაძემ, ბევრი თავსატეხი გაუჩინეს მეტოქე მცველებს. ტაიმის ბოლო ხუთ წუთში სამჯერ ჰქონდათ გატანის შანსი მასპინძლებს. სამჯერვე ხიფათი მარჯვენა ფლანგზე იშვა და სამჯერვე ჭურაძე გაისარჯა ჩინებულად.

მეორე ტაიმი ვეტერინარებმა რიხით დაიწყეს. გოჩაშვილის შემოსვლით, მათ აშკარად მოუმატეს და ათიოდ წუთში გათანაბრების შანსიც მიეცათ. თუმცა რად გინდა — პეტრიაშვილის საჯარიმოში წაქცევისთვის, კახიანი პენალტის ნიშნულისკენ კი წაიწია, მაგრამ თავისი კოლეგის მიერ აღმართული ალამი რომ დაინახა, გადაწყვეტილებაც უმალ შეცვალა. თამაშგარე კი აშკარად გამოგონილი მეჩვენა. ამან სტუმართა უშედეგო პროტესტი გამოიწვია და მდგომარეობაც ერთგვარად დაიძაბა. „ვიტ ჯორჯია“ კი გააქტიურდა, მაგრამ ვალში არც მასპინძლები დარჩენილან და მწვავე კონტრშეტევებითაც იჩხვლიტებოდნენ. სადღაც ტაიმის შუაში, დაუღალავმა გიორგაძემ მელაძეს გატანის ჩინებული შანსი შეუქმნა, თუმცა ჭურაძე მომხვდურს ჯეროვნად დაუხვდა. ბოლო თხუთმეტი წუთი სასიამოვნო საცქერი გამოდგა და სტუმარ-მასპინძლის ორმხრივ შეტევებში გაილია. ზემოთთქმული ეპიზოდიდან 5 წუთში, პეტრიაშვილის სოლო-რეიდი მენთეშაშვილისადმი ეფექტური პასით დასრულდა, მაგრამ ვარდანიძესთან პირისპირ შესულ ვიტელ მცველს სიზუსტემ უმტყუნა და ოდენ გარედან შეარხია კარის ბადე. იქვე ხუთწუთიან მონაკვეთში, ჯერ მელაძეს, ხოლო შემდეგ გვაზავას მიეცათ ჩინებული შესაძლებლობა, მაგრამ უშედეგოდ. აი, 86-ე წუთზე გურულებმა საქმე მოათავეს, როცა შეცვლაზე შესულმა პატარაიამ მარჯვნიდან შეუტია და კარის წინ ეულად მყოფ მელაძეს, ცარიელ კარში გაატანინა.

გაშვებულმა გოლმა სტუმრებს ხასიათი წაუხდინათ და „გურიას“ ბოლო წუთებში სულ ცოტა, ორჯერ შეეძლო გატანა. ჯერ იყო და, პატარაია აღმოჩნდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ დარტყმა უხეირო გამოუვიდა. მეორედ ჩიკვილაძეს შეეძლო ხუთიოდ მეტრიდან დაუცველი კარის აღება, მაგრამ სასწაულებრივ აცდინა. თუმცა ამას თსუ-ს დარად, კიდევ ერთი დედაქალაქური გუნდის ძლევისთვის ხელი არ შეუშლია. მოკლედ, „გურიამ“ წელს თბილისური კლუბები დაიბრიყვა. ისე კი, დიდი ძალა ჰქონია ფულს.

**დასაწყისი პირველ გვერდზე**

# ტილბურგში გადაუღებლად წვიმს როცა სომხები გაიღვიძებენ

დინამოელებს დღეში ერთი ვარჯიში ჰქონდათ დაგეგმილი, დილაობით მოთელვას თუ არ ჩავთვლით. კვირას გუნდს „ვილემ II“-ს სათადარიგო მინდორზე უნდა ევარჯიშა აქაური დროით შვიდის ნახევარზე (სხვაობა ტილბურგსა და თბილისს შორის ორი საათია —) მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვი, წვიმა წამოვიდა და დინამოელებიც მხოლოდ თეორიული მომზადებით დაკმაყოფილდნენ.

„აბერჟ დუ ბონო“ ტილბურგის დასავლეთითაა. ეგრეთ წოდებულ მდიდართა გარეუბანში. სასტუმროს გარშემო ნაძვნარია, იქვეა სტადიონისმაგვარი პატარა მინდორი. ერთი სიტყვით, განტვირთვისთვის მაქსიმალური პირობებია შექმნილი. ნაძვნარში ბილიკებია და „დინამოც“ მოთელვას სწორედ იქ გადის. იმედია, დღეს მაინც გამოანათებს მზე და ქართველ ფეხბურთელებს ვარჯიშის საშუალებას მისცემს.

შაბათს, როცა ჰოლანდიაში ჩავედით, ტილბურგელები ქვეყნის ჩემპიონატის მორიგ შეხვედრას ატარებდნენ როტერდამის „სპარტასთან“.

მეტოქის საქმეში ხილვამ იმდენად დაგვაინტერესა, რომ ამსტერდამში ჩასულებმა უმალ ტილბურგისკენ გავწიეთ და ორსაათნახევრიანი ძებნის და ქალაქის ქუჩებში უმისამართოდ ხეტიალის შემდეგ „ვილემ II“-ის სარბიელსაც მივაგენით. პირველი შთაბეჭდილება ძალიან კარგი გახლდათ — „ვილემ II“-მა (სტადიონსაც ასე ჰქვია) მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა და მიუხედავად იმისა, რომ მისი ტევადობა სულ რაღაც 15 ათასია, თამამად შეიძლება ითქვას, უეფას სტანდარტების შესაბამისია. სტადიონის თანამშრომელთა ცნობით, შენობა ოთხი წლის წინ კაპიტალურად გარემონტდა და შედარებით სახეცვლილება განიცადა, თუ ადრე მხოლოდ ალმოსავლეთ ტრიბუნა იყო გადახურული, ახლა უკლებლივ ყველა, 15 ათასივე ადგილი დაცულია წვიმისგან. შესანიშნავია საპატიო სტუმართა ლოჟა, საპრესკონფერენციო დარბაზი, პრეს ლოჟა. სტადიონზევეა კლუბის მუზეუმი, სადაც სხვადასხვა დროს გუნდის მიერ მოგებული ასამდე თასია განთავსებული და ფანკლუბი, მაღაზია, რომელშიც ათასგვარი სუვენირი იყიდება.

ტილბურგის დროით რვის ნახევარზე მეტოქენი ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ, ორი საათის შემდეგ კი „ვილემ II“ და კლუბის ქომაგები გამარჯვებას ზეიმობდნენ — მასპინძლებმა დაძაბულ და უხვგოლიან შეხვედრაში 3:2 იმარჯვეს.

თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. თვალშისაცემი იყო მეტოქეთა შესანიშნავი ფიზიკური მომზადება. რაც შეეხება ფეხბურთელთა ინდივიდუალურ თამაშს, მაროკოელი ლეგიონერების — ადილ რამზის და იასინე აბდელაუვის გარდა ამ მხრივ ყველანი საგრძნობლად მოიკოჭლებდნენ. შეიძლება ითქვას, დინამოელთა მეტოქეს უჭირს გუნდური თამაში, რადგან ჰოლანდიის ჩემპიონატის აუტსაიდერთან დაპირისპირებამ ცხადყო, რომ დაცვას და ნახევარდაცვას შორის კავშირი მოშლილია.

„სპარტასთან“ ტილბურგელებმა 1-3-4-3 განლაგებით ითამაშეს. ვერ გეტყვით, ეს მასპინძელთა მწვრთნელი კო ადრიანსეს ფანდი იყო, თუ სხვა რამ, მაგრამ ფაქტია, რომ სამი გამოკვეთილი ფორვარდით თამაშს „ვილემ II“-თვის რაიმე განსაკუთრებული უპირატესობა არ მოუტანია — მეტოქე ორი თავდამსხმელით თამაშობდა და შედარებით სახიფათოდაც უტევდა.

ცალკეულ რგოლებს რაც შეეხება, დაცვა სისუსტით ყველასგან გამოირჩევა — ის ორი გოლი, რომლებიც როტერდამელებმა შეაგდეს, გუნდის უკანახაზელების უუხეშესი შეცდომების ბრალი გახლდათ. ხშირად ცდებოდა ტილბურგელთა ცენტრალური მცველი, რაინდერ ჰენდრიკსი, საიმედოობით ვერც ახოვანი მულატი, მარცხენაფლანგელი რაალი დელანო ჰილი გამოირჩეოდა. სხვათა შორის, იგი და ამპლუით ნახევარმცველი მარკ მუნინგი ხშირად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს.

ძირითად შემადგენლობაში გამწესებულთაგან საუკეთესო შთაბეჭდილება მაროკოელმა მარცხენა გარემარბმა ადილი რამზიმ (11) დატოვა, რომელიც ტექნიკის ხარჯზე მეურვეებს მუდამ სჯაბნიდა. ძლიერად ითამაშეს შეცვლაზე შესულებმა, ასევე მაროკოელმა იასინე აბდელიავიმ (18) და ორმეტრიანმა ჰუუბ ლუფენმა (12), რომლებიც ალბათ დინამოელებთან სასტარტო შემადგენლობაში იქნებიან.

ისე ვიცოდით, რომ თამაშს თბილისის დინამოელებიც უნდა დასწრებოდნენ, მაგრამ სტადიონზე ფეხბურთელთაგან არავინ გამოჩენილა, მოგვიანებით მხოლოდ კლუბის ხელმძღვანელები და მურთაზ ხურცილავა მოსულან.

ეს მოხდა შაბათს. გუშინწინ, კვირას, შუადღისას კი სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში „ვილემ II“-ის მწვრთნელმა კო ადრიანსემ ჟურნალისტებს უმასპინძლა. მის გარდა პრესკონფერენციაში მონაწილეობდნენ კლუბის პრეზიდენტი, ამავდროულად ტილბურგელთა გენერალური სპონსორი, საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ინტერპოლისის“ პრეზიდენტი იან ვულინგსი და გუნდის დირექტორი მარტინ ვან ჰეელი.

— წარმატების იმედი გვაქვს. მეტოქეზე საკმაო ინფორმაცია გაგვაჩნია. გვაქვს რამდენიმე თამაშის ვიდეოფირი. მათ შორის ბილბაოში გამართული მატჩისა. ასე რომ, თუ მიზანმიმართულად ვითამაშებთ, წარმატებას მივაღწევთ. რაც შეეხება ქართულ ფეხბურთს, ამის თაობაზე ზედაპირული წარმოდგენა გამაჩნია. ვიცნობ ძმებ არველაძეებს, შესანიშნავ გამთამაშებელ გიორგი ქინქლაძეს. თუ მათი კლასით ვიმსჯელებთ, ქართული ფეხბურთი საკმაოდ კარგი დონის უნდა იყოს. ვიცი, მეტოქე ქვეყნის უძლიერესი კლუბია, მაგრამ მიუხედავად ამისა ვებრძოლებით წარმატების მისაღწევად. ჩვენ გუნდში სამი მოთამაშის გარდა ყველა ჯანმრთელადაა. საეჭვოა ფინელი სამი ჰიპიას, ბურკინაფასოელი ოსმან სანუს და რაიმონდ ფიქტობიას თამაში — თქვა ტილბურგელთა მწვრთნელმა ადრიანსემ, რომელმაც ჩვენთან (საქართველოდან ტილბურგს ჩემს გარდა საქართველოს რადიოს კომენტატორი ალეკო ჯიბლაძეცაა მივლინებული. სხვათა შორის რადიორეპორტაჟი თბილისის დროით ცხრის ნახევარზეა) საუბარში აღნიშნა 1-3-4-3-ით რომ ვითამაშეთ, თქვენთვის არც არაფერი დამიმალია, ეს კლუბის სათამაშო სტილიაო.

პრესკონფერენცია ვან ჰეკლმა და იან ვულინგსმა დაასრულეს, რომლებმაც ძირითადად „ვილემ II“-ის საორგანიზაციო საკითხებზე ისაუბრეს.

სხვათა შორის, პრესკონფერენციაზე ერთ-ერთმა ადგილობრივმა ჟურნალისტმა იხუმრა, ადრიანსეს დინამოელებზე ინფორმაცია ალბათ ძმებმა არველაძეებმა მოაწოდეს, რაც არ უნდა იყოს, იგი მაინც „აიაქსში“ ნამუშევარი კაციაო. ხუმრობა ხუმრობად, მაგრამ სანამ ადრიანსე „ვილემ II“-ში მივიდოდა, მართლაც მუშაობდა ამსტერდამელებთან.

ტილბურგელი ქომაგები იან ულინგსს და კო ადრიანსეს მხსნელებად მიიჩნევენ. სულ რაღაც მეორე წელია, რაც კომპანია „ინტერპოლისი“ კლუბს პატრონობს, ადრიანსე კი ტილბურგელთა მწვრთნელია და შედეგიც სახეზეა — გუნდი, რომელიც ლიგაში დარჩენისთვის იბრძოდა, ახლა ევროტურნირებზე თამაშობს.

მოკლედ, მასპინძლები იმედიანად არიან. კაცი იმედით ცოცხლობსო, ნათქვამია, ჩვენც რაღა დაგვრჩენია, ვენდოთ დინამოელებს.

არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ ჰოლანდიაში გამგზავრების წინ ავიაკომპანია „ლევინ თრეველმა“ ისეთ შარში გაგვხვია, მეტი რომ არ ვთქვა, უბრალოდ აღმაშფოთებელია — ქართველი ჟურნალისტები და სხვა მგზავრები კომპანიის მესვეურთა დაუდევრობის გამო კინაღამ თბილისში დავრჩით. თბილისიდან ერევანში მიმავალი თვითმფრინავი სომხეთში გაფრენას არ აპირებდა, თურმე საკმაოდ დიდი თანხა ჰქონდათ გადასახდელი და იმის ნაცვლად, რომ პრობლემების მოსაგვარებლად ეზრუნათ, „ლევონ თრეველის“ სომეხ წარმომადგენლებს თბილისში ტკბილად ეძინათ, აეროპორტში გაუგებრობაში ჩავარდნილ მგზავრებს კი დანიშნულების ადგილზე ვერჩასვლის საფრთხე გვემუქრებოდა.

ღმერთის წყალობით და თანამემამულეთა დახმარებით პრობლემა მალე გადაიჭრა და ჩვენც ერთი საათის დაგვიანებით თბილისიდან გავფრინდით.

UEFA CUP

# არაჩვეულებრივი შვიდეული დღეს იწყებს

**უეფას თასის 1/32 ფინალის პირველი მატჩები**

მარსელის „ოლიმპიკი“ ოთხწლიანი განშორების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ევროპულ ასპარეზს. დღეს ის უეფას თასზე პირველ შეხვედრას გამართავს.

მარსელელთა მიზანი მხოლოდ უეფას თასის მოპოვება როდი გახლავთ, მათ შერყეული რეპუტაციის აღდგენაც აქვთ განზრახული.

„ოლიმპიკი“ პირველი შეხვედრის ჩასატარებლად ჩეხურ „სიგმას“ სტუმრობს. იგი დარწმუნებულია, რომ ამ გათამაშებაში მიაღწევს იმას, რისთვისაც 1993 წლის ჩემპიონთა თასის ტრიუმფის შემდეგ აღარ მიუღწევია, მაგრამ ტრიუმფს, გეხსომებათ, მექრთამეობის საშინელი სკანდალი მოჰყვა. სკანდალმა ბევრი ადამიანის კარიერა შეიწირა, შეურაცხყო გუნდი, უხეშად შეეხო მის რეპუტაციას. „მარსელი“ ლიგიდანაც გააძევეს.

მაგრამ დისკვალიფიკაციამ ვერაფერი ავნო ისტორიის წიგნს, სადაც წერია და მუდამ ეწერება, რომ „ოლიმპიკი“ ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელია.

— ძლიერ ვამაყობთ იმით, რომ ევროპულმა ფეხბურთმა ისევ შემოაბიჯა კანებიერზე (მარსელის მთავარი ქუჩის სახელწოდებაა) — განაცხადა გუნდის მწვრთნელმა როლან კურბისმა.

„ოლიმპიკს“ ისტორიაში ორჯერ აქვს ჩემპიონთა თასის ფინალში ნათამაშევი, ერთხელ ამავე შეჯიბრების ნახევარფინალში იყო, ერთხელაც თასების თასის ნახევარფინალში, მაგრამ უეფას თასზე მეთექვსმეტედფინალის წინ არასდროს წასულა. ის ექვსჯერ მონაწილეობდა ამ ტურნირში, საიდანაც ოთხჯერ პირველსავე ეტაპზე ანუ ოცდამეთორმეტედფინალში გამოეთიშა შეჯიბრებას.

როგორც ვთქვით, „ოლიმპიკი“ „სიგმას“ ეთამაშება. ჩეხეთის ეს გუნდი მარსელის კლუბის წევრთაგან ყველაზე უკეთ იტალიელმა თავდამსხმელმა ფაბრიციო რავანელიმ იცის, ვინაიდან 1993 წელს, „იუვენტუსში“ რომ თამაშობდა, მასთან ბრძოლამ უწია.

რავანელი ამბობს: — მახსოვს, ძალიან დაძაბული შეხვედრა იყო, დიდი ბრძოლა გადაგვხდა თავს. დიდი გაჭირვებით გავიმარჯვეთ 2:1. ეხლა იმედი მაქვს, ყველაფერი უფრო იოლად ჩაივლის.

უეფას თასის გასული გათამაშების ფინალისტები, იტალიური გუნდები „ინტერი“ (გამარჯვებული) და „ლაციო“, ახალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში და თასების მფლობელთა თასზე გამოდიან, მაგრამ მათი ქვეყანა მაინც დიდი ძალებითაა წარმოდგენილი შეჯიბრებაში, რომელშიც ბოლო 10 წლის განმავლობაში სწორედ იტალიელები დომინირებდნენ.

„უდინეზეს“, რომელიც თავდამსხმელის, გერმანელი ოლივერ ბირჰოფის „მილანში“ გადასვლით ერთობ დასუსტდა, რთული ამოცანა აქვს გადასაჭრელი — ლევერკუზენის „ბაიერთან“ შინ ისე უნდა გაიმარჯვოს, რომ საპასუხო შეხვედრაში მეტ-ნაკლებად მაინც იყოს გულდამშვიდებული.

ლევერკუზენს ბუნდესლიგის ახალ სეზონში უსახური სტარტი აქვს, მაგრამ იმედოვნებს, რომ ბრაზილიელი ნახევარმცველი ზე რობერტო მალე ისეთ ფორმაში შევა, რომ უდიდეს სარბიელზე გაიბრწყინებს.

კიდევ ერთი იტალიური გუნდი „ფიორენტინა“ ჰაიდუკის „სპლიტს“ მასპინძლობს. „პარმა“ სტამბოლშია, „ფენერბაჰჩეს“ უნდა შეებას, „რომა“ დანიაში წავიდა „სილკებორგთან“ საბრძოლველად, „ბოლონიამ“ კი ლისაბონში იქაურ „სპორტინგს“ ჩააკითხა.

უეფას თასის 1997 წლის მფლობელი გერმანული „შალკე“ დღეს პრაღის „სლავიას“ მასპინძლობს. გელზენკირხენის გუნდმა, ზემოხსენებული ლევერკუზენისა არ იყოს, ახალი ჩემპიონატი ძალიან ცუდად დაიწყო. ახლა მას იმედი აქვს, რომ „სლავიასთან“ ყოჩაღი თამაშით გულშემატკივართა გულს მოიგებს და მათ კეთილგანწყობას დაიბრუნებს.

გერმანელთაგან ახალდაწყებულ ბუნდესლიგაში ვერ ივარგა ბრემენის „ვერდერმაც“. მან ოთხი ტურიდან სამი წააგო, ერთხელ კი ფრედ ითამაშა და ასეთი საშინაო მარაგით მიეშურება ნორვეგიას „ბრანთან“ დასაჭიდებლად. „ვერდერი“ ამ დღეში 30 წელიწადია, არ ყოფილა.

„შტუტგარტი“ გასულ სეზონში თასების მფლობელთა თასზე გამოდიოდა და ფინალში გავიდა, სადაც ლონდონის „ჩელსისთან“ დამარცხდა. დღეს მასაც უეფას თასის შეხვედრა აქვს ჩასატარებელი, მაგრმ რა და როგორ მოხდება, საკითხავია, რამეთუ კენჭისყრამ „შტუტგარტს“ მოწინაალმდეგედ თავიდანვე სერიოზული ძალა, ჰოლანდიური „ფეიენოორდი“ არგუნა. „ფეიენოორდი“ სერიოზულ ძალად მარტო იმიტომ კი არ მოვიხსენიეთ, რომ იგი მდიდარი წარსულის მქონე გუნდია, არამედ იმიტომაც, რომ ერთადერთია თავის სამშობლოში, ახალ სეზონში ოთხივე შეხვედრაში გამარჯვებას რომ მიაღწია.

როტერდამის გუნდს „შტუტგარტთან“ შეხვედრაში მინუსი ის ექნება, რომ იგორ კორნეევი და ჰენკ ვოსი ჰყავს დაშავებული. სამაგიეროდ, ითამაშებს არგენტინელი თავდამსხმელი ხულიო კრუსი, რომელმაც ჰოლანდიის პირველობაზე ოთხივე შეხვედრა გამოტოვა დისკვალიფიკაციის გამო.

ინგლისური გუნდებიც ჩაერთვებიან დღეს საქმეში. „ასტონ ვილა“ შინ, ბირმინგემში ნორვეგიის „სტრომსგოდსეტს“ ეთამაშება, „ლივერპულს“ კი უფრო რთული სამუშაო ელის — იგი სლოვაკეთს ჩავიდა „კოშიცეს“ რომ შეხვდეს.

„ლივერპულის“ საქმეს ართულებს ინგლისის ნაკრების ნახევარმცველის პოლ ინსის ტრავმაც, მაგრამ ინსის არყოფნაში შეიძლება ხელ-ფეხი გაეხსნას თავდამსხმელ რობი ფაულერს, რომელსაც თებერვლის შემდეგ აღარ უთამაშია — დაშავებული იყო.

ინგლისის დანარჩენი წარმომადგენლები გახლავან „ბლექბერნ როვერსი“, რომელიც შინ, ბლექბერნში ფრანგულ „ლიონს“ მასპინძლობს და „ლიდს იუნაიტედი“, ლიდსში პორტუგალიურ „მარიტიმუს“ რომ ეთამაშება.

უეფას თასის წინა გათამაშების ნახევარფინალისტი ესპანური „ატლეტიკო“ დღეს ახალ „აღმართს“ ბელგრადის „ობილიჩთან“ საშინაო შეხვედრით იწყებს. მადრიდელები უთუოდ გაძლიერებულნი არიან და ამის მიზეზი ბრაზილიელი ვარსკვლავის ჟუნინიოს მოედანზე დაბრუნება გახლავთ. ბრაზილიელი, მოგეხსენებათ, ძლიერ იყო ტრავმირებული, მაგრამ იარა მოიშუშა და შაბათს ქვეყნის ჩემპიონატში „სალამანკასთან“ 2:0 გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო.

„ატლეტიკის“ გარდა ესპანეთს კიდევ ოთხი გუნდი ჰყავს და ოთხივეს სტუმრად უწევს თამაში. „სელტა“, რომელიც იშვიათად გადის ევროთასებზე, რუმინეთში „არჯეშს“ ეთამაშება, „რეალ ბეტისი“ დანიაში „ვეილესთან“ გამარჯვებას ცდის, „რეალ სოსიედადი“ პრაღაში „სპარტას“ ებრძვის, „ვალენსია“ კი „სტიაუასთანაა“ ბუქარესტში.

სხვათა შორის, „სტიაუა“ გახლავთ ერთი შვიდთაგანი, უეფას თასზე რომ გამოდის, ადრე კი ჩემპიონთა თასი მოუგია. ბუქარესტელები საკმაოდ კარგ ფორმაშიც არიან და თუმცა ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოხვდნენ, შესაძლოა, ერთობ წარმატებული სეზონიც ჩაატარონ.

„სტიაუას“ გარდა „არაჩვეულებრივი შვიდეულის“ წევრები არიან: „სელტიკი“ („ვიტორია გიმარაეშთან“ სტუმრობს), „ფეიენოორდი“, „მარსელი“, „ლივერპული“, „ასტონ ვილა“ და „ცრვენა ზვეზდა“ („მეცს“ ეთამაშება).

**მიჩ ფილიპსი, როიტერი**



უეფას თასს უთუოდ ახალი მფლობელი ეყოლება, რადგან რონალდოს „ინტერმა“ ჩემპიონთა ლიგაში გადაინაცვლა

## ინგლისი

# არასერიოზული კაცი და ქეცბას მორიგი განავარდება

### V ტური

**ტოტენჰემი 0:3 მიდლსბრო**

ტოტენჰემი: ბაარდსენი, კარი, ტრამეძანი, ბერტი, კალდერვუდი, ნილსენი (საიბი 51), ფოქსი (სინტონი 56), ფერდინანდი, ჟინოლა, კემპბელი, კლემენსი (არმსტორნგი 46)
მიდლსბრო: შვარცერი, გორდონი, ვიკერსი, ფესტა, პალისტერი, მასტო, გესქოინი (კინდერი 85), ბეკი (კემპბელი 90), თაუნსენდი, რიკარდი (ბრანკა 67), კუპერი
0:1, 0:2 რიკარდი (25, 32), 0:3 კინდერი (87)
გაფრთხილება: ბერტი, ჟინოლა
მსაჯი: ს.ვ. დანი

**ასტონ ვილა 2:0 უიმბლდონი**

ასტონ ვილა: ბოზნიჩი, ჩარლზი, რაიტი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, ტეილორი (დრეიპერი 88), მერსონი (შიმეცა 89), თომპსონი (გრეისონი 74), იოახიმი, ბერი, ჰენდრი
უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, კიმბლი, პერი, თეტჩერი, ერლი, რობერტსი (ფეარი 89), გეილი (ეკოკუ 79), ლიბერნი, ჰიუზი (კენედი 83), იუელი
1:0 მერსონი (45 პ), 2:0 ტეილორი (57)
გაფრთხილება: პერი
გაძევება: ლიბერნი (45)
მსაჯი:დ. ილირეი

**ჩარლტონი 1:2 დერბი ქაუნთი**

ჩარლტონი: ილიჩი, მილსი, პაუელი, რედფერნი, ბრაუნი, იუდსი, ნიუტონი (ჯოუნზი 72), კინსელა (მორტიმერი 45), პანტი, მენდონკა, რობინსონი
დერბი: პოულტი, შნური (პაუელი 45), შტიმაცი, სტარიჯი, დილეპი, ბოჰინენი, ლაურსენი, უონჩოპი, პრაიორი, კერსლი, ბაიანო (ერანიო 67)
0:1 უონჩოპი (5), 0:2 ბაიანო (60), 1:2 მენდონკა (89 პ)
გაფრთხილება: იუდსი, პაუელი, შტიმაცი, სტარიჯი, შნური, უონჩოპი, ერანიო
მსაჯი: მ. რიდი

**ჩელსი 2:1 ნოტინგემი**

ჩელსი: დე გუი, პეტრესკუ, ბაბაიარო, ლებეფი, დესაი, პოიეტი (ლამბერდი 83), კაზირაგი (ლაუდრუპი 89), დაბერი, ლე სო, ნიუტონი, ძოლა
ნოტინგემი: ბიზანტი, რიჯერსი, ქუოში, ჩეტლი, სტოუნი, ჯონსონი, არმსტრონგი, თომასი (ჰეარვუდი 89), ბონალეარი, დარჩეილი, გრეი (ლიტლი 65)
1:0 ძოლა (1), 2:0 პოიეტი (35), 2:1 დარჩეილი (69)
გაფრთხილება: პეტრესკუ
მსაჯი: პ. ოლკოკი

**ევერტონი 0:0 ლიდსი**

ევერტონი: მირი, კლილენდი, ბოლი, დაკურტი, უოტსონი, ანსუორსი, კოლინზი, ბარმბი (კადამარტერი 67), ფერგიუსონი, პაჩისონი (ფერელი 78), მატერაცი
ლიდსი: მარტინი, ჰაალანდი, რადებე, ვინარდი (ლილი 85), ჰასელბაინკი, ბოუერი, ჰოპკინი, კიუელი (რიბეირო 69), პერტი, ჰიდენი, მილენაარი
გაფრთხილება: დაკურტი, მოლენაარი, ჰაალანდი
გაძევება: დაკურტი
მსაჯი: ნ. ბერი

**ლესტერი 1:1 არსენალი**

ლესტერი: კელერი, სევიჯი, გაპი, სინკლერი, ელიოტი, კამარკი, იზეტი, ლენონი, ზაგორაკისი (კემპბელი 45), კოტი, ჰესკი
არსენალი: სიმენი, დიქსონი (ვივასი 74), უინტერბერნი, ვიეირა (გარდი 71), ბოულდი, ბერხკამპი, ოვერმარსი, ვრე (ანელკა 59), კიოუნი, პარლოუ, ჰიუზი
1:0 ჰესკი (28), 1:1 ჰიუზი (90)
გაფრთხილება: სინკლერი, უინტერბერნი, ჰიუზი, ვიეირა
მსაჯი: პ. დარკინი

**მანჩესტერი 2:0 ქოვენთრი**

მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, იონსენი (ბერგი 68), სტამი, ბექემი (ბათი 78), გიგზი (ბლომკვისტი 78), ფ. ნევილი, კინი, სქოულზი, იორკი, სოლსკიაერი
ქოვენთრი: ჰიდმანი, ედუორთი, ბაროუზი, ბრინი, უოლემი, ტელფრი, ჰაკერბი (ჰოლი 73), დაბლინი, ბოტენგი, შოუ, ქუინი
1:0 იორკი (21), 2:0 იონსენი (48)
გაფრთხილება: ბექემი, ბაროუზი
მსაჯი: უ. რინი

**ნიუკასლი 4:0 საუთჰემპტონი**

ნიუკასლი: გივენი, უოტსონი, პირსი, ქეცბაია, ალბერი, შარვეტი, სპიდი (ბარტონი 65), ლი, გლასი, ანდერსონი (გილესპი 59), შირერი
საუთჰემპტონი: ჯოუნზი, ჰაილი, დოდი, მარშალი, ბენალი, რიპლი, პალმერი, ჰოულსი, ბრიჯი (ოსტენსტადი 45), ჰიუზი (ლე ტისიე 45), ბიტი (ლუნდეკვამი 39)
1:0, 2:0 შირერი (8, 38 პ), 3:0 მარშალი (ს.კ.), 4:0 ქეცბაია (80)
გაფრთხილება: ლი, შირერი, ჰაილი, ჰიუზი, მარშალი
გაძევება: დოდი
მსაჯი: მ. რილი

**შეფილდი 3:0 ბლექბერნი**

შეფილდი: პრესმენი, აზერტონი, იონკი, უოქერი, კარბონე, ბუთი, დი კანიო (სანეტი 89), კობიანი (ბარეტი 70), ჰინჩკლიფი, ტომი, რუდი
ბლექბერნი: ფლაუერსი, კენა, შერვუდი, პიკოკი, ჰენჩოზი, სატონი, დევისი, დაფი (უილკოქსი 61), მაკკინლი, კროფტი, დეილი
1:0 აზერტონი (18), 2:0 ჰინჩკლიფი (33), 3:0 დი კანიო (87)
გაფრთხილება: კარბონე, დევისი, შერვუდი, სატონი, კრიფტი
მსაჯი: ა. უილკი

**ვესტ ჰემი 2:1 ლივერპული**

ვესტ ჰემი: ჰისლოპი, პოტსი, რადოკი, სინკლერი, ჰართსონი (კელერი 86), რაიტი, მონკური, ლაზარიდისი, ლამპარდი, პირსი, ბერკოვიჩი (ბრიკერი 88)
ლივერპული: ფრიდელი, სტონტონი (მატეო 62), ბები, მაკმანამანი, ბერგერი, ინსი, კარაგერი, ოუენი, რედნეპი, ჰარკნესი (რიდლე 54), ჰეგემი (მაკატორი 72)
1:0 ჰართსონი (4), 2:0 ბერკოვიჩი (51), 2:1 რიდლე (88)
გაფრთხილება: რაიტი, ჰართსონი, მონკური, ლაზარიდისი, სინკლერი, ჰარკნესი, რედნეპი
მსაჯი: ჯ. უინტერი

რაც გინდათ ისა თქვით, და ფეხბურთი საკმაოდ უცნაური თამაშია.

პრემიერლიგის ლიდერი „ლივერპული“ 3 ქულის მოსაგებად ლონდონს ჩავიდა, რათა მეხუთე ტურის მატჩი, ეთამაშა ისტ ენდში, „ვესტ ჰემ იუნაიტედთან“. „ლივერპულს“ გამარჯვების შემთხვევაში ლიდერობის შენარჩუნებაც შეეძლო, მაგრამ „აპტონ პარკის“ უცნაური მაგიის წყალობით ეს საქმე ვეღარ მოახერხა.

შარშანაც სექტემბერი იყო, ოღონდ რიცხვით 29, „ლივერპულსაც“ ახლანდელივით ლიდერად უჩანდა თავი, ამბავიც ახლანდელივით მოხდა: უელსელმა ჯონ ჰართსონმა და ებრაელმა ეიალ ბერკოვიჩმა თითო გოლი გაუტანეს მერსისაიდელებს და საპასუხოდ კი ერთი მიიღეს საკუთარ კარში. ოღონდ მაშინ „ლივერპულიდან“ რობი ფაულერმა გამოიჩინა თავი, ახლა კი კარლ ჰაინც რიდლემ.

ასეა, „ვესტ ჰემი“ შინ დიდი ურჯუკი ვინმეა.

შაბათსაც ძველი სქემა გათამაშდა: ისევე, როგორც შარშან ამ დროს, ჰართსონმა ანგარიში გახსნა. მისი თაური მეოთხე წუთზევე გამოდგა იღბლიანი და „ლივერპული“ გვარიანადაც დააბნია ისე, რომ, კარგა ხანს თამაში ვერ აეწყო. მაიკლ ოუენმა ერთი-ორი კი გაინავარდა და ხიფათიც დიდი შექმნა, მაგრამ არაფერი შეცვლილა. მეორე ნახევარი ექვსი წუთის დაწყებული იყო, როცა ბერკოვიჩმა მეორე გაუტანა სტუმრებს და შარშანდელი ტრადიცია მცირედ დაარღვია (მაშინ ფაულერმა გაათანაბრა და ბერკოვიჩმა ამის შემდეგლა დააწინაურა თავისიანები). ამჯერად კი ლივერპულელთა ერთადერთ იმედად შეცვლაზე შემოსული რიდლე იყო. განთქმულმა გერმანელმა ორჯერ დაარტყა თავური და აქედან მეორე კარში შეაგდო. თუმცა, ეს 90-ე წუთზე მოხდა და მერსისაიდელებს აღარაფერი ეშველათ — 1:2.

დღის მთავარი ამბავი კი „ვილა პარკზე“ დატრიალდა, სადაც „ასტონ ვილამ“ 2:0 მოუგო „უიმბლდონს“. სხვა დროს და სხვა ვითარებაში ეს ლიგის ჩვეულებრივ თამაშად მოინათლებოდა, რადგან ხალხი კარგა ხნის მიჩვეულია ამათ საშუალო გაქანების გუნდებად აღქმას. მაგრამ „ასტონ ვილა“ აღარ არის საშუალო გუნდი და ამჟამად პრემიერლიგასაც ლიდერობს. მენეჯერ ჯონ გრეგორის საზრიანი მეცადინეობით „ვილამ“ ამ სეზონში 7 გოლი გაიტანა და ერთადერთი გაუშვა. ბირმინგემული კლუბი ოთხმოციანი წლების შემდეგ არ მდგარა ცხრილის პირველ საფეხურზე.

მაგრამ იმ სამ ქულას ხომ აღება უნდა? ანდა როგორ აიღებ იმ სამ ქულას, თუ პირველ ნახევარ საათში ორჯერ დებენ ბურთს შენი მოწინააღმდეგის საპენალტო ნიშნულზე, შენ კი ვერაფერს ახერხებ? ალან ტომპსონმა რომ პენალტი ვერ გაუტანა „დონელ“ ნილ სალივანს, ტრიბუნებზე ამოიგმინეს, მაგრამ მალე მეორე პენალტი იყო და ბურთი ნიშნულზე 30 წლის პოლ მერსონმა გაასწორა.

აბა, ვინ არ იცნობს მერსონს? ამ უქმეებზე „მიდლსბროდან“ „ასტონ ვილაში“ გადმობარგებულ პოლს თამაშის წინა დღეები ნერვიული ჰქონდა, გაზეთებიც ლანძღა და ბოროელთა მენეჯერი ბრაიან რობსონიც. მაგრამ მერსონის უდარდელობა და არასერიოზული კაცის იმიჯი ხომ ცნობილია. დიდი პროფესიონალი კაცია და ურთულეს წუთებშიაც კი ხითხითებს და ხუმრობს... გამოქანდა მერსონი და დაურტყა. სალივანმა მოიგერია და „ვილა პარკმა“ კიდევ ერთხელ ამოიგმინა. მაგრამ ხომ ცნობილია, რა იღბლიანია ეს არასერიოზული კაცი? გაშხლართულ მეკარეს გონს მოსვლა არ აცალა და თავისი სადებიუტოც გაიტანა — 1:0.



REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — ქოვენთრი. მანჩესტერელი სოლსკიაერი და ქოვენთრის ბრინი ინგლისურად იბრძვიან

„უიმბლდონს“ ტაიმის მიწურულს კარლ ლიბურნი გაუძევეს იდაყვების უშნოდ ქნევისთვის. „ვილამ“ კი საქმე მოათავა: 57-ე წუთზე იან ტეილორმა დაუდგრომელი ჯულიან ჯოაკიმის ჩაკიდულს მიუსწრო — 2:0.

მერე არასერიოზულმა კაცმა ჟურნალისტებს უთხრა: „რაც ბოლო დროს გლანძღეთ, სულ უკან წამიღია. ბირმინგემში ბედნიერი ვარ და „უიმბლდონის“ კარში გოლის გატანამ ცამეტი წლის წინანდელი ამბავი გამახსენა, როცა მეთოფეთა ძირითადში პირველად დავდექი და სწორედ დონებს გავუტანე“.

ამ კვირას კიდევ ერთი სახმაურო ამბავი მოხდა. ოდესღაც გაზა „ტოტენჰემში“ თამაშობდა, მაგრამ ბოლო ექვს წელიწადს მისი ცხოვრება ისე წავიდა, რომ „ჰართ ლეინზე“ აღარასოდეს მოსულა და ახლა აქაური პუბლიკა ყიჟინით შეხვდა „მიდლსბროს“ რიგებში მოღვაწე გესქოინს. ბორომ კი ბოლო ხუთ დღეში მეორე გასვლითი შეხვედრა მოიგო, თანაც ბედკრულ „ტოტენჰემს“ სამი უპასუხო გაუტანა. გაზამ კი საუცხოოდ ითამაშა და ენდი ტაუნსენდთან ერთად შუა მოედანი დაიპყრო. ამჟამად უმენეჯეროდ მოთამაშე და წინა ორ ტურში გამარჯვებული „ტოტენჰემის“ თამაშში ერთადერთი რამ იყო დასამახსოვრებელი — დავიდ ჟინოლას მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმა, რომელიც ეგრეც არ გაუშვა მეკარე მარკ შვარცერმა.

პატარა „ბორომ“ კი კოლუმბიელი ამილტონ რიკარდის ფეხით მოათავა საქმე პირველი ტაიმის 25-ე და 32-ე წუთებზე. კოლუმბიელი გასაოცრად შეწყობილა დანიელ მიკელ ბეკთან. ორივე გოლი ამ ფეხბურთელთა შეთანხმებული მოქმედების შედეგი იყო. თამაშის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე გაზა სლოვაკმა ვლადიმირ კინდერმა შეცვალა და ორიოდ წუთში მანვე ესროლა ბოლო ტყვია ლონდონელთა წამხდარ მეკარეს, ესპენ ბაარდსენს.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ უპრობლემოდ სძლია „ქოვენთრის“. ტრინიდადელმა დუაიტ იორკმა კი, ჩანს გადაწყვიტა „ოლდ ტრეფორდის“ საყვარელი კაცი შეიქნას. მან კვლავ გაიტანა და ბოლო ორ ტურში სამი გოლი გამოუვიდა.

რუპერტ მერდოკის ხელში გადასულმა „იუნაიტედმა“ კი 2:0 მოიგო და ლიდერებს მიუახლოვდა. „ბლექბერნ როვერსი“ და მისი სახელოვანი მენეჯერი როი ჰოჯსონი კი შავ დღეში არიან. შარშანდელი პრემიერლიგის სახელოვან ბომბარდირებს, კრის სატონსა და კევინ გალაჰერს ბუცები დაცვდომიათ. ამჯერადაც არაფერი იყო სალაპარაკო: „შეფილდ უენსდიმ“ სამჯერ გაუტანა „ბლექბერნს“ და თავისი კარი მშრალად შეინახა. პიტერ ათერტონის თავური, ენდი ჰინჩკლიფის საჯარიმო და პაოლო დიკანიოს განავარდება ბლექბერნელთა უპირობო აღსასრულს გულისხმობდა. აი, „არსენალი“ კი ეგებ დიდი გუნდიც იყოს, მაგრამ ფრეებს კი დაეჩვია. თანაც, ლესტერში ყოველთვის უჭირს და ახლაც პირწმინდად აგებდა კიდეც, გოლიათ ემილ ჰესკის მოხდენილი ცაციას შემდეგ. მაგრამ მეთოფეთა საიდუმლოც ხომ იმაშია, რომ მოულოდნელი გასროლა იციან. სულ ბოლო წამს მავანმა სტივენ ჰიუზმა ისეთი დაჰკრა ბურთს 30 მეტრიდან, რომ მოპოვებული ერთი ქულა ჩემპიონთათვის ალალი იყო. მენეჯერმა არსენ ვენგერმა კი თავის ფეხბურთელებს ხოტბა შეასხა.

როგორც იქნა, მოიგო „ჩელსიმაც“, რომელმაც შინ დასძლია „ნოტინგემი“ — 2:1. საზოგადოება კი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ თუკი ვინმეა გოლის გამტანი ამ გუნდში, კვლავ ჯანფრანკო ძოლა და გუსტავო პოიეტი.

ასვე 2:1 მოიგო „დერბიმ“, ოღონდ გასვლაზე, ჩარლტონში. „ჩარლტონი“ გვარიანად ვაქეთ გასულ კვირაში, მაგრამ ბოლო კვირაში გუნდმა ზედიზედ წააგო. კოსტარიკელმა პაულო ვანჩოპემ და იტალიელმა ფრანჩესკო ბაიანომ ადრევე გაარკვიეს ყველაფერი. ჩარლტონელთა ლიდერმა კლაივ მენდონკამ კი მხოლოდ 90-ე წუთზე გამოყო ფეხი და პენალტი გაიტანა.

„ლიდსი“ უგოლოდ დაუზავდა ლივერპულში „ევერტონს“ და ახლა მესამემეოთხე ადგილებს იყოფს „დერბისთან“.

როგორც იყო და სასიხარულო ამბავი მოვიდა ჩრდილოეთიდან! „სენტ ჯეიმსზე“ „ნიუკასლმა“ წლევანდელი მაჩანჩალა „საუთჰემპტონი“ გამოიჭირა და 4:0 მოუგო.

თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „ნიუკასლი“ არ ილვიძებს. რუდ გულიტმა ჯიგიანად მოკიდა ხელი საქმეს და გამოფხიზლდა ალან შირერიც, რომელმაც ნამდვილი რბევა მოაწყო და ორი ბურთიც შეაგდო. მესამეშიც შირერი იყო გარეული, მაგრამ ის საწყალობელ ენდი მარშალს ჩაუთვალეს, ვინც მთელი კვირის უბედურ კაცად უნდა ჩაითვალოს. მარშალმა ზედიზედ მეორე თამაშში ჩაიწერა ავტოგოლი. შირერს კი, შარშანდელი პრემიერლიგიდან მოყოლებული ზედიზედ 9 ტურში არ გაეტანა გოლი და ჰა, ნავსი გატეხა. ეს კარგი ნიშანია. ჩვენთვის კი კარგი ნიშანი ის არის, რომ თბილისში უიღბლო სანაკრებო მატჩის შემდეგ გაიბრწყინა თემურ ქეცბაიამ. მარშალის ავტოგოლის შემდეგ წუთიც არ გასულიყო და ქეცბაიამ ლამაზად აუქცია გვერდი ორ მცველს და საუცხოოდ გაუშვა ბურთი კუთხისკენ — 4:0. გოლი იმდენად მოხდენილი იყო, რომ შირერის აწყვეტის ფონზეც არ დაიკარგა და სააგენტოებმა და ტელეარხებმაც ცალკე გამოყვეს.

**ირაკლი გამყრელიძე**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ოუენი (ლივერპული) | 5 |
| მენდონკა (ჩარლტონი) | 4 |
| რაიტი (ვესტ ჰემი) | 3 |
| ეკოკუ (უიმბლდონი) | 3 |
| იორკი (მანჩესტერი) | 3 |

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ლივერპული | 5 | 3 | 1 | 1 | 9:4 | +5 | 10 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | +2 | 4 | 3 | 2 | 0 | 1 | 7:4 | +3 | 6 |
| 2 | ასტონ ვილა | 5 | 4 | 1 | 0 | 7:1 | +6 | 13 | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | +5 | 9 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | +1 | 4 |
| 3 | ლიდსი | 5 | 2 | 3 | 0 | 5:1 | +4 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | +4 | 6 | 3 | 0 | 3 | 0 | 1:1 | 0 | 3 |
| 4 | უიმბლდონი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:7 | +1 | 8 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | +2 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | -1 | 4 |
| 5 | არსენალი | 5 | 1 | 4 | 0 | 3:2 | +1 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | +1 | 4 | 3 | 0 | 3 | 0 | 1:1 | 0 | 3 |
| 6 | დერბი | 5 | 2 | 3 | 0 | 5:3 | +2 | 9 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | +1 | 4 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | +1 | 5 |
| 7 | ნოტინგემი | 5 | 2 | 0 | 3 | 5:7 | -2 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 3 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | -1 | 3 |
| 8 | ტოტენჰემი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:10 | -6 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | -5 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 |
| 9 | მანჩესტერი | 4 | 2 | 2 | 0 | 8:3 | +5 | 8 | 3 | 2 | 1 | 0 | 8:3 | +5 | 7 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 10 | ჩარლტონი | 5 | 1 | 2 | 2 | 7:6 | +1 | 5 | 2 | 1 | 0 | 1 | 6:2 | +4 | 3 | 3 | 0 | 2 | 1 | 1:4 | -3 | 2 |
| 11 | ვესტ ჰემი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | +1 | 8 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 0 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | +1 | 4 |
| 12 | მიდლსბრო | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | +2 | 8 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | +2 | 6 |
| 13 | ლესტერი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:5 | 0 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | +1 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 |
| 14 | ბლექბერნი | 5 | 1 | 1 | 3 | 2:6 | -4 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | +1 | 4 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | -5 | 0 |
| 15 | ევერტონი | 5 | 1 | 2 | 2 | 2:3 | -1 | 5 | 3 | 0 | 2 | 1 | 0:1 | -1 | 2 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 |
| 16 | ქოვენთრი | 5 | 1 | 1 | 3 | 2:6 | -4 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | +1 | 4 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | -5 | 0 |
| 17 | შეფილდი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:3 | +3 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:2 | +1 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | +2 | 3 |
| 18 | ჩელსი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 0 | 5 | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | +1 | 5 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 19 | ნიუკასლი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:6 | 0 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | +1 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 20 | საუთჰემპტონი | 5 | 0 | 0 | 5 | 2:16 | -14 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 0 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:12 | -12 | 0 |

### VI ტური

19 სექტემბერი
ქოვენთრი - ნიუკასლი
დერბი - ლესტერი
ლიდსი - ასტონ ვილა
ლივერპული - ჩარლტონი
მიდლსბრო -ევერტონი
ნოტინგემი - ვესტ ჰემი
საუთჰემპტონი - ტოტენჰემი
უიმბლდონი - შეფილდი
20 სექტემბერი
არსენალი - მანჩესტერი
21 სექტემბერი
ბლექბერნი - ჩელსი

## პირველი დივიზიონი

### VIII ტური

**ნორვიჩი 0:0 ბერი**

**ბრისტოლი 1:3 ვესტ ბრომვიჩი**
0:1, 0:2 ჰუჯერსი (11, 33), 0:3 ქუინი (52), 1:3 ვატსი (69)

**ბოლტონი 3:1 ბირმინგემი**
1:0 ტეილორი (1), 2:0 ფრანდსენი (5), 2:1 როვეტი (40), 3:1 ტეილორი (49)

**ბრედფორდი 2:2 შეფილდი**
0:1 სოუნდერსი (11), 1:1 მილსი (18), 2:1 ბლეიკი (28), 2:2 სტიუარტი (49)

**კრ. პალასი 0:1 პორტ ვეილი**
0:1 ბედლი (83)

**გრიმსბი 1:2 ბარნსლი**
0:1 უარდი (16), 1:1 აშკროფტი (51), 1:2 უარდი (62)

**ოქსფორდი 3:3 იფსვიჩი**
1:0 ბანგერი (21), 1:1 სკოუკროფტი (39), 2:1 ვინდასი (50), 2:2 ჯონსონი (64), 2:3 დიერი (86), 3:3 ტომსონი (90)

**პორტსმუთი 5:2 სვინდონი**
1:0 ალოიზი (14), 2:0, 3:0 იგოე (28, 62), 4:0 კლარიჯი (64), 4:1 ონუორა (65), 4:2 ნდა (75), 5:2 ალოიზი (88)

**სტოკპორტი 1:1 ქრიუ**
0:1 რაიტი (34), 1:1 ფლინი (79)

**უოტფორდი 2:1 ქუინზ პარკი**
1:0 მილენი (5), 1:1 სლეიდი (73), 2:1 სმარტი (85)

**ვულვზი 1:1 სანდერლენდი**
1:0 კინი (68), 1:1 ფილიპსი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰადერსფილდი | 8 | 5 | 1 | 2 | 13:9 | 16 |
| ბირმინგემი | 8 | 5 | 1 | 2 | 12:6 | 16 |
| სანდერლენდი | 7 | 4 | 3 | 0 | 15:4 | 15 |
| ვულვზი | 7 | 4 | 2 | 1 | 11:5 | 14 |
| ბერი | 7 | 4 | 2 | 1 | 7:2 | 14 |
| ბოლტონი | 6 | 3 | 3 | 0 | 14:9 | 12 |
| ნორვიჩი | 5 | 4 | 0 | 1 | 11:6 | 12 |
| უოტფორდი | 7 | 4 | 0 | 3 | 10:11 | 12 |
| შეფილდი | 8 | 3 | 2 | 3 | 13:15 | 11 |
| ვესტ ბრომვიჩი | 6 | 3 | 1 | 2 | 14:11 | 10 |
| იფსვიჩი | 7 | 2 | 4 | 1 | 9:5 | 10 |
| სტოკპორტი | 8 | 2 | 4 | 2 | 9:10 | 10 |
| პორტსმუთი | 8 | 2 | 3 | 3 | 14:13 | 9 |
| ბარნსლი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:10 | 9 |
| სვინდონი | 8 | 2 | 2 | 4 | 12:16 | 8 |
| გრიმსბი | 8 | 2 | 2 | 4 | 9:10 | 8 |
| კრ. პალასი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:7 | 8 |
| ქრიუ | 7 | 2 | 1 | 4 | 8:10 | 7 |
| პორტ ვეილი | 7 | 2 | 1 | 4 | 5:12 | 7 |
| ოქსფორდი | 8 | 1 | 3 | 4 | 9:14 | 6 |
| ბრედფორდი | 7 | 1 | 2 | 4 | 8:13 | 5 |
| ბრისტოლი | 7 | 0 | 4 | 3 | 9:14 | 4 |
| ქუინზ პარკი | 7 | 0 | 3 | 4 | 4:11 | 3 |
| ტრანმერი | 6 | 0 | 3 | 3 | 4:12 | 3 |

## გერმანია

III ტური

### ფრაიბურგი 0:2 ბაიერნი

0:1 ელბერი (21), 0:2 შტრუნცი (35)
ფრაიბურგი: გოლცი, კორელი, ტ. ჰოფმანი, შ. მიულერი, კოლი, ბაია, ვაისჰაუპტი, კობიაშვილი, ფრონცეკი (პავლინი 68), იაშვილი (გიუნეში 83), ბენ სლიმანი (სელინი 68)
ბაიერნი: კანი, ბაბელი, მათეუსი, ჰელმერი, შტრუნცი, იერემისი, ეფენბერგი, ლისარასუ, ბასლერი (ციკლერი 79), ელბერი (სალიჰამიჯიჩი 90), იანკერი (დაეი 70)
გაფრთხილება: ეფენბერგი, მათეუსი, შტრუნცი
მსაჯი: ფანდენი

### ჰანზა 3:0 დუისბურგი

1:0 ცალმანი (77), 2:0 ნოიველი (83პ), 3:0 პამიჩი (89)
ჰანზა: პიკენჰაგენი, რემერი, ვაილანდტი, ცალმანი, რამდანე (ლანგე 84), განსაუგე (მაიაკი 76), ბრაიტკროიცი (აგალი 76), იასერი, ჰოლეჩეკი, პამიჩი, ნოიველი
დუისბურგი: გილი, ვანა (ჰაიტო 81), ვოლერტი, კომლიენოვიჩი, ვოლტერსი, ვედაუ, მორავჩიკი (ტიოფტინგი 83), ჰირში, ნოინი, შპისი, ანდერსენი (ბაიერლე 63)
გაფრთხილება: აგალი, რამდანე, ცალმანი, ნოინი, ვოლერტი
მსაჯი: შტარკი

### კლაუტერნი 4:3 ჰერტა

0:1 ვაიტი (1), 1:1 მარშალი (5), 1:2 ტომი (45), 1:3 დარდაი (54), 2:3 მარშალი (68), 3:3 შიონბერგი (71პ), 4:3 შიონბერგი (82)
მარშალმა ვერ გაიტანა პენალტი (30)
კაიზერსლაუტერნი: რაინკე, როოსი (რაიხი 23), რამზი (რიშე 55), შიონბერგი, ბუკი, რატინიო, რიდლი, სფორცა, ვაგნერი, მარშალი, როსლერი (ხრისტოვი 46)
ჰერტა: კირალი, ჰერცოგი, რეკდალი, სვერისონი, ვაიტი (ვან ბურიკი 64), შმიდტი (ჩამი 84), ვოში, ტრეჩოკი, მანდრეკო (დარდაი 31), პრეეტცი, ტომი
გაფრთხილება: მარშალი, მანდრეკო, რეკდალი, ტომი, ვაიტი, ვოში
მსაჯი: დარდენე

### ჰამბურგი 1:1 ვოლფსბურგი

1:0 ბუტი (39პ), 1:1 ბაუმგარტი (90)
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, პანადიჩი, ფ. ერნსტი, ჰერჩი, ფიშერი, გროტი, გრავესენი, ჰოლერბახი (იეპსენი 46), დემბინსკი, იებოა, კირიაკოვი (გრუბაჩი 26, გრამოცისი 62)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ონილი, კრიგერი, კოვაჩევიჩი, დამაიერი (გრაინერი 46), რეინა, ნოვაკი, აკონორი, კაპეტანოვიჩი (ბაუმგარტი 72), პრეგერი (შტამანი 77), იუსკოვიაკი
გაფრთხილება: გროტი, იებოა, გრაინერი, ნოვაკი, ონილი, რეინა
მსაჯი: ვაგნერი

### მიუნხენი 3:1 გლადბახი

1:0 ვინკლერი (2), 2:0 კურცი (23), 2:1 კლინკერტი (56), 3:1 ვინკლერი (84)
ვინკლერმა ვერ გაიტანა პენალტი (1)
მიუნხენი: მ. ჰოფმანი, გრაილიხი, ვანენბურგი, კურცი, ჩერნი, ზელიჩი (ჰელდტი 51), ოუაკილი (მალცი 60), სტევიჩი, ტაისი, ბ. ვინკლერი, ჰობში (შროტი 72)
მიონხენგლადბახი: ენკე, პასლაკი (რაიტერი 24), კლინკერტი, ასანინი, ჰაუსვაილერი, ჰაგნერი (კეტელაერი 46), ვიტეჩეკი, პფლიპსენი, შნაიდერი (დაისლერი 62), ჰოლსტერი, პეტერსონი
გაფრთხილება: გრაილიხი, ტაისი, ჰაგნერი, კლინკერტი
მსაჯი: ბერგი

### ვერდერი 2:2 ლევერკუზენი

0:1 კირსტენი (43პ), 1:1 როემბიაკი (53პ), 2:1 ფრინგსი (59), 2:2 რინკი (90)
ვერდერი: როშტი, ტრარესი, ბენკენი, სკრიპნიკი (ვიდენერი 78), როემბიაკი (დაბროვსკი 86), მაქსიმოვი, აილტსი, ფრაი, ბოდე, ფრინგსი (ფლოკი 70), ფლო
ლევერკუზენი: მატიშეკი, ლოტნერი (ნ. კოვაჩი 66), ჰაპე, რ. კოვაჩი, რეები (ლენჰოფი 46), ემერსონი, რამელო (ჰაინცე 66), ბაინლიხი, ზე რობერტო, კირსტენი, რინკი
გაფრთხილება, როემბეაკი, ემერსონი, ჰაპე, მატიშეკი, რ. კოვაჩი, რინკი
მსაჯი: ბუჰარტი

# რიბეკის თვალწინ რქანიცა ხნავენ

### აინტრახტი 1:1 შტუტგარტი

0:1 ბალაკოვი (72), 1:1 ბირნკმანი (89პ)
აინტრახტი: ნიკოლოვი, ხუბჩევი, ბინდევალდი, კუჩერა (კაიმაკი 33, ეპი 81), ბრინკმანი, სობოჩიკი (ვესტერჰალერი 72), შური, პისონტი, ვებერი, იანგი, ბ. შნაიდერი
შტუტგარტი: ვოლფარტი, ტიამი, ვერნატი, ბერთოლდი, ჯორჯევიჩი (ლისტეში 68), პოშნერი (ცაიერი 58), სტოიკოვსკი, ბალაკოვი, კელერი, ბობიჩი, რისტიჩი (შპანრინგი 82)
გაფრთხილება: ბალაკოვი, კელერი, შპანრინგი
გაძევება: ბინდევალდი (75)
მსაჯი: აუშტი

### დორტმუნდი 0:1 ბოხუმი

0:1 ბუკლი (87)
დორტმუნდი: კლოსი, ფაიერზინგერი, კოლერი, ნიეჰუსი, კ. ბაუმანი, ჰესლერი (ტანკო 46), ჰენგენი, რაინჰარდტი (ტიმი 81), მიოლერი, სალუ, შაპუიზა (ვ. ბუტი 68)
ბოხუმი: ტ. ერნსტი, კრახტი, ვალდოხი, სუნდერმანი, ბუკლი, ტოპლაკი, გაუდინიო (ბემბენი 67), ფარენჰორსტი, ბასტურკი (პეტროვიჩი 62), ნ. ჰოფმანი, მიხალკე (პეშელი 46)
გაფრთხილება: მიოლერი, ჰენგენი, პეშელი
მსაჯი: შტრამპე

მატჩი გერმანიის ჩემპიონის მონაწილეობით, ცხადია, საინტერესოა. თუკი ბუნდესლიგის ჩემპიონი ოტო რეჰაგელის „კაიზერსლაუტერნია“ და მეტოქეც ბოლოხანს მოძლიერებული ჰყავს, ინტერესიც ორმაგია. „ჰერტას“, ამოდენა ბერლინის ეული წარმომადგენელი რომაა უძლიერესთა შორის, შარშან თუ შიგადაშიგ კარგ თამაშს ჯერდებოდა, წლეულს ამბიციაც არცთუ მოკრძალებული აქვს. ცოტა დააკლდა, ეს ჩემპიონთათვის არათუ ეჩვენებინა, არამედ დაემტკიცებინა კიდეც.

„კლაუტერნი“, რომელიც საჩემპიონო ეიფორიიდან ნელა და მძიმედ გამოდის პირველივე წუთზე აგებდა. ზიქსტენ ვაიტმა რენე ტრეჩოკის კარგი პასით შორიდან დარტყმული ბურთი გაუტანა ანდრეას რაინკეს. „კაიზერსლაუტერნი“ გონს თითქოს მალევე მოეგო, ოთხ წუთში სფორცას პასით ოლაფ მარშალმა გაათანაბრა და ცოტა ხანში ბაუკის წაქცევისთვის დანიშნული პენალტით თანაგუნდელთა დაწინაურების შანსიც მიეცა. კაიზერელთა თავდასხმის ლიდერი საამისოდ ურიგოდ არ გარჯილა, მაგრამ „ჰერტას“ უნგრელმა მეკარე გაბორ კირალიმ კუთხე გამოიცნო და ამით ბერლინელებს ალმაფრენა შემატა. კირალის საქციელით გულმიცემულმა ანდრეას ტომმაც (მას „სელტიკის“ შემადგენლობაში ბათუმელთათვისაც არაერთი გაუტანია) ტაიმის ბოლოს შორი მანძილიდან ულამაზესი გოლი ჩაჭედა, რაინკეს კარში. თითქოს ეს არ კმაროდაო, გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების წევრი ბერლინელი პალ დარდაი თამაშის განახლებისთანავე მარცხნიდან შეიჭრა „კლაუტერნის“ საჯარიმოში და 1:3 გახადა.

თავშიც ვთქვით, გამეორება მოგვიწევს — ან რეჰაგელი რის მწვრთნელი იქნებოდა, ან „კაიზერსლაუტერნი“ ჩემპიონი, ფარ-ხმალი აქ დაეყარა. ჯერ მარტინ ვაგნერმა მიიტანა იერიში სტუმართა დაცვის ბასტიონზე, მეკარის მოგერიებულს კი ზედ ბაქნის კუთხიდან იურგნე რიშემ დაამატა, მაგრამ კირალი მედგრად იდგა. და ასე იყო 68-ე წუთამდე, ვიდრე მაშრალმა არ იმარშალა და სფორცას პასი ჯერ მკერდიდან თავზე, თავიდან ფეხზე აკენწლა, მერე კი უნგრელ მეკარეს ჩაუმკრატელა.

ბოლო აკორდი დანიელი მიქაელ შიონბერგის დუბლი გამოდგა. ჯერ შეცვლაზე შესულმა ბულგარელმა მარიან ხრისტოვმა გააკეთა თავისი საქმე — არაერთ აცილებულ დარტყმას საჯარიმოში ერთი და ნაღდი წაქცევა მოაყოლა. პენალტი შიონბერგმა ჩრდილოურად ცივსისხლიანად დაარტყა და ათ წუთში მეორეც შეაგდო.



„ფრაიბურგი“ — „ბაიერნი“. ბუნდესლიგაში ლევან კობიაშვილის დებიუტი მარცხიანი გამოდგა

ამ ჯერზე დანიელს ბურთი ისეთ დროს მიუვიდა, რომ არავინ ელოდა და მანაც ისე უბიძგა, მარჯვენა ძელიდან მოყოლებული, ბურთს კარის მთელი წიაღი შემოატარა. უქმად არც „ჰერტა“ ყოფილა, რამაც მატჩი კიდევ უფრო დაძაბა, მაგრამ ბერლინელები არაზუსტად ურტყამდნენ.

წლევანდელი განწყობისამებრ, ესე იგი, ბევრად ლაღად გაიხარჯა მეორე (უკეთ, უპირველესი) ფავორიტი „ბაიერნი“. დიდ მიუნხენელთა მორიგი საკბილო ჩვენებურთა „ფრაიბურგი“ გამოდგა. ჩვენებურთაო, რომ ვამბობთ, იაშვილთან ერთად უკვე ლევან კობიაშვილს ვგულისხმობთ. ლევანი „ფრაიბურგის“ მწვრთნელს ფოლკერ ფინკეს მართლა გულით სდომია. ათნომრიანი მაისური ხომ თავიდანვე დაუბევა და პირველი შესაძლებლობისთანავე — „ბაიერნთან“ ძირითად შემადგენლობაშიც ჩართო — გუნდის დირიჟორობა მიანდო. სხვა საქმეა, რომ კობიაშვილის ბუნდესლიგური დებიუტი მარცხიანი გამოდგა და უმოქმედობით ერთი გაშვებული გოლის უნებური მონაწილეც შეიქნა.

„ფრაიბურგმა“ ოდენ 20 წუთს გაძლო, რომ წლეულს პირველად არ წაეგო. მერე კი ელბერმა ბაბელის ჩაწოდება გაიტანა, შრუნცმა ზემოხსენებული გოლი, მარიო ბასლერის კუთხური თავით ხელშეუშლელად რომ გადაგზავნა გოლცის კარში. მასპინძლები ამის მერელა გააქტიურდნენ და ვიცე-ჩემპიონს გვარიანი პრობლემებიც შეუქმნეს, მაგრამ არც იაშვილის ერთ-ორ კარგ პასს გამოუღია ნაყოფი და არც კობიაშვილის მოულოდნელ და შორეულ, თუმცა სუსტ დარტყმას მოჰყოლია გოლი — ოლივერ კანმა იოლად აიღო.

მატჩის მშვენება ვეტერან ლოთარ მათეუსის მთელმოედნიანი დრიბლინგი იყო, რომელსაც ტრიბუნიდან თვალს ბუნდესნაკრების ახალი მწვრთნელი ერიხ რიბეკიც ადევნებდა.

წლევანდელი ბუნდესლიგის მთავარი მოულოდნელობა უდავოდ „ლევერკუზენის“ წარუმატებლობაა. არა, „ბაიერს“ ამჯერად აღარ წაუგია, მაგრამ მასზე ცუდ დღეში მყოფ „ვერდერს“ მხოლოდ მატჩის მიუწურულს გაუთანაბრა.

სტუმრები ბრემენში კი დაწინაურდნენ, მაგრამ სადაც სამართალია, „ვერდერი“ პენალტით დასჯას არ იმსახურებდა. ტრასესის დანაშაული, საჯარიმოს განაპირას მაღლა აწეული ფეხი ბურთზე თამაშის მერე თავდამსხმელს მხარშიც რომ უთავაზა, თავისუფალი დარტყმის დანიშვნას თუ იმსახრებდა. არბიტრმა ბუხარტმა კი ულფ კირსტენს პენალტიდან ანგარიშის გახსნის შანსი მისცა და ისიც ხელიდან როგორ გაუშვებდა.

თამაშის განახლებისთანავე ბუხარტს შეცდომის გამოსყიდვის საშუალება მიეცა — მატიშეკმა ერთი-ერთზე გასულ მარკო ბოდეს მუხლი ჩაუდგა და მერე ვერც როემბიაკის პენალტი მოიგერია.

არავინ თქვას, მხოლოდ ჩვენი მსაჯები ცდებიანო უხეშად. 59-ე წუთზე ბოდე კაიხელა ოფსაიდში გაეპარათ, მან კი ფრინგსს უპასა და „ვერდერიც“ დაწინაურდა. მატჩი ასეც მორჩებოდა, ბოლო წუთზე ბენკენს ფეხი რომ არ დასცდენოდა. ამან რობერტ კოვაჩის პასი პაულო რობერტო რინკს იოლად მიაღებინა და მანაც საჯარიმოს კიდიდანვე გაუტანა მეკარე ფრანკ როშტს.

„ლევერკუზენზე“ ცუდ დღეშია უეფას თასის ექს-მფლობელი „შალკე“. გელზენკირხენის „პარკშტადიონმა“ თავსხმაში დებიუტანტ „ნიურნბერგს“ უმასპინძლა და ჰოლანდიელების, აიკელკამპისა და მაქსის გოლებით 2:0 რომ იგებდა, „შალკე“ მოეშვა და ჯერ ჩირიჩს, მერე კი კურტს გაატანინა.

სხვა მატჩებიდან აღსანიშნავი როსტოკში „დუისბურგის“ განადგურება და ჰამბურგული ფრეა. „ჰამბურგის“ მეკარე ჰანს-იორგ ბუტმა ორივე გოლში წილი დაიდო. ჯერ რაიტმაიერს პენალტიდან გაუტანა, მერე კი ბოლო წუთზე ბაუმგარტის უძლიერესი დარტყმა ოდენ მოიგერია — მიმართულება ველარ უცვალა.

**ვახტანგ გზირაძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბაიერნი | 4 | 4 | 0 | 0 | 12:2 | +10 | 12 | 2 | 2 | 0 | 0 | 9:2 | +7 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | +3 | 6 |
| 2 | კლაუტერნი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:9 | −1 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:4 | +1 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:5 | −3 | 3 |
| 3 | ჰამბურგი | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | +2 | 8 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | +1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | +1 | 4 |
| 4 | შტუტგარტი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:3 | +4 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | +5 | 6 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | −1 | 1 |
| 5 | მიუნხენ 1860 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:6 | +2 | 7 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | +2 | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | +1 | 4 |
| 6 | ნიურნბერგი | 4 | 1 | 3 | 0 | 6:5 | +1 | 6 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 1 | 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | +1 | 4 |
| 7 | ჰერტა | 4 | 2 | 0 | 2 | 6:7 | −1 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | +3 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 3:7 | −4 | 0 |
| 8 | ლევერკუზენი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:6 | +1 | 5 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | +1 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 |
| 9 | ფრაიბურგი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:5 | −1 | 5 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | −2 | 1 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | +1 | 4 |
| 10 | დორტმუნდი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:3 | +1 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | +2 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | −1 | 1 |
| 11 | გლადბახი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 0 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | +3 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | −3 | 0 |
| 12 | ჰანზა | 4 | 1 | 1 | 2 | 8:12 | −4 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 6:3 | +3 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:9 | −7 | 0 |
| 13 | დუისბურგი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:8 | −4 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | +1 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | −5 | 0 |
| 14 | შალკე 04 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:7 | −4 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | +1 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | −5 | 0 |
| 15 | ბოხუმი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:3 | +1 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | +1 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 1 |
| 16 | ვოლფსბურგი | 4 | 0 | 3 | 1 | 5:6 | −1 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | −1 | 1 | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 0 | 2 |
| 17 | აინტრახტი | 4 | 0 | 2 | 2 | 5:7 | −2 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | −1 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | −1 | 1 |
| 18 | ვერდერი | 4 | 0 | 1 | 3 | 4:8 | −4 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 | 4:5 | −1 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | −3 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვინკლერი (მიუნხენი) | 5 |
| მარშალი (კლაუტერნი) | 4 |
| პამიჩი (ჰანზა) | 4 |
| ელბერი (ბაიერნი) | 3 |
| ბაინლიხი (ლევერკუზენი) | 3 |

V ტური

18 სექტემბერი
ჰერტა - აინტრახტი
ჰანზა - ფრაიბურგი

19 სექტემბერი
ვოლფსბურგი - ვერდერი
ლევერკუზენი - დორტმუნდი
ბოხუმი - შალკე
ნიურნბერგი - კლაუტერნი
შტუტგარტი - მიუნხენი

20 სექტემბერი
ბაიერნი - ჰამბურგი
დუისბურგი - გლადბახი

## მეორე ბუნდესლიგა

VI ტური

### კარლსრუე 3:1 ობერჰაუზენი

0:1 და სილვა (15), 1:1 კრიკი (50), 2:1 მაისნერი (59), 3:1 ლიპინსკი (84ს.კ.)

### ვატენშაიდი 0:0 ფორტუნა

### არმინია 2:0 კოტბუსი

1:0 რეინა (69), 2:0 ბოდე (79)

### კიკერსი 2:1 გიუტერსლო

0:1 ლანდგრაფი (44), 1:1 კევრიჩი (52), 2:1 საილერი (68)

### უნტერჰახინგი 1:0 მაინცი

1:0 რაკლი (68)

### ფიურტი 1:0 დიუსელდორფი

1:0 კერბრი (17)

### ბერლინი 3:1 ურდინგენი

1:0 მელციგი (24), 2:0 არაჩიჩი (25), 2:1 ფონალენი (36), 3:1 ჟევჩიკი (75)

### ჰანოვერი 1:1 ულმი

0:1 ოტო (34), 1:1 ლინკე (88)

### კიოლნი 1:4 ზანქტ პაული

0:1 მასონი (15), 0:2 ხმილევსკი (16), 0:3 მარინი (27), 0:4 შერცი (43), 1:4 ვუჩევიჩი (44)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ულმი | 6 | 4 | 2 | 0 | 15:6 | 14 |
| ბერლინი | 6 | 4 | 1 | 1 | 11:6 | 13 |
| კიკერსი | 6 | 4 | 0 | 2 | 7:5 | 12 |
| არმინია | 6 | 4 | 0 | 2 | 9:8 | 12 |
| ფიურტი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:6 | 11 |
| მაინცი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:4 | 10 |
| ჰანოვერი | 6 | 3 | 1 | 2 | 11:7 | 10 |
| უნტერჰახინგი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:7 | 10 |
| ფორტუნა | 6 | 3 | 1 | 2 | 9:10 | 10 |
| ზტ. პაული | 6 | 3 | 0 | 3 | 7:7 | 9 |
| კოტბუსი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:5 | 8 |
| კარლსრუე | 6 | 2 | 0 | 4 | 9:12 | 6 |
| დიუსელდორფი | 6 | 1 | 2 | 3 | 8:9 | 5 |
| ურდინგენი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:8 | 5 |
| ობერჰაუზენი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:8 | 5 |
| გიუტერსლო | 6 | 1 | 1 | 4 | 5:10 | 4 |
| კიოლნი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:14 | 4 |
| ვატენშაიდი | 6 | 0 | 3 | 3 | 2:6 | 3 |

## იტალია

# დაკარგული ქულები და კიდევ ერთი ინძაგი

### I ტური

#### ბარი 1:0 ვენეცია

1:0 ძამბროტა (9)
ბარი: მანჩინი, დე როსა, გარსია, ინოკენტი, დე ასკენტისი, ანდერსონი, მარკოლინი, კნუდსენი (მადსენი 72), ძამბროტა, ოსმანოვსკი (ბრესანი 46), სპინეზი (გუერერო 67)
ვენეცია: ტაიბი, კარნაშალი, პავანი, ლუკი, დალ კანტო, იაკინი, ვოლპი (ბონოკორე 49), პედონე (ვალტოლინა 71), დე ფრანჩესკი, შოუოკი, მანიერო
გაფრთხილება: დე ასკენტისი, ანდერსონი, შოუკი
გაძევება: კარნაშალი (91)
მსაჯი: ჩეზარი

#### კალიარი 2:2 ინტერი

1:0 კალონი (31), 2:0 მუცი (41), 2:1, 2:2 ვენტოლა (76, 81)
კალიარი: სკარპი, ძებინა, ძანონკელი, გრაცადონია, ვაზარი, ბერეტა, დე პატრე, ონილი, მაკელარი, მუცი (მბომა 55, კავეცი 84), კალონი
ინტერი: პალიუკა, კოლონეზე, გალანტე, ფრეზი, მილანეზე (კოე 66), ძანეტი, ვინტერი, სიმეონე, ჯორკაეფი (ვენტოლა 73), სამორანო, ბაჯო (პირლო 63)
გაფრთხილება: ბერეტა, ფრეზი, დე პატრე, კოლონეზე, ჯორკაეფი, კალონი
მსაჯი: ტრეოზი

#### რომა 3:1 სალერნიტანა

0:1 სონგი (41), 1:1 პაულუ სერჟიო (46), 2:1 ტოტი (61), 3:1 პაულუ სერჟიო (83)
რომა: კიმენტი, კაფუ, ძაგო, ალდაირი, კანდელა, დი ფრანჩესკო (ტომაზი 57), დი ბიაჯო, ალეინიჩევი, პაულუ სერჟიო (გაუტიერი 86), ბარტლეტი (ფრაი 55), ტოტი
სალერნიტანა: ბალი, ბოლიჩი, სონგი, ფუსკო, ტოსტო, როსი, ჯიო ტოდესკო (ვანუჩი 60), ბრედა, ჯია ტოდესკო, დე ჩეზარე (ფერარა 51), კიანეზე
გაფრთხილება: დი ბიაჯო, ტოსტო, ტომაზი
გაძევება: ფუსკო (45)
მსაჯი: ბოლონინო

#### პიაჩენცა 1:1 ლაციო

0:1 სტანკოვიჩი (73), 1:1 ინძაგი (88)
პიაჩენცა: ფიორი (მარკონი 17), ლუკარელი, საკეტი, ვერხოვოდი, პოლონია, პიოვანი (ბუზო 15), მაცოლა, სტროპა (კასტელინი 46), მანიგეტი, ს. ინძაგი, რასტელი
ლაციო: მარკეჯანი, ლომბარდი, მიხაილოვიჩი, ლოპესი, კოუტუ, ნედვედი, დე ლა პენია (ბარონიო 59), ვენტურინი (მანჩინი 46), კონსეისაუ (სტანკოვიჩი 46), სალასი, ვიერი
გაფრთხილება: მიხაილოვიჩი, ვენტურინი, პოლონია, სტანკოვიჩი, ბარონიო, კასტელინი
გაძევება: ლომბარდი (86)
მსაჯი: ფარინა

#### ფიორენტინა 2:0 ემპოლი

1:0 რუი კოშტა (6), 2:0 ბატისტუტა (60)
ფიორენტინა: ტოლდო, ფალკონე, ფირიკანო, რეპკა, ჰაინრიხი (ტაროცი 59), ტორიჩელი, რუი კოშტა (ამორი 81), ამორუზო, ოლივეირა (მორფეო 60), ედმუნდო, ბატისტუტა
ემპოლი: სერენი, ფუსკო, ბალდინი, ბიანკონი, ტონეტო, ლუჩენტი (ჩუპი 68), პანე, ბიზოლი (მარტუშელო 66), ბონომი, პალუმბო, კაპელინი
გაფრთხილება: პალუმბო, ჰაინრიხი, ტონეტო
გაძევება: ედმუნდო, ფუსკო (62)
მსაჯი: ტრანტალანგი

#### უდინეზე 2:2 სამპდორია

1:0 ბაკინი (15), 1:1 ბერტოტო (33ს.კ.), 1:2 მონტელა (37), 2:2 ამოროზო (42)
უდინეზე: ტურჩი, ბერტოტო, კალორი, კიერინი, ნავასი, ჯანიკედა, ვალემი, ბაკინი (პინედა 80), პოჯი (ლოკატელი 68), იორგენსენი (აპია 90), ამოროზო
სამპდორია: ფერონი, საკიჩი, ნავა, გრანდონი, კასტელინი, ლაილი (ჯაკოპინო 65), ფრანჩესკეტი, ბალერი, ორტეგა (კატე 92), პალმიერი, მონტელა (ვერგასოლა 78)
გაფრთხილება: ბაკინი, ნავასი, კასტელინი, გრანდონი, ბერტოტო, პოჯი
მსაჯი: მესინა

#### მილანი 3:0 ბოლონია

1:0, 2:0 ბირჰოფი (47, 52პ), 3:0 ლეონარდო (80)
მილანი: ლემანი, ნგოტი, აიალა, მალდინი, ბა (კოკო 58), ალბერტინი, ბობანი (მაინი 46), ჰელვეგი, განცი (ლეონარდო 77), ბირჰოფი, ვეა
ბოლონია: ანტონიოლი, ბია (ბინოტო 73), პაგანინი, მანგონე, რინალდი, კაპიოლი, მაროკი (ერიბერტო 82), ტარანტინო, სინიორი (სიმუტენკოვი 67), კოლივანოვი, ნერვო
გაფრთხილება: ბა, კაპიოლი, რინალდი
მსაჯი: ბაცოლი

#### პერუჯა 3:4 იუვენტუსი

0:1 დავიდსი (23), 0:2 ტუდორი (32), 0:3 პესოტო (44), 1:3, 2:3 ნაკატა (48, 57), 2:4 ფონსეკა (65), 3:4 ბერნარდინი (87პ)
პერუჯა: პაგოტო, სოლანო, მატრეკანო, რივასი, სუზი, პეტრაკი (მელი 91), მანიკონე (ბერნარდინი 46), კამპოლო, რაპაიჩი, ნაკატა, ტოვალიერი (ერცეგი 73)
იუვენტუსი: პერუცი, ბირინდელი, ტუდორი, იულიანო (მირკოვიჩი 47), პესოტო, ტაკინარდი, დეშამპი, ზიდანი (ფონსეკა 23), ინძაგი, დელ პიერო (დი ლივიო 67)
გაფრთხილება: სოლანო, ბირინდელი, კამპოლო, დავიდსი, სუზი, პესოტო, ტოვალიერი, მირკოვიჩი
მსაჯი: ტომბოლინი

#### პარმა 0:0 ვიჩენცა

პარმა: ბუფონი, სარტორი, ტურამი, კანავარო, ფუზერი (ორლანდინი 86), დ. ბაჯო, ბოგოსიანი, ბენარივო, ვერონი (ფიორე 59), ბალბო (კრესპო 64), ასპრილია
ვიჩენცა: ბრივიო, დელიზო, სტოვინი, ვივიანი, დი ჩარა, მორაბიტო, ამბროზეტი (ოტერო 77), მენდსი, დი კარლო, ძაული (პადალინო 77), ლუიზო (სკენარდი 70)
გაფრთხილება: დელიზო, დი კარლო, ბალბო
მსაჯი: დე სანტისი



იუვენტუსი — პერუჯა. იაპონელმა ნაკატამ „იუვენტუსს“ ორი გოლი გაუტანა

გახურებით ჯერ არ გახურებულა, მაგრამ დაწყებით დაიწყო. იტალიის პირველობაზე მოგახსენებთ, რომელსაც მთელს დედამიწაზე განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

ამა თუ იმ მოთამაშეზე კამათის დროს აუცილებლად ისმება კითხვა: სერია A-ში შეძლებს თავის გამოჩენას? სწორედ ასეა, სერია A ამბიციურ ფეხბურთელთა ერთგვარი გამოცდა გახლავთ. მას ბევრი ცნობილი კაცი დაუფრენია, ბევრისთვის კი სახელი გაუთქვამს. ყოფილა, რომ მავანს მსოფლიოს ჩემპიონატზე ტრავმისა თუ სხვა მიზეზის გამო ვერ გაუბრწყინია, მაგრამ იტალიურ ლიგაში ნაჩვენები ოსტატობის შემდეგ ვარსკვლავად მიუჩნევიათ.

პიდეტოში ნაკატაზე რაიმეს თქმა ჯერ ძალიან ადრეა, თუმცა ფაქტია, რომ საკითხი უკვე ასე დგას: მასზე ადრე თუ გვიან უნდა ითქვას. ამ იაპონელ ფეხბურთელს ხალხი მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში გაეცნო. მანამდე იყო საგაზეთო პუბლიკაციები, რომლებიც ამომავალი მზის ქვეყნის ჯეი ლიგის შეფასებებს ეყრდნობოდა და ჩანდა, რომ ნაკატა სხვათაგან გამორჩეულია, მაგრამ...

მაგრამ ჯეი ლიგა, რაგინდ იაპონურად რეკლამირებულიც იყოს, ჯეი ლიგაა და დიდი ევროპული ნდობა ჯერ არ დაუმსახურებია. მსოფლიოს ჩემპიონატზე კი რა ვანხეთ? ვნახეთ იაპონიის სახელმძღვანელოებით განსწავლული, მაგრამ ფანტაზიამოკლებული გუნდის წითლად თამაშებილი, აქტიური ფეხბურთელი. მოკლედ, რასაც ჩვეულებრივი ქომაგი ვარსკვლავს უწოდებს, ისეთი არაფერი.

და ვის უწოდებს ჩვეულებრივი ქომაგი ვარსკვლავს? კაცს, რომელსაც იაპონიიდან ცხრა მთას იქით, იტალიაში გადაბარგების შემდეგ, პირველსავე ოფიციალურ შეხვედრაში „იუვენტუსის“ კარში ორი გოლი გააქვს.

დიახ, პიდეტოში ნაკატამ სერია A-ს ახალი სეზონის პირველსავე შეხვედრაში „იუვენტუსს“ ორი გოლი შეუგდო და კვლავ დაბადა კითხვა, ბოლოს და ბოლოს ვარსკვლავია თუ არა ეს იაპონელი კაცი?

„იუვენტუსმა“ სერია A-ში დაბრუნებულ „პერუჯასთან“ შეხვედრაში, როგორც ჩემპიონს შეშვენის, თავიდანვე დიდი უპირატესობა მოიპოვა — გუნდები პირველი ტაიმის შემდეგ დასასვენებლად რომ გავიდნენ, ტაბლოზე 3:0 ენთო.

— ჩვენ „ისე რა“ ვითამაშეთ. ამხელა უპირატესობა რომ გაქვს, მოწინააღმდეგს თავი აღარ უნდა გაუტოლო და ამდენი გოლი აღარ უნდა გაუშვა — თქვა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ჩემპიონის სახელგანთქმულმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ.

მოკლედ, „იუვემ“ შესვენების შემდეგ წაიფორხილა, მეორე ტაიმი 1:3 წააგო, თუმცა ჯამში მაინც თავისი სასარგებლო 4:3 გამოუვიდა. აქ ეტყობა, ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა ითამაშა მნიშვნელოვანი როლი. ჯერ ის, რომ „ბებერი ქალბატონი“ „სკუდეტოს“ მფლობელია, „პერუჯა“ კი ქვედა ლიგიდან ამოსული გუნდი, რომელმაც ძირითადად იმაზე უნდა იზრუნოს, რომ ისევ იქ არ დააბრუნონ. მეორეც, ასეთ გუნდთან 45 წუთში 3:0-ს რომ აღწევს მობილიზება გიჭირს, ყურადღება გეფანტება.

და ამ დროს მეტოქე ფხიზლობს. ის ჯიუტია და დაჟინებული, ბოლოს და ბლოს ისიც სერია A-ს გუნდია და თავისი ამბიციები და მიზნები აქვს. აბა, ტყუილად ხომ არ ჩამოუყვანია ნაკატა სამყაროს დასალიერიდან?

მართლაც, მეორე ტაიმი რომ დაიწყო, ნაკატამ ბურთი იხელთა და „იუვეს“ მეკარის, ანჯელო პერუცისგან შორეულ კუთხეში ზუსტად დაარტყა. გავიდა ერთი ხანი და 21 წლის იაპონელს ანალოგიური მომენტი ჩაუვარდა ხელთ, მაგრამ ბედმა უმუხთლა, სულ ცოტა ხნის შემდეგ კი მან შეცდომა გამოასწორა და ახლოდან მეორედ გადააკვეთინა ბურთს სტუმართა კარის ხაზი.

„იუვე“ კუთხურმა იხსნა. იტალიის ჩემპიონს სტანდარტული მდგომარეობები ზედმიწევნით კარგად აქვს დამუშავებული. კუთხურიდან ჩაწოდებულს ტურინელთა ურუგვაელმა თავდამსხმელმა დანიელ ფონსეკამ დროულად უხელთა და თავური გოლი გაიტანა. პერუჯელთა მესამე გოლი კი ბოლო წუთზე დარტყმული თერთმეტმეტრიანის შედეგი გახლდათ.

— ნაკატამ გვაჩვენა, რომ ფრიად ფასეული მოთამაშეა. ჩვენს გუნდში მას საკვანძო როლი ენიჭება, თანაც ძალიან ახალგაზრდაა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მომავალში კიდევ უფრო აიმაღლებს ოსტატობას — ბრძანა „პერუჯას“ თავკაცმა ილარიო კასტანერმა.

თავიდან კი, როგორც მოგახსენეთ, „ბებერმა ქალბატონმა“ დიდი უპირატესობა მოიპოვა, თუმცა პირველ წუთებზე სახიფათო მომენტი ორივე კართან შეიქმნა. ჯერ იყო და მსოფლიოს ჩემპიონატის ნამდვილმა ვარსკვლავმა, ფრანგმა ზინედინ ზიდანმა ხელსაყრელი პოზიციიდან ხეირიანად ვერ დაუმიზნა, ხოლო მერე „იუვეს“ მცველმა ჯანლუკა პესოტომ სანდრო ტოვალიერის დარტყმული სასწაულებრივ უკუაგდო.

ამის შემდეგ ტურინელებმა მოედნის სრული კონტროლი დააწესეს და ედგარ დავიდსმა შორიდან გახსნა ანგარიში. 10 წუთის შემდეგ „იუვეში“ გადასულმა ხორვატმა მცველმა იგორ ტუდორმა მეორედ დალაშქრა მასპინძლების კარი. სხვათა შორის ეს გოლიც კუთხურის და თავურის დაგვირგვინება გახლდათ.

24-ე წუთზე „პერუჯამ“ გათამაშების საბაბი იპოვნა, რაც ზიდანის ტრავმამ და მოედნიდან გასვლამ მისცა.მასპინძელთა გათამაშებას კ. შედეგად ის მოყვა, რომ პერუცის ორჯერ მოუხდა ურთულესად მოსაგერიებლის მოგერიება. პიველად მასთან პირისპირ შესულ ტოვალიერის აჯობა, მერე კი, ტაიმის დასრულებამდე სამი წუთით ადრე, ნაკატას ღონიერ თავურს გაუმკლავდა.

და მაინც, როგორც იცით, „იუვემ“ პირველი ტაიმი სამგოლიანი უპირატესობით მოიგო — მსაჯის სასტვენამდე ერთი წუთით ადრე საჯარიმოს გარედან პესოტომ დაჰკრა ზუსტად და ძლიერად.

„იუვენტუსის“ კონკურენტი, მილანის „ინტერი“ სტუმრად „კალიარის“ ეწვია. „ინეტრს“ არ ჰყავდა დისკვალიფიცირებული რონალდო. მის არყოფნაში მწვრთნელმა ლუიჯი სიმონიმ თავდასხმა რობერტო ბაჯოსა და იური ჯორკაეფს ანდო, მაგრამ აღიარებულმა ისტატებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს.

თავდაპირველად სერია A-ში ახალასული „კალიარი“ დაწინაურდა. გოლი სიერა ლეონეს ნაკრების 19 წლის წევრმა მოჰამედ კალონმა გაიტანა. მოგვიანებით მწვავე კონტრშეტევა ისევ მასპინძელმა, რობერტო მუციმ დააგვირგვინა შავ-ლურჯთა კარის დალაშქვრით. მაგრამ, ტიტულის მაძიებელი არ დანებდა გათავხედებულ მასპინძელს და მოედანზე ბაჯოს ნაცვლად შესული, 20 წლის ნიკოლა ვენტოლას მეცადინეობით სარდინიიდან ქულის წაღება მოახერხა.

„პიაჩენცამ“ ორი ქულა „ლაციოს“ დააკარგვინა. რომაელებმა, მოგეხსენებათ, გასულ ზაფხულს ტრანსფერებს დიდძალი ფული შეალიეს, მაგრამ ახალი ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში პოტენციალი ვერ გამოავლინეს.

იტალიელი ფეხბურთელებისგან დაკომპლექტებულმა „პიაჩენცამ“ დამსახურებული ქულა მოიპოვა. მასპინძელთაგან „იუვენტუსის“ ვარსკვლავის, ფილიპო ინძაგის უმცროსმა ძმამ სიმონე ინძაგიმ გაიტანა. მაგრამ მანამდე იყო სტუმრების გოლი. დეიან სტანკოვიჩმა შორეული დარტყმით გახსნა ანგარიში.

ყურადღების ცენტრში გახლდათ „ლაციოს“ ფორვარდი, მადრიდის „ატლეტიკოსგან“ ნაყიდი იტალიელი ვარსკვლავი კრისტიან ვიერი, რომელმაც გულშემატკივრებს თავი ვერაფრით დაამახსოვრა. იგი სერია A-ს ყველაზე ასაკოვანმა ფეხბურთელმა, 39 წლის პიეტრო ვერხოვოდმა გააუვნებლა.

ბოლო ორი სეზონის განმავლობაში გულშემატკივრების გამწბილებელმა „მილანმა“ სული მოითქვა — „ბოლონიას“ 3:0 მოუგო. ამ გამარჯვებაში აღსანიშნავი ისაა, რომ ორი გოლი გუნდის ახალწვეულმა გერმანელმა ოლივერ ბირჰოფმა გაიტანა.

ბირჰოფის პირველ წარმატებამდე შავწითლებს ბევრი არაფერი გაუკეთებიათ. მაგრამ შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე გასული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა საფირმო თავურით მასპინძელთა გამარჯვებას ჩაუყარა საფუძველი.

შესვენების შემდეგ გერმანელმა პენალტით მეორე გოლი შეაგდო, მოგვიანებით კი ბრაზილიელმა ლეონარდომ მესმედაც გაახარა ქომაგები.

**ბაპუნა ძედია**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მილანი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | +3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | +3 | 3 | — | — | — | — | — | — | — |
| 2 | რომა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | +2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | +2 | 3 | — | — | — | — | — | — | — |
| 3 | ფიორენტინა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | +2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | +2 | 3 | — | — | — | — | — | — | — |
| 4 | იუვენტუსი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:3 | +1 | 3 | — | — | — | — | — | — | — | 1 | 1 | 0 | 0 | 4:3 | +1 | 3 |
| 5 | ბარი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | +1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | +1 | 3 | — | — | — | — | — | — | — |
| 6 | სამპდორია | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | — | — | — | — | — | — | — | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 7 | ინტერი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | — | — | — | — | — | — | — | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 8 | კალიარი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| 9 | უდინეზე | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| 10 | ლაციო | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | — | — | — | — | — | — | — | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 11 | პიაჩენცა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| 12 | ვიჩენცა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | — | — | — | — | — | — | — | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 13 | პარმა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| 14 | პერუჯა | 1 | 0 | 0 | 1 | 3:4 | −1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 3:4 | −1 | 0 | — | — | — | — | — | — | — |
| 15 | ვენეცია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | −1 | 0 | — | — | — | — | — | — | — | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | −1 | 0 |
| 16 | სალერნიტანა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | −2 | 0 | — | — | — | — | — | — | — | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | −1 | 0 |
| 17 | ემპოლი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | −2 | 0 | — | — | — | — | — | — | — | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | −2 | 0 |
| 18 | ბოლონია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | −3 | 0 | — | — | — | — | — | — | — | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | −3 | 0 |

II ტური
20 სექტემბერი
ბოლონია - უდინეზე
ემპოლი - რომა
ვიჩენცა - ფიორენტინა
ლაციო - ბარი
იუვენტუსი - კალიარი
ვენეცია - პარმა
სალერნიტანა - მილანი
ინტერი - პიაჩენცა
სამპდორია - პერუჯა

## სერია B

### II ტური

#### ჩეზენა 2:3 ტრევიზო

0:1, 0:2 დე პოლი (14პ, 35პ), 1:2 აგოსტინი (52პ), 2:2 კომანდინი (62), 2:3 როსი (78

#### კიევო 2:0 ატალანტა

1:0 ძანკეტა (78), 2:0 კარბონე (79)

#### კოზენცა 1:1 ტერნანა

1:0 რიკო (45), 1:1 ფაბრისი (55)

#### ფ. ანდრია 1:1 ბრეშა

0:1 მარინო (1), 1:1 კორადი (80)

#### ჯენოა 0:1 ლეჩე

0:1 მურჯიტა (25პ)

#### პესკარა 0:1 ნაპოლი

0:1 პარადისო (59)

#### რეჯანა 1:1 კრემონეზე

1:0 სულო (48), 1:1 მაინფრედი (77)

#### რეჯინა 0:0 მონცა

#### ტორინო 3:0 რავენა

1:0 შიენძა (71), 2:0, 3:0 ფერანტე (75პ, 81)

#### ლუკეზე 1:2 ვერონა

0:1 ფერარეზე (3), 1:1 ობედიო (50), 1:2 დე ვიტისი (66)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერონა | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| ტრევიზო | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| ლეჩე | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| ბრეშა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| კრემონეზე | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| კოზენცა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ტორინო | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| კიევო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| რავენა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ნაპოლი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ატალანტა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| ტერნანა | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| რეჯანა | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| მონცა | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| ლუკეზე | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| რეჯინა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ფ. ანდრია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| ჯენოა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| ჩეზენა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |
| პესკარა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

# ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა

## ესპანეთი

II ტური

### ბარსელონა 1:0 ესტრემადურა

1:0 ფიგუ (23)
ბარსელონა: ჰესპი, პელეგრინო, სერხი, რაიციგერი, ზენდენი, კოკუ, ფიგუ (ოკუნოვო 83), ჯოვანი, ლუის ენრიკე, კლუივერტი, რივალდო
ესტრემადურა: გასპერჩიჩი, დავიდი (სოტო 56), კალა, ფელიქსი, ოსკარი, პოლი, ველამაზანი (ბოგდანოვიჩი 64), პედრო ხოსე, ერანა, მანუელი (დურე 71), რუედა
გაფრთხილება: გასპერჩიჩი, პოლი
მსაჯი: სანტიაგო

### ვილიარეალი 1:1 სელტა

1:0 კრაიოვიანუ (10), 1:1 პენევი (32)
ვილიარეალი: პალოპი, პასკუალი, სერერი, არეგუი, რობერტო, ალბელდა, დიასი, გერარდო, კრაიოვიანუ, კრისტიანსენი (ალბერტო 58), ალფარო
სელტა: დუტრუელი, კასერესი, სელგადო, ვალესი (რევივო 66), ჯოროვიჩი, ტომასი, მაკელელი, მაზინიო, კარპინი (კაირესი 89), მოსტოვოი (სანჩესი 84), პენევი
გაფრთხილება: სერერი, არეგუი, სელგადო, ტომასი, პენევი
მსაჯი: სევილია

### დეპორტივო 1:0 ვალენსია

1:0 შურერი (4)
დეპორტივო: სონგო, რომერო, შურერი, არმანდო, რამისი, ზიანი (ბონისელი 71), ჯალმინია (დონატო 85), მაურო სილვა, ფრანი (სკალონი 81), კონსეისაო, ტურუ ფლორესი
ვალენსია: კანისარესი, როში, ბიორკლუნდი, კარბონი, ანგლომა, სორია (პოპესკუ 68), შვარცი (მია 72), მენდიეტა, ლუკარელი (ფარინოსი 46), ილიე, ანგულო
გაფრთხილება: დონატო, კარბონი, ანგლომა, სორია, ფარინოსი
მსაჯი: ლოპეს ნიეტო

### ბილბაო 2:0 რასინგი

1:0 იმასი (17), 2:0 ურსაისი (44)
ბილბაო: ეჩებერია, ალკორტა, ფელიპე, ლაკრუსი, ურუტია, იმასი (გერერო 67), კარლოს გარსია, ალკიზა, ხავი გონსალესი (ხოსე მარი 84), ესკუერო (ხოსება ეჩებერია 60), ურსაისი
რასინგი: სებალოსი, ნერუ, მერინო, სიეტესი, ხარა, შუსტიკოვი (ჯელი 15), ვიქტორი, ჩემა, ისმაელი, მუნიტისი, ბესჩასნიხი (პრესიადო 64)
გაფრთხილება: ფელიპე, ხავი გონსალესი, ჯელი, ისმაელი
მსაჯი: მარინი

### ბეტისი 1:3 სარაგოსა

0:1 მარკოს ვალესი (34), 0:2 ჯამელი (47), 1:2 ოლი (58), 1:3 მილოშევიჩი (79)
ბეტისი: პრატსი, ფერნანდესი (ხაიმე 46), მერინო (იტო 46), სოლოსაბალი, ოლიასი, ალექსისი, ფერნანდო, ფინიდი, დენილსონი, ოლი (ივან პერესი 77), კუელიარი
სარაგოსა: ხუანმი, პაკო, პაბლო, სოლანა, აგუადო, არაგონი, კილი გონსალესი (რადიმოვი 85), აკუნა, მილოშევიჩი, ჯამელი (გუსტავო ლოპესი 63), მარკოს ვალესი (იგნასიო 75)
გაფრთხილება: ფერნანდო, ხუანმი, სოლანა, აგუადო, აკუნა, ჯამელი
მსაჯი: ლასა

### მალიორკა 2:0 ესპანიოლი

1:0 დანი (27), 2:0 ჩუპა ლოპესი (54)
მალიორკა: როა, სივიერო, მ. სოლერი, ნინო, ოლიასოლა, იბაგაზა (არპონი 63), სტანკოვიჩი, ლაურენი (ფ. სოლერი 75), ენგონგა, ჩუპა ლოპესი (კარლოსი 74), დანი
ესპანიოლი: ტონი, კრისტობალი, ნანდო, პოჩეტინო, ვილა, ჰელგუერა, გალკა (სერჟიო 62), პოსე, ესნაიდერი, ბენიტესი (ნან რივერა 46), კიკე მარტინი (სერანო 80)
გაფრთხილება: ნინო, ოლიასოლა, პოჩეტინო, ჰელგუერა, პოსე
მსაჯი: დავილა

### ვალიადოლიდი 0:1 რეალი

0:1 მიატოვიჩი (9)
ვალიადოლიდი: ცეზარი, მარკოსი, კალვო, სანტამარია, პენა, ვისკაინო, ტურიელი (ვიქტორი 45), ჩემა, ლოზანო (ეუსებიო 58), ისაილოვიჩი (კლიმოვიჩი 63), პეტერნაკი
რეალი: ილგნერი, რობერტო კარლოსი, იერო, სანჩისი, პანუჩი, რედონდო, ზეედორფი, რაული, მიატოვიჩი (გუტი 90), მორიენტესი (იარნი 63), სავიო (კარემბუ 70)
გაფრთხილება: ლოზანო, პეტერნაკი, იერო, სანჩისი, რედონდო
გაძევება: რობერტო კარლოსი
მსაჯი: ომარი

### ოვიედო 1:0 ალავესი

1:0 ცეზარი (34)
ოვიედო: ესტებანი, რაბარივონი, მანელი, ცეზარი, ბანგო (ანია 63), ივანი, ბენტუ, ონოპკო, ხაიმე, დელი ვალდესი, დუბოვსკი
ალავესი: კიკე, როჩა, კარმონა, ალბისტეგი, ბეგონა (ალფონსო 57), კანაბალი (მოსელინი 68), პაბლო გომესი, დესიო, ასკოიტა (რევილა 53), მორალესი, სივორი
გაფრთხილება: ცეზარი, ივანი, კარმონა, ალბისტეგი
მსაჯი: ლეირა

### ტენერიფე 2:2 სოსიედადი

1:0 ხუანელე (29), 1:1 იაურეგი (54), 2:1 მაკაი (64), 2:2 ვიორკლაუ (94ს.კ.)
ტენერიფე: მონტოია, ალექსისი, მატა, ვიორკლაუ, ანდრე, იოკანოვიჩი, ფელიპე, ემერსონი, ხუანელე (რობაინა 74), მაკაი (პინილია 78), დომინგუში (კოდრო 61)
სოსიედადი: ალბერტო, გერერო (ალდეონდო 68), ფუენტესი, არანსაბალი, ლორენი, პიკაბეა, იაურეგი, დე პედრო, კუჰბაუერი (დე პაულა 79), კოვაჩევიჩი, სა პინტუ
გაფრთხილება: ანდრე, ფელიპე, კოდრო, არანსაბალი, დე პედრო, კოვაჩევიჩი, სა პინტუ
მსაჯი: გონსალესი

### ატლეტიკო 2:0 სალამანკა

1:0 იუგოვიჩი (48პ), 2:0 კიკო (55)
ატლეტიკო: მოლინა, ტორიზი, სერენა, სანტი, აგილერა, იუგოვიჩი, მენა (ბეიბლი 68), ნიეგუსი (ჟუნინიო 46), ლარდინი, ხოსე მარი, კიკო (ტონი 80)
სალამანკა: სტელია, რამოსი, ლორენი, ლანა, ლუნარი (კასარტელი 79), ტაირა, ედუ, როჯერიო, კარდეტი (ბარბარა 79), ველისკა, სილვანი
გაფრთხილება: სანტი
გაძევება: ტორიზი
მსაჯი: იბანესი

მსოფლიო ფეხბურთის უტიტულოვანესი კაცია თუ ვინც არის, ბრაზილიელთა გადამდგარი მწვრთნელი მარიო ზაგალო ერთობ ახირებული პიროვნება გახლავთ. ფეხბურთელების მსოფლიოს პირველობაზე წასაყვანად ანუ მათ შესარჩევად ზაგალომ ბევრისთვის გაუგებარ კრიტერიუმებს მიმართა, თუმცა ისიც სათქმელია, რომ აღნიშნული კრიტერიუმები მას მთლად ჰაერიდანაც არ მოუტანია. რომარიო და ჟუნინიო მწვრთნელმა შინ იმიტომ დატოვა, რომ საფრანგეთი 98-ის დაწყებამდე ერთი ხნით ადრე მათ ექიმის კაბინეტში უფრო ხშირად ნახავდით, ვიდრე საწვრთნელ თუ სათამაშო მოედანზე.

რომარიომ, მოგეხსენებათ, მწვრთნელს სამაგიერო იმით გადაუხადა, რომ რიო დე ჟანეიროში, თავისი კაფეს ტუალეტის კარზე მავან მხატვარს მისი კარიკატურა გამოასახვინა. ამაზე სასამართლო იყო.

ჟუნინიოს ტუალეტის ამბავი მსოფლიო საზოგადოებრიობისთვის უცნობია, ვერც იმას გეტყვით, ჩაიდო თუ არა ფეხბურთელმა გულში მწვრთნელის ბოღმა, სამაგიეროდ, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში იგი მოედანზე დაბრუნდა და საუცხოოდ ითამაშა.

მისმა „ატლეტიკო მადრიდმა“ 2:0 სძლია „სალამანკას“ და ამ შეხვედრის ყველაზე მნიშვნელოვანი ამბები სწორედ მას მერე დატრიალდა, რაც ჟუნინიომ სათადარიგო სკამიდან მინდორზე გადაინაცვლა.

ინგლისში იყო და ამ მოთამაშით ყველა აღფრთოვანებული გახლდათ, ესპანეთშია და იგივე ხდება, აი, მსოფლიოს პირველობაზეც რომ გვენახა მისი ოსტატობა, მართლაც კარგი იქნებოდა, მაგრამ რა გაეწყობა. ჟუნინიო და ზაგალო თავიანთი ურთიერთობებისა და ტუალეტების ამბებს თავად, უჩვენოდაც მიხედავენ. ვინ იცის, იქნებ მართალიც იყო მწვრთნელი.



REUTERS მადრიდიდან

ატლეტიკო — სალამანკა. მადრიდელი კიკოს ეს გოლი ტურში საუკეთესოდ აღიარეს

შაბათს „ვისენტე კალდერონზე“ კი მწვრთნელი არიგო საკი უეჭველად მართალი იყო ბრაზილიელი მოედანზე რომ გაიყვანა. „სალამანკასთან“ შეხვედრის პირველ ნაწილში „ატლეტიკოს“ ძალიან გაუჭირდა, მაგრამ შესვენებაზე მასპინძელთა გუნდში ფეხბურთელი შეიცვალა და შეიცვალა თამაშის იერსახეც.

მეორე ტაიმი სულ ახალდაწყებული გახლდათ, როდესაც ჟუნინიო მოწინააღმდეგის საჯარიმოში შეიჭრა და პენალტი მოინადირა. თერთმეტმეტრიანიდან დატყმა იუგოსლაველმა ნახევარმცველმა ვლადიმირ უიგოვიჩმა შეასრულა და ანგარიში გახსნა.

ოთხ წუთში საკის ფეხბურთელებმა ისევ ცენტრიდან დააწყებინეს „სალამანკას“ თამაში. მოვლენათა შუაგულში კვლავ „მიდლსბროს“ ოდინდელი ფეხბურთელი გახლდათ: მან პასი კარლოს აგილერას გადააწოდა, აგილერამ ფორვარდს, კიკოს გადასცა რომელმაც ანგარიში ორამდე გაზარდა.

„სალამანკა“ ამ შეხვედრაში ძალიან მოწადინებული გახლდათ. სტუმარმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია მასპინძელს, მაგრამ „ატლეტიკომ“ თამაშის სადავეები მჭიდროდ იპყრო და მიუხედავად იმისა, რომ იტალიელი მცველი სტეფანო ტორიზი საფინალო სასტვენამდე 10 წუთით ადრე მოედნიდან გაუძევეს, საქმე ბედნიერ დასასრულამდე მიიყვანა.

ჩემპიონმა „ბარსელონამ“ „ესტერემადურას“ მშობლიურ „კამპ ნოუზე“ 1:0 მოუგო. ამ შეხვედრას შესაძლოა გამოუყენებელ შესაძლებლობათა შეხვედრაც ვუწოდოთ. „ბარსას“ დებიუტანტმა, ჰოლანდიელმა ვარსკვლავმა პატრიკ კლუივერტმა გულშემატკივრებზე დიდი შთაბეჭდილება ნამდვილად ვერ მოახდინა, სამაგიეროდ პორტუგალიელმა ლუიშ ფიგუმ ბრაზილიელი რივალდოს პასით ბურთს სტუმრების კარში ამოაყოფინა თავი და კატალონიურ გუნდს სამი ქულა მოუპოვა.

ლოგიკურად, ძლიერი გამარჯვებით დასრულდა „ვალიადოლიდისა“ და ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელის, მადრიდის „რეალის“ შეხვედრაც. მატჩი მძიმე ბრძოლაში გაილია და მისი ბედი იუგოსლავიის ნაკრების თავდამსხმელის პრედრაგ მიატოვიჩის ერთმა თავურმა გადაწყვიტა.

მიატოვიჩი საბედისწერო ეპიზოდში მასპინძელმა მცველებმა უმეთვალყურეოდ დატოვეს და მანაც მარცხენა ფრთიდან ფერნანდო მორიენტესის ჩინებულ ნამოქმედარს ღირსეული დაბოლოვება მოუძებნა — შეხვედრის ერთადერთი და სეზონში თავისი მეორე გოლი გაიტანა.

გამარჯვება „სამეფო გუნდისთვის“ ბუნებრივია ფრიად სასიამოვნო გახლდათ, მაგრამ მას ერთი შავი ლაქაც დაჰყვა თან. გამოცდილი მცველის, ბრაზილიელი რობერტო კარლოსის გაძევებას ვგულისხმობთ. გაძევებას ბუნებრივია დისკვალიფიკაცია მოჰყვება, არადა, შემდგომ ტურში რობერტო კარლოსი მადრიდელებს ძლიერ წაადგებოდათ, რადგან ამ კვირის ბოლოს „რეალი“ — „ბარსაა“.

სამი ქულა მოიპოვა ჩემპიონთა ლიგის მესამე ესპანელმა ბინადარმა, იქ, თბილისის „დინამოს“ გავლით მოხვედრილმა ბილბაოს „ატლეტიკმაც“. ბასკებმა „რასინგ სანტანდერს“ 2:0 მოუგეს.

„რასინგთან“ შეხვედრაში ბილბაოელებს ოთხი ფეხბურთელი აკლდათ, მაგრამ ანდონი იმასისა და ისმაელ ურსიასისთვის ამას ორი გოლის გატანაში ხელი არ შეუშლია.

„დეპორტივო ლა კორუნიამ“ „ვალენსიას“ 1:0 აჯობა. სეზონის პირველ გამარჯვებაში გადამწყვეტი სიტყვა მასპინძლების არგენტინელმა მცველმა გაბრიელ შურერმა თქვა. რაც შეეხება „ვალენსიას“, რომელზეც სეზონის წინ ბევრს ლაპარაკობდნენ, „რეალისა“ და „ბარსელონას“ კამათში ჩაერევაო, მან ლა კორუნიელთა კარგად ორგანიზებულ დაცვას ერთი ხეირიანი მომეტნიც ვერ გამოსტყუა.

2:2 იყო „ტენერიფესა“ და სან სებასტიანის „რეალ სოსიედადის“ შეხვედრაში. მასპინძლები ძალიან ახლოს იყვნენ სეზონის პირველ გამარჯვებასთან. ან კი მეტი რაღა ახლოს უნდა ყოფილიყვნენ, უკვე მსაჯის მიერ წამატებული წუთები ითვლებოდა, ტაბლოზე მათ სასარგებლოდ 2:1 რომ ეწერა, მაგარმ მცველმა ფერდინანდ ვიერკლაუმ ბურთი საკუთარ კარში შეაგდო და ბასკეთის მეორე გუნდს ფრე უძღვნა.

ეს „რეალ სოსიედადის“ მეორე უხვგოლიანი ფრე იყო. შეგახსენებთ, რომ ესპანეთის პირველობის გახსნის დღეს მან „ოვიედოსთან“ 3:3 ითამაშა.

„რეალ ბეტისმა“ შინ 1:3 წააგო „რეალ სარაგოსასთან“. „ბეტისმა“ ამ ზაფხულს ჯიბეზე გვარიანად გაიკრა ხელი ახალ მოთამაშეთა საყიდლად, მაგრამ ქომაგებს გული ვერაფრით გაუხარა.

„ვილიარელისა“ და „სელტას“ მატჩში, რომელიც 1:1 დასრულდა, რუმინელმა გეორგ კრაიოვეანუმ, კრაიოვას „უნივერსიტატიას“ შემადგენლობაში თამაშისას თბილისის „დინამოს“ რომ დასჭიდებია, სეზონში თავისი მეორე გოლი გაიტანა. „სელტასთან“ მოპოვებული ქულა პრიმერა დივიზიონის ახალბედა გუნდისთვის პირველი გახლდათ.

სტუმართაგან ბულგარელმა ლუბო პენევმა გაათანაბრა.

**მიხეილ სურგულაძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | სარაგოსა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | +4 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | +2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | +2 | 3 |
| 2 | რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | +4 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | +3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | +1 | 3 |
| 3 | მალიორკა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | +2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | +2 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 4 | ოვიედო | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | +1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | +1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 0 | 1 |
| 5 | ბარსელონა | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | +1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | +1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 6 | დეპორტივო | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | +1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | +1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 7 | ატლეტიკო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | +1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | +2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 8 | ბილბაო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | +2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 9 | ვალენსია | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | +1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 10 | ესპანიოლი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | +1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 11 | სოსიედადი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 12 | სელტა | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 13 | ტენერიფე | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 14 | ალავესი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | -1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 15 | ვალიადოლიდი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | -1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 16 | ესტრემადურა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | -1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 17 | ბეტისი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 18 | რასინგი | 2 | 0 | 1 | 0 | 0:2 | -2 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 19 | სალამანკა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | -2 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 20 | ვილიარეალი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | -3 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -4 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| კრაიოვეანუ (ვილიარეალი) | 2 |
| რაული (რეალი) | 2 |
| მიატოვიჩი (რეალი) | 2 |
| მარკოს ვალესი (სოსიედადი) | 2 |

II ტური
19 სექტემბერი
რეალი - ბარსელონა
20 სექტემბერი
ოვიედო - ტენერიფე
სოსიედადი - მალიორკა
ესპანიოლი - ატლეტიკო
სალამანკა - დეპორტივო
ვალენსია - ვილიარეალი
სელტა - ვალიადოლიდი
ესტრემადურა - ბილბაო
რასინგი - ბეტისი
ალავესი - სარაგოსა

## მეორე დივიზიონი

III ტური

### ლას პალმასი 3:0 ეიბარი

1:0 რენალდო (27), 2:0, 3:0 ელოი (40, 65)

### რაიო ვალეკანო 0:0 ბარსელონა B

### კომპოსტელა 4:1 ლეგანესი

0:1 ხუანმი (30), 1:1 სიონი (56), 2:1 პრიეტო (64), 3:1 სიონი (87), 4:1 მაურო (89)

### მალაგა 1:1 სპორტინგი

0:1 მონჩუ (17), 1:1 გუედე (27)

### ატლეტიკო B 0:0 ალბასეტე

### ნუმანსია 2:1 ბადახოსი

0:1 მაურიციო (18), 1:1 კასტანო (48), 2:1 ანხელი (88პ)

### ორენსე 1:0 უელვა

1:0 რიესკო (36პ)

### ლოგრონიესი 2:1 ერკულესი

1:0, 2:0 მანელი (2, 70), 2:1 ლუნარი (75პ)

### ლეიდა 1:0 ოსასუნა

1:0 ტამუდო (60)

### სევილია 0:0 მერიდა

### მალიორკა B — ტოლედო

*გვიან გაიმართა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნუმანსია | 3 | 3 | 0 | 0 | 9:2 | 9 |
| კომპოსტელა | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| სევილია | 3 | 2 | 1 | 0 | 4:0 | 7 |
| ლოგრონიესი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| მალაგა | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| მალიორკა B | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| ლას პალმასი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| ლეიდა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:5 | 6 |
| ტოლედო | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| ერკულესი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| რაიო | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| იებარი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| ორენსე | 3 | 1 | 0 | 2 | 1:4 | 3 |
| ლეგანესი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:10 | 3 |
| სპორტინგი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ატლეტიკო B | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| ბარსელონა B | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 | 2 |
| ოსასუნა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |
| მერიდა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |
| უელვა | 3 | 0 | 1 | 2 | 0:2 | 1 |
| ალბასეტე | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| ბადახოსი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:5 | 0 |

## ჰოლანდია

IV ტური

**გრააფსხაპი 2:1 ნაიმეგენი**

1:0 რელოფსენი (44 პ), 1:1 დე გიერი (63), 2:1 გერიტსენი (80)

**უტრეხტი 2:2 აიაქსი**

0:1 ლიტმანენი (6), 1:1 ო'ბრაიენი (45), 1:2 მაკარტი (61), 2:2 მოლსი (80)

აიაქსი: ვან დერ სარი, ტობიასენი, ბლინდი, ოლისე, მელხიოტი, დანი, ლიტმანენი, ვიჩხე, მაკარტი (სიბონი 75), ბაბანგიდა (გრონკიაერი 87), ჰუქსტრა

**ტვენტე 1:0 ვალვაიკი**

1:0 ჰესელინკი (39)

**როდა 3:1 ბრედა**

1:0 პეტერსი (33), 2:0 ვან ჰოდტი (42), 2:1 მაკდონალდი (77), 3:1 ვან ჰოდტი (81)

ბრედა: კარელსე (დე ვოგტი 71), გუდელი, ვან ასი (მაკდონალდი 75), ვერსტეგი, ვან დე ლოი, ვოში, ნოპი, ფესკენსი (მილიჩიჩი 58), შრუდერი, სტიუარტი, ა. არველაძე

**ეინდჰოვენი 2:0 მაასტრიხტი**

1:0 დე ბილდე (44), 2:0 ნიკიფოროვი (52)

ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ლუსიუსი, ნიკიფოროვი (ვან დერ დულენი 75), ოიერი, ოიენი, მარკოსი, ხოხლოვი, ივანი, კოლკა (გახოკიძე 77), ვან ნისტერლოი, დე ბილდე (ბრუგინკი 83)

**სიტარდი 2:2 აზ 67**

0:1 მუტსერსი (46), 1:1 ბოუმა (57), 1:2 ვან დერ ვერტი (75 პ), 2:2 ჰამინგი (87)

**ტილბურგი 3:2 სპარტა**

0:1 ტამერი (9), 1:1 არტსი (17), 2:1 შულპი (45), 3:1 რამზი (68), 3:2 კრიგსმანი (79)

ტილბურგი: ვან ფესემი, პრომაიონი, შენინგი, ჰილი, ჰენდრიკსი, ფალკი, არტსი, გალაშეკი, ჰერინგი (ლოფენი 70), შულპი (აბდელაუი 55), რამზი (კესაი 81)

გალაშეკი 52-ე წუთზე გააძევეს

**ვიტესი 4:2 კამბური**

1:0 პეროვიჩი (23), 1:1 დიკჰუიზენი (25), 2:1 მახლასი (41), 3:1 პეროვიჩი (43), 3:2 ვან დერ ჰეიდე (65), 4:2 პეროვიჩი (84)

**ჰერენვენი 0:1 ფეიენოორდი**

0:1 ტინინიო (63)

ტურის ცენტრალური მატჩი უტრეხტში გაიმართა, სადაც იქაური გუნდი ქვეყნის შარშანდელ ჩემპიონსა და თასის მფლობელ „აიაქსს" მასპინძლობდა. ამ შეხვედრამდე ორივე კლუბი როტერდამის „ფეიენოორდთან" ერთად ეროვნულ ჩემპიონატში უდანაკარგოდ ასპარეზობდა და, ბუნებრივია, ასპროცენტიან მაჩვენებელთან განშორება არც ერთს სურდა.

ამიტომ თამაში, როგორც მოსალოდნელი იყო, უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა. ამსტერდამელები, რომლებიც ამ დღეს უქართველებოდ გავიდნენ მინდორზე, თავიდანვე დაეუფლნენ ინიციატივას და იარი ლიტმანენის გოლის წყალობით 1:0 დაწინაურდნენ. სტუმრებს უპირატესობა არც ამის შემდეგ გაუშვიათ ხელიდან. მარტო სამხრეთაფრიკელ ბენი მაკარტის კარის დალაშქვრის რამდენიმე რეალური მომენტი ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენა.

მორტენ ოლსენის შეგირდებს, მომენტს მომენტზე რომ ფლანგავდნენ, ეტყობა, დაავიწყდათ სრულიად სახეშეცვლილ და საგრძნობლად გაძლიერებულ „უტრეხტს" რომ ეთამაშებოდნენ და არა იმ დაჩაჩანაკებულ გუნდს, რომელმაც შარშანდელ სეზონში უმაღლეს ლიგაში ადგილი დიდი ტანჯვა-წვალების შემდეგ ძლივს შეინარჩუნა. მასპინძლებმაც, ბუნებრივია, მეტოქეს უგერგილობა არ აპატიეს და შესვენებამდე ანგარიში გაათანაბრეს.

მეორე ტაიმში თამაში კიდევ უფრო გამძაფრდა, თუმცა სტუმართა უპირატესობა იმდენად თვალშისაცემი აღარ იყო, რის გამოც სახიფათო მომენტები უკვე ორივე გუნდის კართან მრავლად იქმნებოდა. საბოლოოდ მეტოქეებმა თითო ბურთი გაცვალეს და მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს. მატჩის ანგარიში, ჩვენი აზრით, სამართლიანი გახლდათ, რადგან „აიაქსი" იმ საღამოს ნამდვილად არ ჰგავდა იმ გუნდს, დიდი მიზნებისთვის ბრძოლა რომ ამოუჭრა გულში. ოდენ სახელით კი, მოგეხსენებათ, დღეს უკვე თამაშს ვერავინ იგებს.

კონკურენტების წაფორხილებით კარგად ისარგებლა „ფეიენოორდმა" და „ჰერენვენთან" გასვლითი შეხვედრის მინიმალური ანგარიშით მოგებით სატურნირო ცხრილში ერთპირვნული ლიდერობა იგდო ხელთ. ისე, უნდა ითქვს, რომ სტუმრები სანუკვარი სამი ქულის მოპოვებას უმეტესწილად „ჰერენვენის" გოლკიპერს ჰანს ვონკს უნდა უმადლოდნენ, რომელმაც ახალბედა ბრაზილიელი მცველის ტონინიოს მახვილგონივრულ დარტყმას ალღო ვერ აუღო და უადვილესი ბურთის გაშვებით „ფეიენოორდს" მშვენიერი საჩუქარი უძღვნა.

კარგად ითამაშა უეფას თასზე თბილისის დინამოელთა დღევანდელმა მეტოქე „ტილბურგმაც". მათ საკუთარ მოედანზე ნახევარმცველი გალაშეკის გაძევების მიუხედავად, „სპარტა" დაამარცხეს 3:2 და ჩვენებთან შეხვედრის წინ მშვენიერი განწყობა შეიქმნეს.

ტურში ქართველ გულშემატკივართათვის ყველაზე საინტერესო უეჭველად გიორგი გახოკიძის „ეინდჰოვენის" რიგებში გამოჩენა გახლდათ. გიორგი თავის სადებიუტო მატჩში სასტარტო შემადგენლობაში ვერ ვიხილეთ, მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ მას პირველი ჰოლანდიური ცამეტი წუთი სასიკეთოდ წაადგება და შოთა არველაძის მსგავსად ერთგულ ქომაგთ არაერთხელ გაგვახარებს.

ირაკლი ხმელიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 4 | 4 | 0 | 0 | 11:2 | 12 |
| უტრეხტი | 4 | 3 | 1 | 0 | 13:5 | 10 |
| აიაქსი | 4 | 3 | 1 | 0 | 11:3 | 10 |
| ვიტესი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 10 |
| ეინდჰოვენი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:6 | 7 |
| ჰერენვენი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ტვენტე | 4 | 2 | 1 | 1 | 3:2 | 7 |
| ტილბურგი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:6 | 7 |
| გრააფსხაპი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:9 | 7 |
| ნაიმეგენი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| აზ 67 | 4 | 1 | 2 | 1 | 5:7 | 5 |
| როდა | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| ბრედა | 4 | 0 | 2 | 2 | 5:9 | 2 |
| კამბური | 4 | 0 | 2 | 2 | 5:10 | 2 |
| ვალვაიკი | 4 | 0 | 1 | 3 | 5:8 | 1 |
| სიტარდი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:7 | 1 |
| სპარტა | 4 | 0 | 1 | 3 | 3:7 | 1 |
| მაასტრიხტი | 4 | 0 | 0 | 4 | 3:11 | 0 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მოლსი (უტრეხტი) | 4 |
| მახლასი (ვიტესი) | 4 |
| დე ბილდე (ეინდჰოვენი) | 3 |
| პეროვიჩი (ვიტესი) | 3 |

## პორტუგალია

III ტური

**შავეში 4:1 ამადორა**

1:0, 2:0 რიკარდო ლოპესი (22, 34), 2:1 ლეალი (45პ), 3:1 პერესი (49), 4:1 სანტანა (65)

**სეტუბალი 1:2 რიუ ავე**

0:1 პერეირა (54), 0:2 გამა (84), 1:2 ჩიკინიო (89)

**კამპომაიორენსე 1:1 ბოავიშტა**

1:0 მანუელი (9), 1:1 რუდოლფი (42)

**უნიაუ 1:0 ალვერკა**

1:0 კონადუ (2)

**სალგეირუში 3:2 გიმარაეში**

1:0 სილვა (50), 2:0 ლუისი (73), 3:0 ფონსეკა (87), 3:1 ედმილსონი (89), 3:2 სოუზა (90)

**ბრაგა 1:1 მარიტიმუ**

1:0 ელპიდიუ (39), 1:1 მორეირა (47)

**ბენფიკა 3:0 ბეირა მარი**

1:0 პრინგლე (15), 2:0 კარლოსი (25), 3:0 გუარო რონალდო (54)

**პორტუ 2:0 ფარენსე**

1:0 ნუნუ კაპუჩო (8), 2:0 დორივა (52)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 3 | 3 | 0 | 0 | 7:0 | 9 |
| სალგეირუში | 3 | 2 | 1 | 0 | 9:6 | 7 |
| ბრაგა | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| უნიაუ | 3 | 2 | 1 | 0 | 2:0 | 7 |
| პორტუ | 3 | 2 | 0 | 1 | 7:2 | 6 |
| შავეში | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 6 |
| კამპომაიორენსე | 3 | 1 | 2 | 0 | 8:4 | 5 |
| ბოავიშტა | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 5 |
| სპორტინგი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 5 |
| ამადორა | 3 | 1 | 0 | 2 | 6:6 | 3 |
| ბეირა მარი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| რიუ ავე | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | 3 |
| მარიტიმუ | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| ალვერკა | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| გიმარაეში | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| აკადემიკა | 3 | 0 | 1 | 2 | 3:8 | 1 |
| სეტუბალი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:8 | 1 |
| ფარენსე | 3 | 0 | 0 | 3 | 2:8 | 0 |


**გამოსაცდელი ვადით სათანამშრომლოდ ვიწვევთ**

დამკაბადონებლად ვეძებთ სპორტის მცოდნე, მოწესრიგებულ, მარდ, გემოვნებიან მეგაზეთე ვაჟ სპეციალისტს

მსურველები შეგვეხმიანონ სამშაბათს ან ხუთშაბათს, 13-დან 17 საათამდე


## ბელგია

VI ტური

**კორტრიკი 3:4 გენტი**

1:0 კეიტა (3), 1:1 დეროორგე (21), 1:2 დრაგუტინოვიჩი (34), 1:3 ფოგუნე (50), 2:3 დებრაბანდერე (57), 3:3 კეიტა (59), 3:4 ნილსენი (73)

**შარლერუა 1:0 სტანდარდი**

1:0 ვან ჰემი (79)

სტანდარდი: რუნიე, ბლეი, აფოლაბი, ერნსტი, ალიაი, რემაკლე, ბისკონტი (გოდფროიდი 10), ჰელდერმანსი, დე კონდე, მორნარი, ფასოტე

**ეკერენი 0:3 ანდერლეხტი**

0:1 იაშჩუკი (69), 0:2 დოლი (84), 0:3 იაშჩუკი (90)

**სტ. ტრუიდენი 2:1 ლომელი**

0:1 ცუბერტი (27), 1:1 ენგლებერტი (32), 2:1 ფიერსი (75)

**გენკი 2:0 აალსტი**

1:0 გუდიონსონი (39), 2:0 ხორვატი (89)

**ბევერენი 5:0 ოსტენდე**

1:0 ტორკენი (13), 2:0 ნუიჯი (17), 3:0 სმიდი (32პ), 4:0 ტორკენი (34), 5:0 სკალია (88)

**ვესტერლო 4:3 ლოკერენი**

1:0 იანსენი (6), 2:0 ლეკონტე (14), 2:1 იანსენსი (21), 3:1 იანსენი (58), 3:2 ს. სტალენსი (61), 3:3 დიასი (64), 4:3 იანსენი (77)

**მუსკრონი 0:0 ლიერსი**

ლიერსი: მენცო, ბროკენი, ვან მეირი, ჰოფკენსი, დაემსი, სომერსი, ლიენი, ჰუისტრა, ზდებელი, ჰააგდორენი (ლაერმანსი 46), კავენსი (ვან დე ვეიერი 72)

**ბრიუგე 1:0 ჰარელბეკე**

1:0 იანკაუსკასი (29)

ყველაზე დიდ ინტერესს სატურნირო ცხრილის სათავეში საკმაოდ მეულოდნელად მოქცეული „ვესტრლოსა" და „ლოკერენის" შეხვედრა იპყრობდა. მატჩმაც მთლიანად გაამართლა გულშემატკივართა იმედები და ისეთი გამოდგა, კაცი უკეთესს ვერ ინატრებს. ორივე კარში გატანილ შვიდ გოლსა და გამოუყენებელ თერთმეტმეტრიან დარტყმას რომ თავი დავანებოთ, ფეხბურთელებმა იმდენი სახიფათო მომენტი შექმნეს, ორ მატჩს მაინც თავისუფლად ეყოფოდა.

შეხვედრის დასაწყისში მასპინძლებმა გაილაღეს. თამაში ნორმალურად არც გახურებულიყო, რომ ტაბლო უკვე „ვესტერლოსთვის" საკმაოდ ხელსაყრელ 2:0-ს აჩვენებდა. თუმცა სტუმრებმა ყველას დაანახეს, რომ ტურამდე ლიდერის პოზიციაზე ტყუილად რომ არ იმყოფებოდნენ. მათ ჯერ კრისტიან იანსენსის გოლის წყალობით გაქვითეს ერთი ქულა, ხოლოდ შემდეგ, 58-ე წუთზე, იოჰენ იონსენის მიერ შეგდებულ გოლსაც არ შეუშინდნენ და ორბურთიანი ჩამორჩენა მალევე ალმოფხვრეს.

„ვესტერლოს" გადამრჩენად ისევ მისი საუკეთესო თავდამსხმელი იანსენი მოევლინა. ამ ფეხბურთელმა იქამდე არ მოისვენა, სანამ მატჩში ჰეტ-თრიქი არ შეასრულა და აქამდე ლიდერი „ლოკერენი" საერთოდ უქულოდ არ დატოვა.

მრავალრიცხოვან ქომაგთა გულის გასახარად, როგორც იქნა, მოიგო ბრიუსელის „ანდერლეხტმაც". დედაქალაქელებს საწყის ხუთ წეხვედრაში ერთხელაც ვერ მოეგოთ და მოთამაშეები, უაღრესად რთულ მდგომარეობაში იყვნენ. ერთგული ფანების თვალში ავტორიტეტის აღსადგენად მათ უეჭველად გამარჯვება ესაჭიროებოდათ. წინამდეგ შემთხვევაში ჰოლანდიელ მთავარ მწვრთნელ არი ჰაანს საქმეს მოსახსნელად გაუხდიდნენ და თავადაც გულშემატკივართა მორიგ რისხვას დაიმსახურებდნენ. ამჯერად „ანდერლეხტისთვის" ყველაფერი კარგად დამთავრდა. გუნდმა გასვლით მატჩში საკმაოდ დამაჯერებლად 3:0 სძლია „ეკერენს" და ამით იქნებ სატურნირო ცხრილში თავის ალმასვლასაც დაუდო სათავე.

ლევან ფერაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვესტერლო | 6 | 5 | 0 | 1 | 17:8 | 15 |
| ბრიუგე | 5 | 4 | 1 | 0 | 9:4 | 13 |
| ლოკერენი | 6 | 4 | 1 | 1 | 16:6 | 13 |
| გენკი | 5 | 4 | 0 | 1 | 8:4 | 12 |
| სტ. ტრუიდენი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:7 | 10 |
| მუსკრონი | 6 | 2 | 4 | 0 | 7:3 | 10 |
| სტანდარდი | 6 | 3 | 0 | 3 | 9:6 | 9 |
| შარლერუა | 5 | 2 | 2 | 1 | 5:5 | 8 |
| გენტი | 6 | 2 | 2 | 2 | 9:10 | 8 |
| ლიერსი | 5 | 2 | 1 | 2 | 10:6 | 7 |
| ბევერენი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:9 | 7 |
| ეკერენი | 6 | 2 | 0 | 4 | 4:14 | 6 |
| ოსტენდე | 5 | 1 | 2 | 2 | 3:9 | 5 |
| ჰარელბეკე | 6 | 1 | 2 | 3 | 6:8 | 5 |
| ანდერლეხტი | 6 | 1 | 2 | 3 | 8:13 | 5 |
| აალსტი | 6 | 1 | 1 | 4 | 8:12 | 4 |
| ლომელი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:8 | 3 |
| კორტრიკი | 6 | 1 | 0 | 5 | 7:18 | 3 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| იანსენი (ვესტერლო) | 5 |
| კლასენსი (ბრიუგე) | 4 |
| კეიტა (კორტრიკი) | 4 |

## შოტლანდია

V ტური

**აბერდინი 1:1 მოზერველი**

1:0 ჯესი (7), 1:1 კოილი (34)

**სელტიკი 1:1 კილმარნოკი**

1:0 ბლინკერი (29), 1:1 ვარეილე (50)

**დანდი იუნ. 0:0 რეინჯერსი**

**ჰართსი 0:2 დანდი**

0:1, 0:2 ადამჩუკი (48, 82)

**სტ. ჯონსტონი 1:1 დანფერმლაინი**

1:0 სქუაირზი (37ს.კ.), 1:1 სმიტი (49პ)

შოტლანდიის ჩემპიონატის მე-5 ტურმა მეტად მშვიდობიანად ჩაიარა. ხუთიდან ოთხი მატჩი ფრედ დასრულდა, ხოლო ერთი სენსაციით აღინიშნა — გათამაშების ცხრილში ბოლო ადგილზე მყოფმა „დანდიმ", რომელმაც პირველად გოლის გატანა მხოლოდ წინა ტურში მოახერხა, ქვეყნის თასის მფლობელი „ჰართსი" მისსავე მინდორზე პირწმინდად დაამარცხა 2:0. ორივე გოლი პოლონელი ლეგიონერის დარიუს ადამჩუკის ანგარიშზეა. როგორ იმოქმედებს ეს სამარცხვინო წაგება „ჰართსზე", რომელიც თასების თასის მეთექვსმეტედფინალში ესპანურ „მალიორკას" ხვდება, ხუთშაბათს შევიტყობთ.

ჩემპიონატის მეორე აუტსაიდერ „დანდი იუნაიტედს" სახელოვანმა „რეინჯერსმა" ვერაფერი მოუხერხა, მეტიც, გოლის გატანის ასპროცენტიანი შესაძლებლობა ვერ გამოიყენა წარსულში „რეინჯერსის", ამჟამად კი „დანდი იუნაიტედის" თავდამსხმელმა გარი მაკსვიგანმა. მას გლაზგოელთა ფრანგმა გოლკიპერმა ლიონელ შარბონიემ შეუშალა ხელი, თუმცა სტუმრებმა ლიდერის პოზიცია მაინც შეინარჩუნეს, რადგან იმ დღეს გამარჯვება ვერც მეორე დედაქალაქურმა კლუბმა „სელტიკმა" მოახერხა. არადა, შოტლანდიის ჩემპიონებს „კილმარნოკთან" შეხვედრაში სრული უპირატესობა ჰქონდათ და იგებდნენ კიდეც რეჯი ბლინკერის მიერ 29-ე წუთზე გატანილის წყალობით, მაგრამ მეორე ტაიმის დებიუტში მოდუნდნენ და ეს ამბავი ძვირად დაუჯდათ — 2 ქულა ქარს გაატანეს. გარდა ამისა, მატჩის 68-ე წუთზე ახლო წარსულში დორტმუნდის „ბორუსიაში" მოთამაშე პოლ ლამბერტი მეორე ყვითელი ბარათისთვის მინდვრიდან მიაბრძანეს. შესაბამისად, იგი ველარ ითამაშებს გლაზგოურ დერბიში, რომელიც შემდეგ ტურში 20 სექტემბერს გაიმართება და რომელშიც „მოსისხლე მტრები" „რეინჯერსი" და „სელტიკი" შეხვდებიან ერთმანეთს. „პირველი გაფრთხილება მსაჯმა სამართლიანად მომცა. რაც შეეხება მეორეს, მას ნამდვილად არ ვიმსახურებდი. გული ორმაგად იმიტომ მტკივა, რომ „რეინჯერსთან" უპრინციპულეს მატჩს ტრიბუნიდან უნდა ვადევნო თვალყური" — აღნიშნა დამწუხრებულმა ლამბერტმა. და კიდევ, შეხვედრის დსრულებისთანავე „სელტიკის" 300-მდე გააფთრებულმა ქომაგმა თავიანთი საყვარელი გუნდის თავმჯდომარის ფერგუს მაკკენის და მენეჯერ ჯოკ ბრაუნისგან ახსნა-განმარტებების მოთხოვნა მოიწადინა. გარდა იმისა, რომ „სელტიკი" ბოლო ხანებში საზიზღრად თამაშობს, ერთი გვითხარით, ახალ ფეხბურთელებს რატომ არ ყიდულობთო — კითხულობდნენ ისინი. რა პასუხი გასცეს მათ გუნდის ხელმძღვანელებმა, უცნობია. ისე, ერთი რამ ნათელია — ასეთი თამაშით „სელტიკს" „რეინჯერსის" დამარცხება კი არა, პირველ სამეულში დამკვიდრებაც შეიძლება გაუჭირდეს, მით უმეტეს, რომ რამდენიმე გუნდი გლაზგოელებს კუდში მისდევს და ერთ პატარა ფეხის გადაბრუნებასაც არ აპატიებს.

დავით კოპზირიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:4 | 10 |
| სელტიკი | 5 | 2 | 2 | 1 | 11:6 | 8 |
| კილმარნოკი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:4 | 8 |
| აბერდინი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 8 |
| მოზერველი | 5 | 2 | 2 | 1 | 4:3 | 8 |
| ჰართსი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:6 | 7 |
| დანფერმლაინი | 5 | 1 | 3 | 1 | 4:7 | 6 |
| სტ. ჯონსტონი | 5 | 1 | 2 | 2 | 2:6 | 5 |
| დანდი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | 4 |
| დანდი იუნ. | 5 | 0 | 2 | 3 | 1:5 | 2 |

## შვეიცარია

X ტური

**ლუცერნი 2:2 არაუ**

0:1 ივანოვი (26), 1:1 მოზერი (28), 1:2 ივანოვი (29), 2:2 კოილოვი (80)

**სერვეტი 1:0 ლუგანო**

1:0 მიულერი (42)

**ციურიხი 3:0 სიონი**

1:0 ბარტლეტი (18), 2:0 სანტანა (32პ), 3:0 შასო (71)

**ბაზელი 1:1 იანგ ბოისი**

0:1 ბეკიროვსკი (40), 1:1 ფრიკი (57)

ქსამაქსი 4:1 ლოზანა

0:1 უდოვიჩი (22), 1:1 პუშე (26ს.კ.), 2:1 იზაბელა (39), 3:1 რუედა (42), 4:1 ნდო (90

**სენტ გალენი 3:1 გრასჰოპერი**

0:1 სენე (13ს.კ), 1:1 კონტინი (57), 2:1 იაკინი (64), 3:1 გილი (79)

გრასჰოპერი: ცუბერბიულერი, მაცარელი, გრენი, სმილიანიჩი, კრისტი, მანინი (ნკუფო 76), ესპოზიტო (ტიკვა 65), ფოგელი, კომიზეტი, დე ნაპოლი, თურქილმაზი (ყაველაშვილი 65)

შვეიცარიის ჩემპიონატის მეათე ტურში ცენტრალურად „სენტ გალენი" — „გრასჰოპერს" შორის გასამართი მატჩი მიიჩნეოდა. ამ შეხვედრამდე მესამე ადგილზე მყოფი „კალიები" მეტოქეს ორი ქულით უსწრებდნენ.

შეხვედრა მართლაც საინტერესოდ წარიმართა. საწყისმა წუთებმა „გრასჰოპერის" უპირატესობით ჩაიარა. სტუმრებს გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს.

მე-13 წუთზე მასპინძელთა საჯარიმოში თავისუფალი დარტყმა დაინიშნა, რომელიც ესპოზიტომ შეასრულა. მისი დარტყმული სენტ გალენელ სენეს მოხვდა თავში და რიკოშეტით კარში შევარდა. სტუმრებს შეტევები არც ამის შემდეგ შეუწყვეტიათ, მაგრამ თურქილმაზმა და დე ნაპოლიმ ხელსაყრელი შესაძლებლობები ქარს გაატანეს. ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა თავიანთ საჯარიმოში დე ნაპოლი მოცელეს, მაგრამ არბიტრმა პენალტის დანიშვნისგან თავი შეიკავა.

მეორე ნახევარი „სენტ გალენის" აშკარა უპირატესობით დაიწყო. იაკინის ძლიერი დარტყმული ძელმა მოიგერია. მალე იაკინიმ კონტინი გაიყვანა ხელსაყრელ პოზიციაში, რომელმაც შანსი აღარ გაუშვა ხელიდან და ანგარიში გაათანაბრა. 64-ე წუთზე იმავე იაკინიმ, რომელიც ამ მატჩში ყველაზე აქტიური იყო, გრენი ჩამოიშორა და ძლიერი დარტყმით „სენტ გალენი" დააწინაურა. ამის შემდეგ ფრინგერმა მოედანზე ყაველაშვილი გამოიყვანა, მაგრამ მან ამჯერად „კალიებს" ველარ უშველა. 79-ე წუთზე რიბეირო გილიმ მაცარელის უხეში შეცდომით ისარგებლა და ანგარიში უფრო სოლიდური გახადა — 3:1. „გრასჰოპერმა" ჩემპიონატში მეორე მარცხი იწვნია და ოთხშაბათს უეფას თასის მატჩს ბრიუსელის „ანდერლეხტთან" ხასიათწამხდარი შეხვდება. ეს თამაში ბელგიაში სამშაბათს უნდა გამართულიყო, მაგრამ უეფასთან შეთანხმების შემდეგ 16 სექტემბრისთვის გადაიდო.

მატჩისშემდგომ ინტერვიუში „კალიების" თავკაცმა როლფ ფრინგერმა განაცხადა: „დასაწყისი შეუდარებელი იყო. სამწუხაროდ, კარგი შესაძლებლობები ვერ გამოვიყენეთ. მეორეში კი უამრავი შეცდომა დავუშვით, რაც არ გვეპატია". ისე, ცოტა უცნაური კია, ფრინგერი ყოველ წარუმატებლობას გამოუყენებელ მომენტებს რომ აბრალებს.

„კალიების" წაფორხილებით კარგად ისარგებლა „სერვეტმა" და „ლუგანოს" მინიმალური ანგარიშით ძლევით შვიდი ქულით ჩამოიტოვა მრისხანე მეტოქე.

საკმაოდ მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა ბაზელში, სადაც მეორეადგილოსანი „ბაზელი" აუტსაიდერ „იანგ ბოისთან" ფრეს დასჯერდა — 1:1.

ვანო ოქროპირიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერვეტი | 10 | 7 | 2 | 1 | 19:14 | 23 |
| ბაზელი | 10 | 5 | 3 | 2 | 11:11 | 18 |
| სენტ გალენი | 10 | 5 | 2 | 3 | 18:11 | 17 |
| გრასჰოპერი | 10 | 4 | 4 | 2 | 15:12 | 16 |
| ქსამაქსი | 10 | 3 | 6 | 1 | 12:8 | 15 |
| ლოზანა | 10 | 3 | 5 | 2 | 15:17 | 14 |
| ციურიხი | 10 | 2 | 5 | 3 | 11:10 | 11 |
| არაუ | 10 | 2 | 4 | 4 | 18:19 | 10 |
| სიონი | 10 | 2 | 4 | 4 | 10:15 | 10 |
| ლუგანო | 10 | 2 | 3 | 5 | 10:14 | 9 |
| ლუცერნი | 10 | 1 | 4 | 5 | 13:17 | 7 |
| იანგ ბოისი | 10 | 1 | 4 | 5 | 12:16 | 7 |

## საფრანგეთი

V ტური

**ლორიანი 1:1 ოსერი**

1:0 კამადინი (3), 1:1 ბატიკლი (45)

**მონაკო 2:0 ლანსი**

1:0, 2:0 ტრეზეგე (64, 73)

**ნანსი 0:0 პსჟ**

**სტრასბური 0:0 მეცი**

**სოშო 1:2 ლიონი**

0:1 დელმოტი (22), 1:1 დედება (41з), 1:2 რაშკე (64 ს.კ.)

**მარსელი 1:1 რენი**

1:0 მორისი (78), 1:1 დოგონი (90)

**ბასტია 2:0 ლე ავრი**

1:0, 2:0 ლორანი (10, 75)

**ბორდო 3:1 მონპელიე**

1:0 ალიკარტე (48), 2:0 დიავარა (71), 2:1 დელეი (73), 3:1 ვილტორდი (90)

**ტულუზი 2:3 ნანტი**

1:0 პეტროვიჩი (4), 1:1, 1:2 მონტერუბიო (45, 48), 2:2 იპუა (73), 2:3 ტურე (76)

ევროთასების ჩატარებასთან დაკავშირებით ფრანგებმა თავიანთი ჩემპიონატი მე-5 ტურის შეხვედრები ერთი დღით წინ წასწიეს. ტური ხუთშაბათს გაიხსნა „მონაკო" — „ლანსისა" და „ლორიანი" — „ოსერის" მატჩებით, ყველა დანარჩენი თამაში კი პარასკევს საღამოს გაიმართა.

კაზინოებით განთქმული ზღვისპირა ქალაქში ერთმანეთის პირისპირ საფრანგეთის ბოლო ორი ჩემპიონი დადგა. შარშანდელი მატჩისგან განსხვავებით, როცა „ლანსმა" ზიანის ერთადერთი გოლის წყალობით იმარჯვა. წელს სულ სხვაგვარად იყო საქმე — მონაკოელებს გამარჯვება არ გასჭირვებიათ, მით უმეტეს, რომ მათ ამაში ნეოლანსელი პასკალ ნუმაც მიეხმარა. ჩრდილოელთა უმთავრესმა ბომბარდირმა 21-ე წუთზე ბოსნიელი კონჩიჩი ისეთი სახიფათო ტექნიკური ვარდნით დასცა ძირს, რომ მსაჯს წამითაც არ უყოყმანია და ქვეყნის ჩემპიონები ათნი დატოვა. ამის შემდეგ „ლანსი" კარგა ხანს უძალიანდებოდა მონაკოელთა შეტევებს და მხოლოდ მეორე ტაიმში ლუდოვიკ ჯიულის თამაში ჩართვამ გატეხა. შემცვლელის მარჯვნიდან ჩაწოდებულს დავიდ ტრეზეგემ თავით გადაგზავნა მეტოქის კარში. ათიოდე წუთში კი ისევ ტრეზეგემ შეაგდო მეორე გოლი და ისევ თავით, ოღონდ ამჯერად ვილი სანიოლს დაუფასა მშვენიერი პასი. მატჩის შემდეგ ჟან ტიგანა კმაყოფილი იყო თავისი შეგირდებით, თუმცა ნაკლოვანებებიც გვაქვსო — განაცხადა. ახალგაზრდა მსოფლიოს ჩემპიონი ტიერი ანრი კი ხუმრობის ხასიათზე მოსულიყო. როცა მისი განუყრელი მეგობარი ტრეზეგე ერთ-ერთ ტელეჟურნალისტს ინტერვიუს აძლევდა, უკან დაუდგა და ლაპარაკში ჩაერთო: უნიჭო ფორვარდია, დღესაც სულ შემთხვევით აღმოჩნდა საგოლე სიტუაციებში და ასევე შემთხვევით შეაგდოო.

ლორიანში ანგარიში მატჩის დასაწყისშივე გაიხსნა. ემერსონის ჩაწოდებულს პედრონმა დაჰკრა, „ოსერის" მეკარე კულმა კი მოიგერია, მაგრამ კამადინიმ ზუსტად დაამატა. თამაში „ლორიანის" უპირატესობით გაგრძელდა. ტაიმის მიწურულსღა შეძლეს ბურგუნდიელებმა შეტევა და კარნოს ჩაწოდებულს ბატიკლის გოლი მოჰყვა. მეორე ნახევარიც იგივე სცენარით წარიმართა — პირველი დივიზიონის დებიუტანტი უტევდა, „ოსერი" კი თავს იცავდა. ერთხელ, ალი ბუაფიას თავურის მერე „ლორიანს" ზედა ძელმაღა შეუშალა ხელი სეზონში პირველი საშინაო გამარჯვების მოპოვებაში.

„მეცს" ამ ჩემპიონატში ჯერ კიდევ არ გაუტანია. არც „სტრასბურს" და არც „მეცს" ჯერ არ უზეიმიათ გამარჯვება. ალმოსავლურ დერბიში დაფიქსირებული ნულოვანი ფრეთი კმაყოფილი უფრო „მეცის" თავკაცი ჟოელ მიულერი იყო: „როცა ცხრილის ბოლოს ხარ და როცა თითქმის არაფერი გამოგდის, გასვლაზე აღებული ქულა ურიგო ნაღდად არაა, მით უმეტეს, რომ ჩვენი მეტოქეც ჩვენნაირ გასაჭირშია და ქულები მასაც ჰაერივით სჭირდება." მაგრამ ლოტარინგიელ მწვრთნელს საწუწუნოც აქვს, რადგან თამაშის 21-ე წუთზე ბელგიელი დანი ბოფვენის მიერ წესების სრული დაცვით გატანილი ლამაზი გოლი მსაჯმა არ ჩათვალა, აქაოდა, თამაშგარეაო. „მსაჯის შეცდომის გამო წელს უკვე მეორედ დავისაჯეთ. ეს მეტისმეტია" — აღშფოთებას ვერ

# მეცი კვლავ გასაჭირშია



REUTERS მარსელიდან

მარსელი — რენი. ფაბრიციო რავანელი „რენის" კარისკენ მიიწევს

მალავდა მიულერი. „მეცს" გამარჯვების გოლის გატანა თამაშის ბოლოსაც შეეძლო, მაგრამ ახალგაზრდა საჰას დარტყმის შემდეგ ალზასელები სლოვაკმა მეკარემ ვენსელმა იხსნა. „სტრასბურსაც" იგივე პრობლემები აქვს, რაც მათ მეზობლებს და გუნდის ხელმძღვანელობაც დაფაცურდა ახალი თავდამსხმელის საყიდლად თუმცა იგი ვინ იქნება, ჯერჯერობით უცნობია.

შარშანდელი ჩემპიონატის სტარტზე „მეცმა" ხუთი შეხვედრა მოიგო, მერე კი ვიცე-ჩემპიონობასღა მიაღწია. წელს უკვე „ბორდოს" აქვს თხუთმეტი შესაძლებლიდან თხუთმეტი ქულა, მაგრამ ბორდოელებს ვიცე-ჩემპიონობას ოქროს მედლები ურჩევნიათ და მათ მოსაპოვებლად ყველაფერს გაიღებენ. ამ ტურში „ბორდოს" მსხვერპლი „მონპელიე" გახდა. მატჩის დასაწყისი კი ამას ნაღდად არ მოასწავებდა. „პირველ ნახევარში ყველა ვფიქრობდით, რომ გამარჯვებას ვერ მივაღწევდით — თქვა ელი ბოპმა — მაგრამ გაგვიმართლა. ამ საღამოს ძალიან ბედნიერი ვარ." ძნელია, არ დაეთანხმო „ბორდოს" თავკაცს, მათი კარის დარაჯი რამე რომ არა, სასწორი ნაღდად „მონპელიეს" მხარეს გადასწონიდა. „მართალია, ჩემი საქმე ბურთების დაჭერაა, მაგრამ დღეს იმდენი სამუშაო მქონდა, ამგვარი რამ კარგა ხანია, არ მახსოვს" — თქვა მატჩის გმირმა. ერთხელ კი ბაკაიოკოს დარტყმულზე, თვით რამემაც ვერ უშველა თავის გუნდს, მაგრამ აქ უკვე მსაჯი ჩაერია საქმეში და საკამათო თამაშგარე დააფიქსირა. მეორე ტაიმი „ბორდომ" სამი თავდასხმელით დაიწყო და ამან შედეგი მაშინვე გამოიღო. ალიკარტემ და დიავარამ ორჯერ შეაგდეს. დელეიმ მალე შეამცირა სხვაობა, მაგრამ შეტევებში გართული „მონპელიეს" მცველებს მოწინააღმდეგის საუკეთესო ბომბარდირი ვილტორდი გაეპარათ და მანაც მესამედ დალაშქრა მეტოქის კარი. შემდეგ ტურში „ბორდოს" ძალიან ძნელი გამოცდა ელის „ველოდრომზე", სადაც გაირკვევა კიდეც რამდენად საფუძვლიანია მათი პრეტენზიები ქვეყნის ჩემპიონობაზე.

სანამ „ბორდო" ქულებს აგროვებს, „მარსელი" და პსჟ კარგავენ. „მარსელსა" და „რენს" შორის ამ ბოლო დროს სულ რაღაც განსაკუთრებული ხდება. ჯერ იყო და შარშან ორი წლისთ განმავლობაში გასვლა რომ არ მოეგო, „მარსელმა" რენში გატეხა ნავსი, მეორე წრეში კი უკვე მარსელში „რენმა" იზეიმა ორი წლის მანძილზე პირველი გამარჯვება გასვლაზე. წელს ყველა სპეციალისტი „ოლიმპიკის" მოგებას ფიქრობდა, თუმცა რა არ ხდება. ამ თამაშში უამრავი სახიფათო მომენტიდან სამხრეთელებმა მხოლოდ ერთის გატანა მოახერხეს. მე-4 წუთზე პირესს რევომ აული, მე-19-ეზე გურვანევის სახიფათო დარტყმასაც იგივე ბედი ეწია. მთელი ტაიმიც ასე, მარსელელთა შეტევებში მიილია. მეორე ნახევარშიც ასევე გაგრძელდა. 75-ე წუთზე რევომ თავის შარშანდელ თანაგუნდელ მორისს უძნელესი თავური აული. 77-ეზე კი ერთმა ექსპარიზელმა ულამაზესი, მაკრატელათი მაინც გაუტანა მეორე ექსპარიზელს. მაგრამ „მარსელმა" სამი ქულის აღება მაინც ვერ მოახერხა. თამაშის მიწურულს დოგონმა მოახერხა და კუთხურის შემდეგ ქულა მოაპოვებინა თავისიანებს.

პსჟ-ს არც სეზონის წინ ხელმძღვანელობის გამოცვლამ არგო და ისევ გათამაშების ცხრილის შუაგულში იმყოფება. ნანსიში რომ უეჭველად სამ ქულას გეგმავდა, ამას ალენ ჟირესი მთელი კვირის განმავლობაში აცხადებდა, მაგრამ კაცი ბჭობდაო... ხომ გაგიგონიათ. ასევე დაემართა პსჟ-ს და დამოკიდებულება კლუბის თავკაცებსა და პარიზელი ფანებს შორის კიდევ უფრო დაიძაბა. ნანსიში პარიზელებს მოგების შანსი თითქმის არ ჰქონიათ და ფრეთი კმაყოფილნი უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ გულშემატკივრები სეზონის წინ „წყალში გადაყრილი" მილიონების სანაცვლოდ კარგ თამაშს და უფრო უკეთეს შედეგებს ითხოვენ და მათმა საყვარელმა გუნდმა რამე თუ არ შეცვალა, პარიზელთა თავკაცებს ნაღდად წყალი შეუდგებათ.

**გაიოზ თალაკვაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორდო | 5 | 5 | 0 | 0 | 10:3 | 15 |
| ლიონი | 5 | 3 | 2 | 0 | 10:3 | 11 |
| მონაკო | 5 | 3 | 2 | 0 | 9:3 | 11 |
| მარსელი | 5 | 3 | 2 | 0 | 8:4 | 11 |
| ნანტი | 5 | 3 | 0 | 2 | 6:5 | 9 |
| რენი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:6 | 8 |
| მონპელიე | 5 | 2 | 1 | 2 | 13:11 | 7 |
| ლანსი | 5 | 2 | 1 | 2 | 9:7 | 7 |
| ბასტია | 5 | 2 | 1 | 2 | 7:5 | 7 |
| ოსერი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| პსჟ | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| ლორიენი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| ნანსი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| ტულუზი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:14 | 4 |
| სტრასბური | 5 | 0 | 3 | 2 | 1:3 | 3 |
| ლე ავრი | 5 | 0 | 2 | 3 | 3:7 | 2 |
| მეცი | 5 | 0 | 2 | 3 | 0:6 | 2 |
| სოშო | 5 | 0 | 1 | 4 | 3:13 | 1 |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### უეფას თასი. ოცდამეთორმეტედფინალი. პირველი მატჩები

15 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სპარტა პრაღა (ჩეხეთი) — სოსიედადი (ესპანეთი) | (2,5-1,35) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ფენერბაჰჩე (თურქეთი) — პარმა (იტალია) | (7,5-1,05) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ბლექბერნი (ინგლისი) — ლიონი (საფრანგეთი) | (1,7-1,7) | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| დინამო მოსკოვი (რუსეთი) — სკონტო რიგა (ლატვია) | (1,2-3,5) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| გიმარაეში (პორტუგალია) — სელტიკი (შოტლანდია) | (2,0-1,5) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| შტუტგარტი (გერმანია) — ფეიენოორდი (ჰოლანდია) | (1,5-2,0) | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| არჯეში (რუმინეთი) — სელტა (ესპანეთი) | (7,5-1,05) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| სილკებორგი (დანია) — რომა (იტალია) | (15,0-1,01) | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| ლკს ლოძი (პოლონეთი) — მონაკო | (7,5-1,05) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| ლიტექსი (ბულგარეთი) — გრაცერი (ავსტრია) | (3,1-1,25) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ფიორენტინა (იტალია) — ჰაიდუკი (ხორვატია) | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ასტონ ვილა (ინგლისი) — სტრომსგოდსეტი (ნორვეგია) | (1,05-7,5) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| შალკე (გერმანია) — სლავია პრაღა (ჩეხეთი) | (1,3-2,8) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| სერვეტი (შვეიცარია) — ცსკა სოფია (ბულგარეთი) | (1,4-2,3) | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — მეცი (საფრანგეთი) | (1,4-2,3) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| კოშიცე (სლოვაკეთი) — ლივერპული (ინგლისი) | (15,0-1,01) | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| სპორტინგი ლისაბონი (პორტუგალია) — ბოლონია (იტალია) | (3,5-1,2) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| მარიბორი (სლოვენია) — ვისლა კრაკოვი (პოლონეთი) | (3,5-1,2) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ვეილე (დანია) — ბეტისი (ესპანეთი) | (5,0-1,1) | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| ბორდო (საფრანგეთი) — რაპიდი ვენა (ავსტრია) | (1,15-4,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ატლეტიკო მადრიდი (ესპანეთი) — ობილიჩი (იუგოსლავია) | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ბეითარი (ისრაელი) — რეინჯერსი (შოტლანდია) | (5,0-1,1) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ლიდსი (ინგლისი) — მარიტიმუ (პორტუგალია) | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| უდინეზე (იტალია) — ლევერკუზენი (გერმანია) | (1,8-1,6) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| სტიაუა (რუმინეთი) — ვალენსია (ესპანეთი) | (5,0-1,1) | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ტილბურგი (ჰოლანდია) — დინამო თბილისი | ანგარიში — 5,0 | | | |
| ციურიხი (შვეიცარია) — ანორთოსისი (კვიპროსი) | (1,15-4,0) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| უიპეშტი (უნგრეთი) — ბრიუგე (ბელგია) | (5,0-1,1) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ვიტესი (ჰოლანდია) — აეკ (საბერძნეთი) | (1,8-1,6) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ბრანი (ნორვეგია) — ვერდერი (გერმანია) | (7,5-1,05) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| სიგმა (ჩეხეთი) — მარსელი (საფრანგეთი) | (7,5-1,05) | 3,4 | 2,9 | 2,0 |

16 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი (ბელგია) — გრასჰოპერი (შვეიცარია) | (1,7-1,7) | 1,6 | 3,4 | 4,4 |

### ჩემპიონთა ლიგა. I ტური

16 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| პორტუ (პორტუგალია) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| კროაცია (ხორვატია) — აიაქსი (ჰოლანდია) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| ბილბაო (ესპანეთი) — რუსენბორგი (ნორვეგია) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| იუვენტუსი (იტალია) — გალათასარაი (თურქეთი) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| რეალი (ესპანეთი) — ინტერი (იტალია) | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| შტურმი (ავსტრია) — სპარტაკი (რუსეთი) | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| ბრონდბიუ (დანია) — ბაიერნი (გერმანია) | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| მანჩესტერი (ინგლისი) — ბარსელონა (ესპანეთი) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ლანსი (საფრანგეთი) — არსენალი (ინგლისი) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — დინამო კიევი (უკრაინა) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — ჰიკ (ფინეთი) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| კაიზერსლაუტერნი (გერმანია) — ბენფიკა (პორტუგალია) | 1,5 | 3,3 | 6,0 |

### თასების თასი. მეთექვსმეტედფინალი. პირველი მატჩები

17 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რუდარი (სლოვენია) — ვარტექსი (ხორვატია) | (5,0-1,1) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| პანიონიოსი (საბერძნეთი) — ჰაკა ვალკეაკოსკი (ფინეთი) | (1,1-5,0) | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| რიდი (ავსტრია) — მტკ ბუდაპეშტი (უნგრეთი) | (1,7-1,7) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ლევსკი (ბულგარეთი) — კოპენჰაგენი (დანია) | (1,7-1,7) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ჰერენვენი (ჰოლანდია) — ამიცა (პოლონეთი) | (1,2-3,5) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| ჰართსი (შოტლანდია) — მალიორკა (ესპანეთი) | (5,0-1,1) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ჩელსი (ინგლისი) — ჰელსინგბორგი (შვედეთი) | (1,02-10,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| დუისბურგი (გერმანია) — გენკი (ბელგია) | (1,2-3,5) | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| ბეშიქთაში (თურქეთი) — სპარტაკი ტრანავა (სლოვაკეთი) | (1,3-2,8) | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| რაპიდი ბუქარესტი (რუმინეთი) — ვალერენგა (ნორვეგია) | (1,25-3,1) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| აპოლონი ლიმასოლი (კვიპროსი) — იაბლონეცი (ჩეხეთი) | (4,0-1,15) | 2,4 | 3,0 | 2,5 |
| ნიუკასლი (ინგლისი) — პარტიზანი (იუგოსლავია) | (1,1-5,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ლაციო (იტალია) — ლოზანა (შვეიცარია) | (1,02-10,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| პსჟ (საფრანგეთი) — მაკაბი ჰაიფა (ისრაელი) | (1,02-10,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| ლიეპაია (ლატვია) — ბრაგა (პორტუგალია) | (15,0-1,01) | 4,7 | 3,3 | 1,6 |
| ცსკა კიევი (უკრაინა) — ლოკომოტივი მოსკოვი (რუსეთი) | (5,0-1,1) | 3,0 | 2,9 | 2,2 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

**ფორმულა 1**
XIV ეტაპი
იტალიის
დიდი პრიზი

# ამდენი შუმი რა ამბავია?!

## მონცამ, შესაძლოა, მთელი ჩემპიონატი ჩაიტია: მაკლარენი იწყებს. ფერარი იგებს

კვირას „მონცაზე", იტალიის დიდ პრიზზე გამარჯვებით მიხაელ შუმახერი მაკა ჰაკინენს გაუტოლდა და ჩემპიონობისთვის ბრძოლა კიდევ უფრო დაიძაბა.

პირველობისთვის მებრძოლთა პაექრობა ჯერ კიდევ კვალიფიკაციისას დაიწყო. ნაწვიმარ ტრასაზე გამოსვლას კარგა ხანს ვერავინ ბედავდა, მხოლოდ მე-11 წუთზე გაიარა ტუერომ პირველი წრეები. სესიის დასრულებამდე 25 წუთიღა რჩებოდა, ჰილი და ტაკაგი რომ გამოჩნდნენ ტრასაზე, შემდეგ ვილნევიც გამოვიდა და საუკეთესო დროც აჩვენა. მალე ამ პოზიციაზე იგი ფრენცენმა შეცვალა, მერე შუმახერმა, ცოტა ხანში საუკეთესო კულჰარდი გახდა, შემდეგ ჰაკინენი, კვალიფიკაციის ბოლომდე 7 წუთით ადრე კი პოული ალეზიმ იგდო ხელთ. დრო იწურებოდა და მოწინავენიც თავს არ ზოგავდნენ უკეთესი სასტარტო ადგილის მოსაპოვებლად. 56-ე წუთზე საუკეთესო დრო ჰაკინენმა აჩვენა — 1.26,075, რამდენიმე წამში კი კულჰარდმა გააუმჯობესა თანაგუნდელის შედეგი. ბოლო წუთებზე კი შუმიმ იმარჯვა და წლეულს პირველი პოული ირგუნა.

რბოლას მშრალი, მზიანი ამინდი შეესწრო. სტარტზე მიხაელმა ვერ გამოიყენა პოულის უპირატესობა — „მაკლარენებმა" შესანიშნავად დაიწყეს და პირველი ორი ადგილი დაისაკუთრეს, მათ ვილნევი მიყვა და შუმი მეოთხეზე აღმოჩნდა, თუმცა პირველივე წრეზე მოახერხა კანადელის ჩამოტოვება. „ვერცხლისფერებმა" მალე ჩვეული უპირატესობა მოიპოვეს და თითქოს ყველაფერი ძველებურად დალაგდა. მე-7 წრეზე კულჰარდმა ჰაკინენს გაუსწრო, ფინელს კი შუმიმ შეუტია. მე-14-ე წრეზე ნაკანოს ბოლიდს ცეცხლი გაუჩნდა, ძრავი მოეშალა. ამ დროს კულჰარდი 8 წამს უგებდა თანაგუნდელს, რომელსაც სულ უფრო მეტად აწუხებდა მიხაელ შუმახერი. გადამწყვეტი მომენტი მე-17 წრეზე დადგა. კულჰარდის ძრავმა ვერ გაუძლო დაძაბულობას და ასპარეზობის გაგრძელებაზე უარი თქვა. თითქმის ამავე დროს შუმიმ ჰაკინენი ჩამოიტოვა და ლიდერობაც იგდო ხელთ, 10 წრის მერე კი 5,8 წამს უგებდა მეტოქეს.

31-ე წრეზე ლიდერმა ბოქსებში შეუხვია, იქიდან 9,3 წამში გამოუშვეს და ტრასაზე მესამე ადგილზე დაბრუნდა. 35-ე წრეზე ჰაკინენიც ეწვია მექანიკოსებს და ბოქსიდან გამოსული პირველ ადგილზე მყოფ შუმის ამოუდგა 5,6 წმ ჩამორჩენით. ლიდერი ჩამორჩენილებს წამოეწია, ფინელმა ამით ისარგებლა და სხვაობა შეამცირა, 43-ე წრეზე მხოლოდ 3,2 წამს აგებდა, 44-ე წრეზე რეკორდიც დაამყარა (1.25,139) და ჩამორჩენა 3,007 წამამდე შეამცირა, მაგრამ მოსახვევში მანქანა ვერ დაიმორჩილა და ხრეშში გასეირნება მოუხდა, მერე ტრასას კი დაუბრუნდა და რბოლაც განაგრძო, მაგრამ ჩამორჩენა 21 წამამდე გაზარდა. ფინელს ნელ-ნელა ირვინიც წამოეწია და 49-ე წრეზე ჩამოიტოვა კიდეც. იტალიელ ტიფოზთა გასახარად პირველ ორ ადგილზე ორი წითელი „ფერარი" აგრძელებდა რბოლას. ფინელის უბედობა ამით არ დასრულებულა, მალე მას რალფ შუმახერიც წამოეწია და 51-ე წრეზე გაასწრო.

„ფერარიმ" მშობლიურ „მონცაზე" თავი არ შეირცხვინა და შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა, თუმცა კი საერთო ჩათვლაში „მაკლარენს" 10 ქულით ჩამორჩება. მესამეზე გასულმა რალფ შუმახერმა კი თანამემამულე ფრენცენი 1 ქულით ჩამოიტოვა. ჰაკინენმა მეოთხე ადგილისთვის მოპოვებული სამი ქულით ჩემპიონატში პირველობა კი შეინარჩუნა, მაგრამ ქულებით შუმი გაუთანაბრდა. მეხუთე ალეზი იყო, მეექვსე დეიმონ ჰილი.

ჩემპიონატში სიტუაცია გამწვავდა და ჩემპიონის ვინაობას ბოლო, მე-16 ეტაპზე (იაპონიის დიდი პრიზი) შევიტყობთ, მომდევნო, მე-15 ეტაპი კი ნიურბურგ-რინგზე მოეწყობა ორი კვირის შემდეგ.

ალეკო ჭაბუკიანი



პოდიუმზე მდგომი ძმები შუმახერები ფერარის მენეჯერ ჟან ტოდტს შამპანურით უმასპინძლდებიან


ცოტაც და შუმი (მარცხნივ) ჰაკინენს ჩამოიტოვებს

### რბოლის შედეგები

13 სექტემბერი. მონცა

დისტანცია 53 წრე - 305,772 კმ

1. მ. შუმახერი (ფერარი) 10 ქულა
1:17.09,672 (237.776 კმ/სთ).
2. ირვინი (ფერარი)
ჩამორჩა 37,977 წამით 6
3. რ. შუმახერი (ჯორდან-მუგენ-ჰონდა)
41,152 4
4. ჰაკინენი (მაკლარენ-მერსედესი)
55,671 3
5. ალეზი (ზაუბერი)
1.01,872 2
6. ჰილი (ჯორდან-მუგენ-ჰონდა)
1.06,688 1
7. ფრენცენი (უილიამს-მეკაქრომი)
1 წრით
8. ფიზიკელა (ბენეტონ-მეკაქრომი)
1 წრით
9. ტაკაგი (ტირელ-ფორდი)
1 წრით
10. ბარიჩელო (სტიუარტ-ფორდი)
1 წრით
11. ტუერო (მინარდი-ფორდი)
2 წრით
12. როსეტი (ტირელ-ფორდი)
2 წრით
13. ტრული (პროსტ-პეჟო)
3 წრით

### საუკეთესო წრე

ჰაკინენი
1.25,139; 243,947 კმ/სთ; 44-ე წრე

### ლიდერები

1-6 წრე — ჰაკინენი; 7-16 — კულჰარდი; 17-30 წრე — მ. შუმახერი; 31-34 წრე — ჰაკინენი; 35-53 წრე — მ. შუმახერი

### რბოლას გამოეთიშნენ

ვერსტაპენი (სტიუარტ-ფორდი)
გაიარა 39 წრე—გადაცემათა კოლოფი
ვილნევი (უილიამს-მეკაქრომი) 37
მოცურდა
სალო (ეროუზი) 32
მექანიკა
ვურცი (ბენეტონი) 24
მექანიკა
კულჰარდი (მაკლარენ-მერსედესი) 16
ძრავი
პანი (პროსტ-პეჟო) 15
ძრავი
ნაკანო (მინარდი-ფორდი) 13
ძრავი
ჰერბერტი (ზაუბერი) 12
სატერფულები
დინიცი (ეროუზი) 10
მექანიკა




### მიხაელ შუმახერი

დაიბადა 1969 წლის 3 იანვარს კერპენში (გერმანია)
სიმაღლე 174 სმ. წონა 71 კგ.
ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1991, ბელგიის დიდი პრიზი, „ჯორდანი"
116 რბოლა, 33 გამარჯვება, 18 პოული, 29 სწრაფი წრე, 520 ქულა
მსოფლიოს ჩემპიონი 1994-95 წლებში

**კარიერის ეტაპები:**

1989 გერმანიის ფორმულა 3-ის ჩემპიონატი — III ადგილი;
1990 გერმანიის ფორმულა 3-ის ჩემპიონატი — I ადგილი;
1991 ფორმულა 1 („ჯორდანი", „ბენეტონი") — 4 ქულა;
1992 ფორმულა 1 („ბენეტონი") — მოიგო პირველი „დიდი პრიზი" (ბელგია); III ადგილი ჩემპიონატში;
1993 ფორმულა 1 („ბენეტონი") — IV ადგილი ჩემპიონატში, 52 ქულა;
1994-95 ფორმულა 1 („ბენეტონი") — ჩემპიონი;
1996 ფორმულა 1 („ფერარი") — III ადგილი;
1997 ფორმულა 1 („ფერარი") — II ადგილი, დისკვალიფიცირებულია ფია-ს მიერ ვილნევთან შეჯახების გამო

### განლაგება სტარტზე

23 ტუერო 1.29,417 მინარდი
22 ნაკანო 1.29,101 მინარდი
16 დინიცი 1.28,387 ეროუსი
21 ტაკაგი 1.28,346 ტირელი
20 როსეტი 1.28,286 ტირელი
19 ვერსტაპენი 1.28,212 სტიუარტი
17 სალო 1.27,744 ეროუსი
15 ჰერბერტი 1.27,510 ზაუბერი
9 ჰილი 1.27,362 ჯორდანი
18 ბარიჩელო 1.27,247 სტიუარტი
2 ფრენცენი 1.26,836 უილიამსი
5 ფიზიკელა 1.26,817 ბენეტონი
12 ტრული 1.26,794 პროსტი
11 პანი 1.26,681 პროსტი
14 ალეზი 1.26,637 ზაუბერი
6 ვურცი 1.26,567 ბენეტონი
10 რ. შუმახერი 1.26,309 ჯორდანი
4 ირვინი 1.26,159 ფერარი
7 კულჰარდი 1.25,987 მაკლარენი
8 ჰაკინენი 1.25,679 მაკლარენი
1 ვილნევი 1.25,561 უილიამსი
3 მ. შუმახერი 1.25,289 ფერარი

### FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | | ავსტრალია 8 მარტი | ბრაზილია 29 მარტი | არგენტინა 12 აპრილი | სან მარინო 26 აპრილი | ესპანეთი 10 მაისი | მონაკო 24 მაისი | კანადა 7 ივნისი | საფრანგეთი 28 ივნისი | დიდი ბრიტანეთი 12 ივლისი | ავსტრია 26 ივლისი | გერმანია 2 აგვისტო | უნგრეთი 16 აგვისტო | ბელგია 30 აგვისტო | იტალია 13 სექტემბერი | ლუქსემბურგი 27 სექტემბერი, 16:00 | იაპონია 1 ნოემბერი, 08:00 | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჰაკინენი (ფინეთი) მაკლარენ-მერსედესი | 10 | 10 | 6 | – | 10 | 10 | – | 4 | 6 | 10 | 10 | 1 | – | 3 | | | 80 |
| 2 | მ. შუმახერი (გერმანია) ფერარი | – | 4 | 10 | 6 | 4 | – | 10 | 10 | 10 | 4 | 2 | 10 | – | 10 | | | 80 |
| 3 | კულჰარდი (ბრიტანეთი) მაკლარენ-მერსედესი | 6 | 6 | 1 | 10 | 6 | – | – | 1 | – | 6 | 6 | 6 | – | – | | | 48 |
| 4 | ირვინი (ბრიტანეთი) ფერარი | 3 | – | 4 | 4 | – | 4 | 4 | 6 | 4 | 3 | – | – | – | 6 | | | 38 |
| 5 | ვილნევი (კანადა) უილიამს-მეკაქრომი | 2 | – | – | 3 | 1 | 2 | – | 3 | – | 1 | 4 | 4 | – | – | | | 20 |
| 6 | ვურცი (ავსტრია) ბენეტონ-მეკაქრომი | – | 3 | 3 | – | 3 | – | 3 | 2 | 3 | – | – | – | – | – | | | 17 |
| 7 | ჰილი (ბრიტანეთი) ჯორდან-მუგენ-ჰონდა | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | 3 | 3 | 10 | 1 | | | 17 |
| 8 | ფიზიკელა (იტალია) ბენეტონ-მეკაქრომი | – | 1 | – | – | – | 6 | 6 | – | 2 | – | – | – | – | – | | | 15 |
| 9 | რ. შუმახერი (გერმანია) ჯორდან-მუგენ-ჰონდა | – | – | – | – | – | – | – | – | 1 | 2 | 1 | – | 6 | 4 | | | 14 |
| 10 | ფრენცენი (გერმანია) უილიამს-მეკაქრომი | 4 | 2 | – | 2 | – | – | – | – | – | – | – | 2 | 3 | – | | | 13 |
| 1 | მაკლარენ-მერსედესი | 16 | 16 | 7 | 10 | 16 | 10 | – | 5 | 6 | 16 | 16 | 7 | – | 3 | | | 128 |
| 2 | ფერარი | 3 | 4 | 14 | 10 | 4 | 4 | 14 | 16 | 14 | 7 | 2 | 10 | – | 16 | | | 118 |
| 3 | უილიამს-მეკაქრომი | 6 | 2 | – | 5 | 1 | 2 | – | 3 | – | 1 | 4 | 6 | 3 | – | | | 33 |
| 4 | ბენეტონ-მეკაქრომი | – | 4 | 3 | – | 3 | 6 | 9 | 2 | 5 | – | – | – | – | – | | | 32 |
| 5 | ჯორდან-მუგენ-ჰონდა | – | – | – | – | – | – | – | – | 1 | 2 | 4 | 3 | 16 | 5 | | | 31 |

შენიშვნა: სტარტი ჩვენი დროით

ჩოგბურთი

# ცეცხლში და კუბოში

## US OPEN

**ნახევარფინალი. კაცები. პატრიკ რაფტერი (3, ავსტრალია) — პიტ სამპრასი (1, აშშ) 6:7 (8:10), 6:4, 2:6, 6:4, 6:3; მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — კარლოს მოია (10, ესპანეთი) 6:1, 6:4, 5:7, 6:4**

როგორც მოსალოდნელი იყო, პატრიკ რაფტერისა და პიტ სამპრასის ნახევარფინალური ორთაბრძოლა წლევანდელი ამერიკის ღია პირველობის მშვენებად იქცა, ოღონდ ნამდვილი დუელი, ტაბლოზე ასახული ხუთი სეტისა და სამი საათისგან განსხვავებით, მხოლოდ სამ ხელს გრძელდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ სამპრასი გამუდმებით უარობს რაფტერთან სერიოზული სპორტული ქიშპობის არსებობას, ოზი ბოლო ხანებში მთავარ კონკურენტად რომ ექცა, ისევ თავად ამერიკელმა დაადასტურა — აბა, გინახავთ მსოფლიოს პირველ ჩოგანს ერთი ხელის მოგება ისე აღენიშნოს, როგორც პიტმა პირველი სეტის წარმატებით დასრულება იზეიმა — სიხარულისგან აცუნდრუკებულმა სულ ზევით-ქვევით იხტუნა და ტრიბუნებს ტაშის დაკვრაც მოსთხოვა. თუმცა მეტოქისკენ მიმართულმა ჯამბაზობამ რაფტერზე არ გაჭრა — ავსტრალიელმა ანგარიში მალევე გაათანაბრა.

ის-ის იყო, მანამდეც შესანიშნავი გათამაშებებით გამორჩეული ნახევარფინალი საბოლოოდ უნდა გახურებულიყო, რომ სამპრასს ხიფათი შეემთხვა — მესამე სეტში, ანგარიში 4:2 რომ იყო მის სასარგებლოდ, ბადესთან გაქცეულმა მარცხენა ფეხის კუნთი დაიზიანა, გეიმის ჩათავება კი მოახერხა, მაგრამ მაშინვე ექიმის დახმარება ითხოვა. ამ უკანასკნელმა მუცელზე დაწოლილ პიტს ფეხი ათასნაირად უგრიხა და ნატკენი ადგილიც საკმაო ხანს უზილა, მაგრამ კორტზე მაინც მობილურობადაკარგული დაბრუნა: „იქიდან მოყოლებული მარცხენა ფეხზე სიმძიმის გადატანა ტკივილს მგვრიდა, ვიფიქრე, ხომ არ შევეშვა-მეთქი, მაგრამ ადრენალინის დახმარებით მატჩის გაგრძელება ვარჩიე. ჩოგბურთში ყველაფერი ხდება.“ მართლაც კარიერის მანძილზე სამპრასს ლამის ცოცხალმკვდარსაც უმარჯვია არაერთხელ, მაგრამ მორიგი სასწაული არ შედგა.

მეტოქის უიღბლობამ და ფინალში იოლად გაძვრომის შანსმა რაფტერი თავდაპირველად დააბნია — ტრავმით გამოწვეული შესვენების შემდეგ თავისი მოწოდება და მასთან ერთად მესამე სეტიც დათმო, მაგრამ მას მერე სამპრასის სისუსტე შესანიშნავად გამოიყენა და ბოლო ორი ხელი უპრობლემოდ მოიგო: „ვცდილობდი, ბურთი მისგან რაც შეიძლება მოშორებით გადამეგდო, რადგან დარტყმა კი არა, მხოლოდ მოძრაობა უჭირდა. მართალია, ტრავმის გამო ამ გამარჯვებას ეშხი მოაკლდა, მაგრამ პიტის დამარცხება, რა ხერხითაც არ უნდა მიაღწიაო ამას, უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს.“ და არა მარტო რაფტერს...

**ფინალი: რაფტერი — ფილიპუსისი 6:3, 3:6, 6:2, 6:0.**



REUTERS ნიუ იორკიდან

მარკ ფილიპუსისი

ფინალს სიმბოლური მნიშვნელობა უფრო უფრო ჰქონდა — „ოუფენის“ სრულუფლებიანი ჩემპიონი პატრიკ რაფტერი ჯერ კიდევ წინა დღეს, პლანეტის ბოლო ხუთი წლის საუკეთესო ჩოგბურთელის დამარცხებით შეიქნა და არა დიდი, თუნდაც „სკადად“ წოდებული ბავშვისთვის ჩოგბურთის გაკვეთილის ჩატარებით.

თავისი მძლავრი მოწოდების წყალობით ფილიპუსისი „ოუფენის“ აწ უკვე ორგზის ჩემპიონს ორი სეტის განმავლობაში თითქმის არაფრით ჩამოუვარდებოდა, ზოგიერთ რამეში კი, მაგალითად ორმაგი შეცდომების რაოდენობაში, სჯობდა კიდეც. თუმცა „სკადის“ თავდაჯერების განადგურებას მხოლოდ ერთი, (მატჩის საუკეთესო) გათამაშება დასჭირდა: 3:2-ზე და 40:40-ზე მესამე სეტში რაფტერი ჯერ „სმეშს“ მისწვდა, მერე კორტის მეორე კუთხეში დარტყმულ ბურთს, ბოლოს ბადესთან შემოკლებულსაც მოუსწრო და დაბნეულ სკადს შეცდომა, მომდევნო გათამაშებაში კი ბრეიკიც დასტყუა — 4:2. აქედან მოყოლებული ფილიპუსისს ერთი გეიმიც კი აღარ მოუგია და კორტზეც უფრო მაყურებლის რანგში რჩებოდა.

„აბა, რა უნდა ვთქვა, პატმა დღეს მხოლოდ ხუთი უნებლიე შეცდომა დაუშვა და გამარჯვებასაც აშკარად იმსახურებდა. დღეისთვის ის მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელია. თუმცა გულს არ ვიტეხ, მე მხოლოდ 21 წლის ვარ და ყველაფერი წინ მაქვს“ — განაცხადა ფილიპუსისმა მატჩის შემდეგ. 700 ათასი დოლარით გამდიდრებულმა რაფტერმა გამარჯვება ლოჟაში მჯდარი გელფრენდს — ლარა ფელთემს ახარა, მისი სიილე კი შარშანდელ გამოცდილებას მიაწერა, იოტისოდენადაც არ ვნერვიულობდი, თითქოს ერთი ჩვეულებრივი მატჩი ყოფილიყოო.

**ქალების ნახევარფინალი: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — იანა ნოვოტნა (3, ჩეხეთი) 3:6, 6:1, 6:4; ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — ვინუს უილიამსი (5, აშშ) 6:4, 6:4.**

იანა ნოვოტნამ უიმბლდონის მოგებით მნიშვნელოვან მატჩებში ზედმეტად მონერვიულის რეპუტაცია კი ჩამოირეცხა, მაგრამ ძველმა გაჭირვებამ ნახევარფინალში ისევ წამოყო თავი — ჩეხმა მესამე სეტში 4:1 უპირატესობა გაფლანგა, რითაც ჰინგისი ფრიად გაახარა — შვეიცარიელი წაგების შემთხვევაში კლასიფიკაციის პირველ ჩოგნობას ჰკარგავდა.

მეორე ნახევარფინალში ლინდსი დევენპორტმა თანამემამულე ვინუს უილიამსი რომ დაამარცხა, ამ უკანასკნელს ფინალში „რიბოკის“ .კოლექციის ბოლო, მეშვიდე კაბის გამოფხეურების შესაძლებლობა მოუსპო. „რომ იცოდეთ, რა ლამაზი იყო — წითელი, ლურჯ და თეთრ ფერებში. თუმცა ახლა რა თავში ვიხლი, ჩავდებ კუბოში და ცეცხლს მოვუკიდებ“ — დაიჩივლა ვინუსმა პრესკონფერენციაზე.

**ფინალი: დევენპორტი — ჰინგისი 6:3, 7:5.**

შარშანდელი ტრიუმფალური სვლის შემდეგ 17 წლის შვეიცარიელ ფენომენ მარტინა ჰინგისს წლეულს დიდი სლემის მოპოვებას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ წინსვლის ნაცვლად მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა რეგრესი განიცადა — მაისს აქეთ ერთი ტურნირის მოგებაც კი ვერ მოუხერხებია.

სამაგიეროდ, ლინდსი დევენპორტმა დიდი ნაბიჯი გადადგა წინ — 14 კილოს დაკლებით ერთ დროს კორტზე ძლივს მობაჯბაჯემ თავისი უდიდესი ნაკლი გამოასწორა და შედეგმაც არ დააყოვნა. ფინალში გამარჯვებულის ვინაობა ეჭვს მხოლოდ სამი გეიმის მანძილზე იწვევდა, როცა მეორე სეტში ჰინგისი 2:4-დან 5:4-ით დაწინაურდა, მაგრამ ლინდსიმ, მანამდე მეტოქეს აშკარად რომ ჯაბნიდა, დროებითი სისუსტე და ნერვიულობა მალევე დაძლია და კარიერის პირველი დიდი სლემის ტურნირის ფინალი თავის სასარგებლოდ დაასრულა. „არც კი ვიცი, როგორ გამოვხატო სიტყვებით, რას ვგრძნობ. ამაზე მთელი ცხოვრება ვოცნებობდი“ — განაცხადა ლინდსიმ და გამარჯვება დედას მიუძღვნა, რომელსაც სწორედ შაბათს ჰქონდა დაბადების დღე — ამ 700 000-იანი ჩეკიდან შენს საჩუქარს ბევრი დაეხარჯებაო.

ჰინგისმა თავი მეორე დღეს ინუგეშა: ნოვოტნასთან ერთად წყვილების ფინალში გამარჯვებით მან დიდი სლემი მოიგო.

**ავთანდილ სვანიძე**

### ფინალები

ქალების წყვილები

**მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) და იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) (1) — ლინდსი დევენპორტი (აშშ) და ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) (2) 6:3, 6:3.**

კაცების წყვილები

**ფრედ სტოლი (ავსტრალია) და სირილ სუკი (ჩეხეთი) (15) — მარკ ნოულსი (ბაჰამები) და დანიელ ნესტორი (კანადა) (6) 4:6, 7:6 (10:8), 6:2**

იუნიორი ბიჭები

**დევიდ ნალბანდიანი (10, არგენტინა) — როჯერ ფედერერი (4, შვეიცარია) 6:3, 7:5**

იუნიორი გოგონები

**ელენა დოკიჩი (2, ავსტრალი) — კატარჟინა სრებოტნიკი (1, სლოვაკეთი) 6:4, 6:2**

ხელბურთი

# გასეირნება თავგანწირვის წინ

დასაწყისი პირველ გვერდზე

## სტუ-შევარდენი 34:22 ბორაცი

**სტუ-შევარდენი: ერაძე, ქობელაშვილი (2), დათუკიშვილი (10), მეიფარიანი (2), გელაშვილი (8), კეკელიძე (2), ანდრიაშვილი (3); თევზაძე, ყიფიანი, გვაზავა (4), ლობჟანიძე, ორჯონიკიძე (3)**

**ბორაცი: სმოლოვიჩი, სკანდრო (3), ბეგოვიჩი (1), გარიჩი, რეზდევსკი (9), ბატოვიჩი (5), სარიჩი (3); მიჯიჩი, ბოსტო (1), აგიჩი, კარაჯიჩი, ჩერიჩი**

**მსაჯები: იგორ იუტჩიცი, სერგეი კოტი (ბელარუსი)**

მატჩის დასაწყისში ჩვენებურთა უპირატესობას სრული ეთქმოდა, ეტყობა, ზაზა დოლიძემ ბიჭებს ასეც დაავალა — თავიდანვე დაწინაურებულიყვნენ და საკუთარი თამაში მოეხვიათ თავს მეტოქეთათვის. შეგირდებმაც ზუსტად შეასრულეს მწვრთნელის დავალება და მეხუთე წუთისთვის 5 უპასუხო ბურთიც მიითვალეს. ისე არ გაიგოთ, თითქოს ბოსნიელები გულხელდაკრეფილები იყვნენ და მშვიდად შეჰყურებდნენ ლევან გელაშვილის, ვახტანგ მეიფარიანის და ბექა ორჯონიკიძის გოლებს, არა, ბატონო, ძალიანაც ცდილობდნენ, ჩვენს კარშიც ბევრჯერ ტყორცნეს, განსაკუთრებით ველკო რეზდევსკი აქტიურობდა, მაგრამ როლანდ ერაძეს ვერაფერი დააკლეს, იმ დღეს შევარდენთა მეკარე მართლაც შეუდარებელი იყო.

ამის მერე ჩვენები ცოტა მოდუნდნენ, ბოსნიელებმაც უმალ ისარგებლეს ქართველთა უდარდელობით და მწვავედაც შემოგვიტიეს, ერთი პირობა ანგარიში მინიმუმამდეც შეამცირეს. მოვლენების ასეთი განვითარება ხელს ნამდვილად არ გვაძლევდა. ზაზა დოლიძემაც ბიჭები გვარიანად შეახურა და შევარდნებმა კვლავ გაილალეს. ჯერ იყო, დათუკიშვილმა შორიდან ზუსტად ტყორცნა, რასაც ლევან გელაშვილის ლამაზი გოლი მოჰყვა. ირაკლი კეკელიძემაც შეარხია „ბორაცის“ კარის ბადე, სერგო დათუკიშვილმა კი პირველი ნახევრის მიწურულს ორიც შეაგდო და ტაიმიც 14:8 „სტუ-შევარდენმა“ მოიგო.

გუნდებმა რომ შეისვენეს და მეორე ტაიმი დაიწყეს, ბოსნიელებს ეტყობოდათ, 6-ბურთიან უპირატესობას ველარ დაძლევდნენ და მარცხსაც შეგუებოდნენ. თამაში განახლდა და ჩვენებმაც განახლეს მეტოქის კარის დაბომბვა. იყო შორეული, ძლიერი ტყორცნები, ლამაზად გათამაშებული, გონივრული კომბინაციები და რაც მთავარია, გოლები. ამასთან ქართველი ხელბურთელები დაცვაშიც უშეცდომოდ თამაშობდნენ და ისედაც ნირწამხდარ ბოსნიელებს თამაშის ხალისს უკარგავდნენ. შევარდენთაგან ვინმეს გამოყოფა უპრიანი ალბათ არ იქნება, ისე კარგად ირჯებოდნენ ბიჭები, თუმცა სერგო დათუკიშვილის თამაში მაინც აღნიშვნის ღირსია: მან ყველაზე მეტი, 10 ბურთი გაუტანა ბოსნიელებს და ამავე დროს დაცვაშიც რიგიანად გაისარჯა.

მეორე ტაიმის შუახანს, როცა „სტუ-შევარდენი“ ცამეტი ბურთით დაწინაურდა, ზაზა დოლიძემ როლანდ ერაძე შეცვალა და კარის დაცვა ახალგაზრდა შოთა თევზაძეს ანდო, გუნდის ლიდერებიც დაასვენა და სათადარიგოთ თავის გამოჩენის შანსი მისცა. ბიჭებმაც გაამართლეს, ახალ-



ბადრი კეთილაძის ფოტო

ზაზა დოლიძემ ყველაფერი გათვალა

შესულთაგან განსაკუთრებით გიორგი გვაზავა გამოირჩეოდა, რომელმაც სამი შვიდმეტრიანი ჯარიმა აუღელვებლად და ზუსტად შეასრულა და დაცვის ხაზზეც ჭკვიანურად ითამაშა.

ერთადერთი კაცი, ვინც ბოსნიელთაგან ბოლომდე იბრძოდა, გორან სავიჩი იყო, ვერ ეგუებოდა კაცი მარცხს და რა ექნა? მაგრამ სავიჩის აქტიურობამ „ბორაცს“ ვეღარ უშველა, მით უმეტეს, მატჩის მიწურულს ჩვენმა კუთხის მოთამაშეებმაც ანდრო ანდრიაშვილმა და გიორგი ქობელაშვილმა გამოიღეს ხელი და ერთმანეთზე უკეთესი ბურთები გაუტანეს ბოსნიელთა მეკარეს. 34:22-ზე ბელარუსმა არბიტრებმა მატჩის დასრულების ნიშანი მისცეს და პირველმა ქართველ ხელბურთელებს გამარჯვება ზემოთნახსენებმა სავიჩმა მიულოცა.

მაშ ასე, „სტუ-შევარდენმა“ ბოსნიური ბარიერი, შეიძლება ითქვას, იოლად გადალახა. სტუმრადაც და შინაც ღირსეულად ითამაშა და შემდგომ ეტაპზეც გავიდა. ცხადია, ბიჭების გამარჯვებაში ლომის წილი მთავარ მწვრთნელ ზაზა დოლიძეს და კლუბის თავკაცობას უძევთ, მათ ამ მატჩებისთვის გუნდი რიგიანად მოამზადეს, საწვრთნელი შეკრებებიც დროულად ჩაატარეს და ხელბურთელებიც ფსიქოლოგიურად გამარჯვებისთვის განაწყვეს. მოკლედ რომ ვთქვათ, „სტუ-შევარდენს“ მზრუნველი ხელი აშკარად ეტყობა.

თამაშის დასრულებისთანავე ჩვენს ხელბურთელებს გავესაუბრე და „ბორაცთან“ მატჩზე აზრის გაზიარება ვთხოვე.

ლევან გელაშვილი, „სტუ-შევარდენის“ კაპიტანი — ამ შეხვედრას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, უპირველესად ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. მას შემდეგ, რაც საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაში აუკრძალეს, ქართველ ხელბურთელებს გული ძალიან გაგვიტყდა, თუმცა ზაზა დოლიძემ და ფედერაციის ხელმძღვანელობამ ხელი შეგვიწყვეს, საკლუბო ტურნირებისთვის კარგადაც მოგვამზადეს და აი, შედეგიც.

**— „ბორაცს“ კი სძლიეთ, მაგრამ მომდევნო წრეში ესპანეთის „ბარსელონას“ ხვდებით.**

— „ბარსელონა“ უძლიერესი გუნდია, ევროპაში მისი დამმარცხებელი ერთი-ორი თუ მოიძებნება, რეალურად ჩვენ არანაირი შანსი არ გვაქვს, თუმც ბრძოლას მაინც ვაპირებთ, ასეთ მეტოქესთან ჭიდილში ბევრსაც ვისწავლით და გამოცდილებასაც შევიძენთ.

სერგო დათუკიშვილი — მართლაც კარგად ვითამაშეთ, თავიდანვე დავჩაგრეთ მეტოქე, მეც შეძლებისდაგვარად გავისარჯე.

**— ათი გოლი შენს ანგარიშზეა.**

— თამაშის დროს გოლებს ნამდვილად არ ვითვლი, ბოსნიაში 7 ბურთი გავიტანე, აქ თურმე 10. ასე რომ, ორი შეხვედრის ჯამში 17 გამიტანია.

ბექა ორჯონიკიძე — დღევანდელ მატჩში ერთადერთხელ წავიფორხილეთ, ისიც პირველ ტაიმში, თავიდანვე დავწინაურდით და ცოტა მოვეშვით, თუმც მერე ყველაფერი დალაგდა. ვფიქრობ, გამარჯვებას ვიმსახურებდით და ასეც მოხდა.

**— მომავალ მეტოქეზე რას გვეტყვი?**

— „ბარსელონას“ გულისხმობ? მოგებას ვერ შეგპირდებით, თუმც უბრძოლველადაც არაფერს დავუთმობთ ტიტულოვან ესპანელებს.

„სტუ-შევარდენს“ „ბარსელონასთან“ გაჯიბრება ოქტომბრის დამდეგს მოუწევს. მართალია, ძნელია, თითქმის შეუძლებელიც ესპანელთა დამარცხება, მაგრამ როგორც ჩვენი ხელბურთელების საუბრიდან ირკვევა, მათ სახელოვანი მეტოქის შიში და რიდი არა აქვთ და ვაჟკაცურ ბრძოლას აპირებენ. ერთი ესაა, აქაოდა მაინც დავმარცხდებითო და მოდით, ძველებურად ორივე მატჩი სტუმრად, ესპანეთში გავმართოთო, ვფიქრობ, არც ჩვენს ხელბურთს წაადგება და გულშემატკივარსაც გავანაწყენებთ, მათ ხომ დიდი, ნაღდი ხელბურთის ნახვა მოენატრათ.

**სოსო კოტორეიშვილი**

ველორბოლა

# აბრაჰამ, მოიგე!

მე-7 ეტაპი. ალიკანტედან ვალენსიამდე. 185 კილომეტრი

**1. ჯოვანი ლომბარდი (იტალია) 4 სთ 3 წთ 49 წმ; 2. იერონ ბლაილევენსი (ჰოლანდია); 3. მარსელ ვუსტი (გერმანია) იგივე დრო.**

მე-8 ეტაპი. პალმა დე მალიორკას წრიული რბოლა. 181,5 კილომეტრი

**1. ფაბრიციო გვიდი (იტალია) 4 სთ 16 წთ 21 წმ; 2. პეტერ ვან პეტეგემი (ბელგია); 3. ანდრეი ჩმილი (ბელგია) იგივე დრო.**

მე-9 ეტაპი. ალკუდია. სიჩაუქის გამოცდა. 39,5 კილომეტრი

წლევანდელ „ვუელტაზე“ დამკვიდრებული ტრადიცია არც მეცხრე ეტაპის შემდეგ დაირღვა და კვირა საღამოს რბოლას ახალი ლიდერი — ესპანელი აბრაჰამ ოლანო მოევლინა. ეს სპორტსმენი რომ სიჩაუქის გამოცდაზე განსაკუთრებით ძლიერია, ახალი არავისთვისაა, მაგრამ მე-9 ეტაპს თუ ასეთი საგრძნობი უპირატესობით მოიგებდა, მაინც არავინ ელოდა.

მას შემდეგ, რაც ლეგენდარულმა მიგელ ინდურაინმა აქტიურ სპორტს თავი დაანება, ესპანელი გულშემატკივრების იმედიანი თვალები ერთთავად ოლანოსკენაა მიპყრობილი და მისგან ყველა ტურნირზე „დიდი მიგის“ დარ შედეგებს ელიან. აბრაჰამიც ყველანაირად ცდილობს, ქომაგთა გული მოიგოს, მაგრამ ხშირად სწორედ ეს უდიდესი პასუხისმგებლობა არ აძლევს იმის საშუალებას, თავისი შესაძლებლობები ბოლომდე გამოავლინოს.

ალკუდიას სიჩაუქის გამოცდაზე კი ესპანელთათვის ყველაფერი მშვენივრად წარიმართა: ოლანომ საკუთარ თავს აჯობა, მეორე ადგილზე გასული თვისტომი მელხორ მაური 41 წამით ჩამოიტოვა და ყვითელი მაისურით ასპარეზობის უფლებაც დაიბევა. რაც მთავარია, ოლანოს შემხედვარე მასპინძლებს იმედი მიეცათ, რომ მათთვის მოჯადოებული წრე გაირღვევა და 1991 წლის შემდეგ ესპანელი მრბოლი პირველად მოიგებს „ვუელტას“.

**1. აბრაჰამ ოლანო (ესპანეთი) 7 წთ 12 წმ; 2. მელხორ მაური (ესპანეთი) +41; 3. უვე პეშელი (გერმანია) +1,03**

საერთო ჩათვლა

**1. აბრაჰამ ოლანო (ესპანეთი) 37 სთ 32 წთ 49 წმ; 2. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი) +41; 3. მელხორ მაუერი (ესპანეთი) +1,08; 4. ლენს არმსტრონგი (აშშ) +1,30; 5. კლაუს მიოლერი (დანია) +1,04**

**ბახა არჯევანიძე**


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია

**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე

**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული

**მთავარი რედაქტორის მოადგილე:** ილია ბაბუნაშვილი

**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:** ვახტანგ ბზიკაძე

**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი

**კალათბურთის განყოფილების გამგე:** ავთანდილ გურასაშვილი

**ინფორმაციის განყოფილების გამგე:** სოსო კოტორეიშვილი

**ფეხბურთის რედაქცია.**

**ქართული ფეხბურთის განყოფილება:** კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე

**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, დავით კოზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი

**კალათბურთის განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი

**ინფორმაციის განყოფილება:** ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე, ირაკლი ხმელიძე

**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე

**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29